პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და ხრ. საქ. მ, გ. წ. არ. და
მაზრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24,
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის.
10—58. მდივნის.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—85 კაპ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კაპ. 20 კაპ. ხვრიონცებით მომმართველის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩვეულ. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 აათ·

გაზეთის დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს.

დ ღ ი უ რ ი

დღეს საფრანგეთში იწყება პარლამენტის დეპუტატთა არჩევნები.

ინდოეთში მძვინვარებს შავი ჭირი, რომელიც ათასობით მუსრს ავლებს მცხოვრებთ.

შეერთებულ შტატების მთავრობამ [illegible] უარზე.

მაროკოში (ესპანეთის ახალშენია) გრძელდება შეტაკებები მცხოვრებთა და მთავრობის ჯარს შორის.

№ 106 (961) კვირა, 11 მაისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 106 (961)

პროვოკატორებისა და შანტაჟისტების მუშაობა

გუშინ ჩვენ გავკვრით შევეხეთ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, ჯარში მორიგი გაწვევის საკითხთან დაკავშირებით.

კაპიტალისტური ქვეყნები ვერ ითმენენ საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო თანდათანი გაძლიერებას და არაფერს ზოგავენ, რომ საქმე კვლავ გაართულონ.

კონფლიქტი გერმანიასა და საბჭოთა მთავრობას შორის არამც თუ არ ამოწურულა, არამედ უფრო გამწვავდა. ამხ. კრესტინსკის ნოტაზე, რომელიც მოითხოვდა სრულ დაკმაყოფილებას მომხდარი ინციდენტის გამო, ბ. შტრეზემანმა თავხედური პასუხი გასცა. საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის „გმირები", მისი თანამშრომლების შეურაცხმყოფელნი არ არიან დასჯილნი; ჩვენი წარმომადგენლობის თანამშრომლები ჩაყარეს ციხეში, სადაც მათ ამყოფებენ აუტანელ პირობებში; ერთი მათგანი ისე მხეცურად სცემეს, რომ მხედველობა დაჰკარგა, შინაგანი სისხლის ჩაქცევის გამო.

საერთოდ მარქს-შტრეზემანის მთავრობამ მოიმოქმედა ყველაფერი, რომ უფრო გაღრმავებინა მომხდარი კონფლიქტი და გაეწვავებინა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება.

ამის შემდეგ ჩვენი წარმომადგენლები, თავის თავად ცხადია, ვერ დარჩებოდნენ იმ ქვეყანაში, რომლის ხელისუფლება ასე უდიერად და ცინიკურად ეპყრობა მათ, რომელიც ასე უხეშად არღვევს საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობათა ელემენტარულ წესებს და ამხ. კრესტინსკიმ, ჩვენმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, აგრეთვე სავაჭრო წარმომადგენელმა ამხ. სტომონიაკოვმა კიდეც დასტოვეს გერმანია.

ამავე დროს საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობამ უარი განაცხადა კელნის და ლეიპციგის ბაზრობაში მონაწილეობის მიღებაზე და შესწყვიტა ჩვენი პროდუქტების გაყიდვა გერმანიაში.

რატომ ჩვენს ასეთ „სიმამაცეს" გერმანიის მთავრობა, რომლისთვის ფრიად მნიშვნელოვანი უნდა იყოს საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობა პოლიტიკური და ეკონომიური მხრით?

გერმანია ხომ დამონებულია პოლიტიკურად, ის ხომ განართმეულია პუანკარეს ფეხ ქვეშ? გერმანიას ხომ ესაჭიროება ჩვენი პურეული და ნედლეული? საბჭოთა კავშირთან განწყობილება ხომ ერთი მთავარი პირობაა გერმანიის ეკონომიური აღორძინების და პოლიტიკური განთავისუფლებისა უცხოელ ოკუპანტებისაგან?

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ გერმანიის მთავრობას სხვა მოსაზრებები ამოძრავებენ. მას უნდა პუანკარეს გული მოიგოს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გაფუჭებით, რათა საფრანგეთმა „წყალობა" მოიღოს სარეპარაციო საკითხის გამო მომავალ მოლაპარაკების დროს.

ამასთან შიგნით გერმანიაში მდგომარეობა მეტის მეტად გამწვავებულია. კლასთა ბრძოლამ იქ უმაღლეს წერტილს მიაღწია. საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტებმა ბრწყინვალე გამარჯვება, ხოლო მთავრობის პარტიები და მათი მაჩანჩალა—სოციალ-დემოკრატია საგრძნობლად დამარცხდნენ.

ამავე დროს ჩვენ ვხედავთ მუშათა გრანდიოზულ გაფიცვებს გერმანიის სამრეწველო ცენტრებში გაფიცულთა რაოდენობა უდრის 600,000 კაცს. გაფიცული არიან ნახშირის, ლითონის, ქიმიური მრეწველობის და სხვა დარგის მუშები. გერმანიას მოელის ისედაც სუსტი სამეურნეო ცხოვრების მთლად შეჩერება.

და აი, გერმანიის ბნელი-ბურჟუაზია ამ რევოლუციონურ მოძრაობას აბრალებს საბჭოთა აგიტაციას, როცა ყველამ იცის, რომ ამის ნამდვილი მიზეზია კაპიტალისტების მიერ მუშების უსაზღვრო ექსპლოატაცია, მუშათა კლასის აუწერელი გაჭირვება. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა უწოდებს ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობას „კომინტერნის ფარულ განყოფილებას".

ეს პროვოკაცია შეთითხნილია იმ მიზნით, რომ გერმანიის ბურჟუაზიამ შესძლოს მუშათა აღელვების ნამდვილი მიზეზის მიჩქმალვა და „საზოგადოებრივი აზრის" ყურადღების ცენტრის გადატანა სხვაგან, ამავე დროს ის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ.

აღსანიშნავია სხვა ფაქტებიც. პუანკარე აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ნემსის ჩხვლეტის" პოლიტიკას არა მარტო მისი მორჩილი გერმანიის მთავრობის საშუალებით.

საფრანგეთის მთავრობამ 9 მაისისათვის მოიწვია პარიზში „ნავთის საერთაშორისო საზოგადოებათა გაერთიანების" ყრილობა, იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც დგანან საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენციაზე, ნაციონალიზაცია მოხდენილ სამდიდრის თავის მეპატრონეებისათვის დაბრუნების შესაძლებლობასთან დაკავშირებით".

საფრანგეთი ფხიზლად ადევნებს თვალყურს ლონდონის მოლაპარაკებას და ყოველ ზომას იღებს მის ჩასაშლელად. ხსენებული ყრილობის მიზანიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გავლენა მოახდინოს ამ კონფერენციაზე და გაუმაგროს ზურგი ინგლისის ექვსი ბანკირის ცნობილ მემორანდუმს.

რა თქმა უნდა, სასაცილოა ლაპარაკი ჩვენი სანავთო წყაროების მათი წინანდელი მფლობელებისათვის „დაბრუნების შესაძლებლობაზე" მაგრამ პუანკარეს ხელი არ აუღია საბჭოთა კავშირში უცხოელ კაპიტალისტების საკუთრების აღდგენის სასაცილო ოცნებაზე.

პუანკარეს „მოღვაწეობა" ამით არ განისაზღვრება. მისი ხელი წვდება შორეულ აღმოსავლეთსაც. ჩვენ ვიცით, რომ მან ჩაშალა ჩინეთის და საბჭოთა კავშირის შეთანხმება. ეხლა მან გადაგზავნა იაპონიაში ფრანგულ ინდოჩინეთის გენერალ-გუბერნატორი ჩვენი რესპუბლიკების წინააღმდეგ საფრანგეთ-იაპონიის კავშირის დასადებად.

აგრეთვე ვიცით პუანკარეს როლი ბესარაბიის საკითხში. „ბოიარების" რუმინია, რომელსაც ზურგს უმაგრებს საფრანგეთი, განაგრძობს აგრესიულ მოქმედებას. დღევანდელი ცნობით, ბუქარეშში (რუმინია) წარმოებს მზადება რუმინელ ჯარების გადასაყვანად ბესარაბიაში. ამავე დროს რუმინიის გაზეთები უსაფუძვლო და პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ საბჭოთა კავშირის ვითომდა სამხედრო მზადებაზე და აღნიშნავენ, თითქო ამხ. ტროცკი და კამენევი ჩამოსულიყვნენ კამენეც-პოდოლსკში საბჭოთა ჯარების დასათვალიერებლად რუმინიის საზღვარზე.

ყველა ეს და სხვა ფაქტები მოწმობენ, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები მიდიან ძველი გზით, რომ ისინი ათას ხრიკებს აწყობენ ჩვენი რესპუბლიკების წინააღმდეგ.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქო ჩვენ ვიმყოფებოდეთ ომის უშუალო საფრთხის წინაშე მთავარი აზრი პუანკარეს და საერთოდ კაპიტალისტური მტაცებლების, ზევით მოყვანილ „საქმიანობისა" იმაში მდგომარეობს, რომ შანტაჟით, დაშინების გზით გამოგლიჯონ მუშების და გლეხების მთავრობას რაც შეიძლება მეტი.

მაგრამ, ეჭვი არ არის, როგორც ყოველთვის, ეხლაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ ამ შანტაჟისტებს.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასსა მზად არის გასცეს მათ საკადრისი პასუხი, თუ ისინი კვლავ მოისურვებენ რამე ავანტიურის დაწყებას.

მუშათა კლასის ამ განწყობილების და ნებისყოფის გამოხატულება იყო, სხვათა შორის, თბილისის პროლეტარიატის მრისხანე დემონსტრაცია გუშინ, მიმართული გერმანიის ფაშისტების და საერთოდ მთელი მსოფლიოს ყაჩაღების წინააღმდეგ

P. S. წერილი აწყობილი იყო როდესაც მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანიის მთავრობა უკან იხევს. მან განთავისუფლა დაპატიმრებულები და მოლაპარაკებას მართავს ჩვენ წარმომადგენლობასთან ბერლინში. საქმის მიმდინარეობა თითქოს ნორმალურ კალაპოტში დგება. მაგრამ შტრეზემანის მთავრობის პროვოკატორული გამოსვლა მაჩვენებელი გაკვეთილია, რომლითაც ჩვენ ვისარგებლებთ მომავალში.

საჭიროა თუ არა კოოპერაციისთვის სავაჭრო ცენტრი?

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს საკითხი დავას არ იწვევდა. თითქოს ბუნებრივად, რომ ძირითადი კოოპერაცია უნდა გაერთიანდეს ისეთ კავშირში, რომელსაც ექნება როგორც საორგანიზაციო, ისე სავაჭრო ფუნქციები. რამდენადაც თავის წევრთა სუსტი საშუალებათა გაერთიანება, აძლიერებს ძირითად უჯრედს, იმდენადვე ამ უჯრედების კოოპერატიული გაერთიანება საქონლის შესასყიდად საფინანსო ძლიერებას მისცემს კოოპერატიულ ცენტრსაც და მის ბაზარზე გამოსვლას ჩააყენებს ხელსაყრელ პირობებში. მოკლედ რომ ვსთქვათ, წინასწარ ნაგულისხმევი იყო, რომ საბითუმო სავაჭრობის გარეშე შეუძლებელია საქონლის ტრიალი და ამ საქონლის მიტანა მწარმოებლისაგან მომხმარებელთან. და მაშინ კოოპერატიულ ცენტრების როლი განისაზღვრებოდა საბითუმო ვაჭრობის დამყარებისთვის ბრძოლით.

ახლა მდგომარეობა რამდენიმედ შეიცვალა. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირველ ხანას, როდესაც პროდუქტების გაცვლა და საქონლის ტრიალი გამოცოცხლდა, უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა. ნებადართულმა ვაჭრობის თავისუფლებამ, რომლის გარკვეულ კალაპოტში ჩასაყენებლად არ არსებობდა ერთი მთლიანი გეგმა, მრავალი არა ნორმალური მოვლენები გამოიწვია როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კოოპერატიულ ვაჭრობაში. ვაჭრობით გატაცებამ შუამავალ ორგანიზაციათა რიცხვი გაამრავლა. ეს ორგანიზაციები მძიმე ტვირთად დააწვა საქონელს და გლეხისათვის გაძვირა სასოფლო მრეწველობის ნაწარმოები. „მაკრატლის" პრობლემის აღმოცენებას სხვათა შორის ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი.

ამ ხანამ განვლო და ქვეყნის წინაშე საკითხი აღიმართა: შექმნილ იქმნას ისეთი ფორმები, რომელსაც შეეძლება უფრო სწრაფად, იაფად და მოქნილად შეასრულოს საშუამავლო ფუნქციები მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. იმ პირობებში, როდესაც პროდუქტი მწარმოებლისგან პირდაპირ მომხმარებელთან კი არ მიდის, არამედ მინამდე ხდება ყიდვა-გაყიდვის ობიექტად, უნდა არსებობდეს ვაჭრობის ორი სახე—წვრილი და საბითუმო. ამ ორი ინსტანციის შემცირება და მხოლოდ ერთის დატოვება შეუძლებელია. რამდენადაც შეუძლებელია წვრილად ყიდვის ფორმის გაუქმება და იმის მოთხოვნა, რომ მუშტარმა უშუალოდ ბითუმად მოვაჭრესთან ივაჭროს, იმდენადვე შეუძლებელია და არა ხელსაყრელი წვრილი მოვაჭრესთვის შეასყიდოს საქონელი წარმოების ადგილას.

ვაჭრობის რაციონალიზაციის საკითხი ამგვარად იმაში გამოიხატება, რომ შექმნილ იქნეს რაც შეიძლება მარტივი და ხელსაყრელი ფორმები ამ ორი სახის ვაჭრობისა.

წვრილ ვაჭრობის მოწყობის საკითხში კოოპერაცია გამარჯვებულია ძნელად თუ ვინმე დაიწყებს ეხლა იმის მტკიცებას, რომ კოოპერატიული უჯრედი ადგილებში უნდა შეიცვალოს რაიმე სხვა აპარატით. კერძო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის დროს სახელმწიფო გადაჭრით ეყრდნობა კოოპერაციას; ამ უკანასკნელმაც დიდის ხალისით იკისრა ეს ამოცანა და დიდებით შედეგებსაც მიაღწია რამდენადაც სერიოზულად მხედველობაში არ არის მისაღები გლეხკომების, ალმასკომების და სხვა ორგანიზაციების ცდანი ამ სფეროში საბჭოთა ხელისუფლებას კერძო ვაჭრის, მედუქნის და ჩარჩის წინააღმდეგ საბრძოლველად აქვს მხოლოდ ერთი აპარატი — კოოპერატიული უჯრედი.

საბითუმო ვაჭრობის საქმე სულ სხვაა. საბითუმო ბაზრისთვის ბრძოლას აწარმოებს სამი ძალა: სახელმწიფო ვაჭრობა, კოოპერატიული ცენტრები და კერძო კაპიტალი. უკანასკნელის როლი ამჟამად საკმაოდ დიდია; მან ისარგებლა მწარმოებელ ტრესტების საფინანსო დაბრკოლებით, მოიკრიბა მთელი თავის ფარული საშუალებანი, შეისყიდა ჩვენი მსუბუქ მრეწველობის ნაწარმოებთა დიდი რაოდენობა და ახლა მპყრობელია დიდძალ საქონლისა, განსაკუთრებით ფართლეულის. სწორედ ამ კერძო მებითუმესთან ბრძოლა იწვევს სამოქმედოდ პირველ ორ ძალას—სახელმწიფო ვაჭრობას და კოოპერატიულ კავშირებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბითუმო ბაზრისკენ მიიწევს ქვემოდან ზემოდ გაერთიანებული მომხმარებელი თავის ერთიანი კოოპერაციით და კავშირების საშუალებით, ხოლო მეორე მხრით. სახელმწიფო ვაჭრობა თავის სინდიკატების, ტრესტების და მათი ადგილობრივ განყოფილებათა და აგენტურების საშუალებით. აქ არჩევანი უნდა მოხდეს ამ ორი სახის საბითუმო ვაჭრობის შორის.

შეიძლება თუ არა განხორციელება ფორმულისა: „სინდიკატი—ძირითადი კოოპერაცია", რომელსაც ასე ხშირად ახსენებენ ჩვენი ეკონომისტები? თუ ეს საკითხი დადებითად გადასწყდება, მაშინ, რასაკვირველია, საჭირო აღარ არის კოოპერატიული სავაჭრო ცენტრი. და ჩვენს ბევრს ამხანაგს იტაცებს ამ ფორმულის სიმარტივე და ჰგონიათ, რომ მის საშუალებით გადაიჭრება მწვავე საკითხები ინსტანციებისა, ზედნადებ ხარჯებისა და სხვათა შესახებ; ამიტომ საჭიროდ მიაჩნიათ, რომ შექმნილ იქნას საკომერციო კავშირი სინდიკატის განყოფილებისა და გლეხის კოოპერატიულ დუქნის შორის, მაგრამ ეს ფორმულა არც ისე მარტივი და ადვილი შესასრულებელია

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სინდიკატებისა და ტრესტების განყოფილებანიც ისევე წარმოადგენენ შუამდებარე ინსტანციებს, როგორც კოოპერატიული ცენტრები. ამასთან პირველთა შენახვა გაცილებით მეტი ჯდება, ვიდრე მეორეებისა. რამდენადაც იაფია საქონელი, რომელსაც ამა თუ იმ სინდიკატის განყოფილება აწვდის, რამდენადაც პატარაა ბოლოს და ბოლოს ტრესტი, მით უფრო მეტი ჯდება მისი ადგილობრივი აპარატის შენახვა. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და შინა ვაჭრობის კომიტეტის გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ ამ განყოფილებათა საორგანიზაციო ხარჯების რაოდენობა უდრიდა საერთო ბრუნვის 8-დან 80-დე პროცენტს, სანამდისაც არასოდეს არ მიუღწევიათ კოოპერატიულ კავშირებს. შემდეგ მეტ წილად ტრესტებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ ადგილებში განყოფილებანი, რის გამოც ერთის ცენტრით ვერ მისწვდებიან ქვეყნის ყველა კუთხეს. „ტრესტეპოს" კავშირი თვითეულ ძირითადს უჯრედს, რომელსაც სულ 1.000 მან. ბრუნვა აქვს თვეში, იძულებულ გახდის ცენტრში იაროს საქონლისათვის; ამასთან ასეთ მოგზაურობის ხარჯები იმდენად დიდია, რომ ვერც ერთი საშუალო ქონების „ეპო", რომელიც რკინის გზას არ აკრავს, მას ვერ გაუძლებს. ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ საქართველოს „ეპოების" 10 პროცენტსაც ძლივს აქვს შესაძლებლობა, რომ თბილისში ჩამოვიდეს, ხარჯები გასწიოს და საქონელი შეიძინოს

წარმოვიდგინოთ ამ დაბრკოლების დაძლევის შესაძლებლობაც. სინდიკატის ადგილობრივ განყოფილებაში, რომელსაც სათავეში უდგას უმთავრესად მოსული ხალხი, „ეპოს" წარმომადგენელი მოდის საყიდლად. განყოფილებამ არა თუ არ იცის, რამდენად სანდოა კრედიტის მხრით ეს უჯრედი, არ იცის ისიც, თუ სად არის ის სოფელი, საიდანაც მყიდველი მოვიდა მასთან. მყიდველი მას თამასუქს აძლევს, რომელსაც არავინ გაანაღდებს და რომლითაც მან ძნელად თუ ვინმე რამეს გადაახდევინებს. ამას შედეგად მოჰყვება მეტად „ფრთხილი" მოქცევა ძირითად კოოპერაციაზე კრედიტის გაცემის საქმეში და სამაგიეროდ გადიდდება გაყიდვა კერძო პირებზე, რომელთაც ნაღდი ფულიც აქვთ და რომელთა შესახებაც ბანკები კარგს ცნობებს იძლევიან.

ამ საქმეში საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი. ძვირფასი საქონლისათვის, მაგალითად, ფართლეულისათვის, მისვლა-მოსვლა კიდევ ღირს. მაგრამ მარილისა, ნავთისა და სხვა უფრო იაფი და ჩქარა გასასაღებელ საქონლის ამ გზით შესყიდვა განა შეიძლება სწარმოებდეს „ეპოს" მიმდინარე მოთხოვნილების მასშტაბით? სარკინიგზო ფრახტები იმდენად დიდია, რომ ამ საგნების იაფად გაყიდვა შეუძლებელია, თუ ის მიტანილ არ იქმნა ვაგონობით. ასეთი შესყიდვა კი აღემატება ერთი „ეპოს" ძალღონეს. ამ შემთხვევაში ტრესტს დასჭირდება ადგილებში (სადგურებში) იქონიოს საქონლის დიდი მარაგი, ხოლო ამასთან ერთად უნდა იყოლიოს მოსამსახურეთა შტატი და სხვა.

ის გარემოება, რომ ბურჟუაზიულ წყობილების კაპიტალისტ-მწარმოებელნი არ მისდევენ ნახევრად საბითუმო ვაჭრობას ადგილებში, აგრეთვე ის, რომ ჩვენს ტრესტებს არ სურთ ეკონომიურ ცენტრებიდან მოსახლეობისაკენ წაიღონ თავის საქონლით, იმით როდი აიხსნება, რომ მათ არ სურთ ეს მუშაობა შეასრულონ, არამედ აიხსნება განსაზღვრულ ეკონომიურ კანონით. ეს კანონი კი ამბობს, რომ საბითუმო და ნახევრად საბითუმო ფუნქციების შესრულება ადგილებში შეუძლიათ მხოლოდ ადგილობრივ ორგანოებს, რომელნიც იცნობენ თავის წვრილ მუშტარს. ვის შეუძლია, თუ არა ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანიზაციას, რომელიც სისტემატიურად სწავლობს და ინსტრუქტორობას უწევს თავის ადგილობრივ „ეპოებს", რომ იცნობდეს ამ უჯრედებს, რომელნიც აღიარებულნი არიან ყველაზე უფრო შესაფერ ორგანოებად წვრილ ვაჭრობისათვის?

ჩვენი დასკვნა ასეთია.

1. ძირითადი კოოპერაცია იოლად ვერ წავა, თუ მას არ ექნება თავისი სავაჭრო ცენტრი. კრედიტის საქმე, ე. ი. საბრუნავ თანხის მაზიდვისა და ფართო მოსახმარ საქონლის სისტემატიურად მიწოდების საკითხი შეიძლება გადაჭრილ იქნას მხოლოდ ცენტრის არსებობის დროს, რომელიც გამოვა ცენტრალურ ბაზარზე ძირითად კოოპერაციის სახელით და მათის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. თუ ეს დებულება ვისმეს სადაოდ ეჩვენებოდა იმ ნაწილში, რომელიც სოფლისათვის საქონლის მიწოდებას შეეხება, სამაგიეროდ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ცოტად თუ ბევრად გეგმობრივი გასაღება, აგრეთვე სოფლის წინასწარ უზრუნველყოფა სასეზონო ხასიათის საქონლით და მასალით შესაძლებელია მხოლოდ კოოპერაციის სავაჭრო ცენტრის არსებობის დროს.

2. სახელმწიფო ვაჭრობა სამსახურს ვერ გაუწევს ძირითად კოოპერაციას, ვინაიდან ტრესტების საკომერციო წარმომადგენლებს არ შეუძლიათ განავითარონ განყოფილებათა და ბაზათა ქსელი, რაიც საჭიროა სოფლის მოსამარაგებლად; ამასთან ისინი არ იცნობენ თავის მუშტარს და არც შეუძლიან შეისწავლონ იგი.

აქედან გამომდინარეობს პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს კოოპერაციის სავაჭრო ცენტრის ფუნქციები.

ეს ცენტრი ძირითად კოოპერაციისათვის მებითუმე უნდა იყოს, მაგრამ არა ისეთი მებითუმე, რომელიც მხოლოდ უცდის მუშტარს, არამედ ისეთი, რომელიც სახელმწიფოს დავალებით, მშრომელ მოსახლეობის ინტერესთა თანახმად, შესძლებს მოაწყოს გეგმითი მომარაგება სოფლისა და გეგმითი მიზანშეწონილი გასაღება მისი პროდუქციისა.

ამ ცენტრისა და ჩვენის მრეწველობის საკომერციო წარმომადგენლობათა შორის ურთიერთობანი თავისთავად ჩამოყალიბდება. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი მრეწველობა შეიგნებს, თუ რამდენად ხელსაყრელია მის წარმომადგენლობათა ფუნქციების გადაცემა ამ ცენტრზე, რომლის ხელშიაც ფაქტიურად უნდა იყოს კიდეც ქვეყნის მომარაგება.

ე. დ.

შტრეზემანი უკან იხევს

განთავისუფლებულია ჩვენი საელჩოს დაპატიმრებული თანამშრომლები

შტრეზემანმა მოსალაპარაკებლად მიიწვია საბჭოთა საელჩოს მრჩეველი

გერმანიის კომპარტიამ თანაგრძნობის დეპეშა გამოუგზავნა რუსეთის კომპარტიის ცეკას

ინციდენტის შემდეგ

საბჭოთა წარმომადგენლობის მრჩეველი შტრეზემანთან

მოსკოვი. 10 მაისი. 9 მაისს განთავისუფლდნენ საბჭოთა წარმომადგენლობის ყველა დაპატიმრებული თანამშრომლები. შტრეზემანმა მოიწვია პირადად მოსალაპარაკებლად საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი ამხ. ბროდოვსკი.

მუშების პროტესტი

მოსკოვი. 10 მაისი. გერმანიის მრავალ ადგილებში გაიმართა მუშების მრავალრიცხოვანი მიტინგები მიტინგებზე გამოტანილ იქნა პროტესტი გერმანიის პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ.

ხემნიცის მუშებმა მთავრობას გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც ხაზგასმით პროტესტს აცხადებენ პოლიციის თავხედობის წინააღმდეგ. მუშებმა თანაგრძნობისა და ხელიდართვის დეპეშა გაუგზავნეს საბჭოთა მთავრობას.

ზინოვიევისა და რადეკის ეშინიათ

მოსკოვი. 10 მაისი. „ლოკალ ანცაიგერი" და „ფოსიშე ცაიტუნგი" ამტკიცებენ, რომ საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები ბერლინში კომუნისტურ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

„ფოსიშე ცაიტუნგ" განსაკუთრებულ საშიშროებას ხედავს ამხ. ზინოვიევის და რადეკის მოღვაწეობაში.

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ" ცდილობს საერთაშორისო უფლებრივ ნორმაზე დაყრდნობით გაამართლოს საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის გაჩხრეკის კანონიერება.

სარგებლობენ შემთხვევით.

ბერლინი. 8 მაისი. გერმანიის პრესაში ბოლშევიკურ პროპაგანდის შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებასთან ერთად გაძლიერდა კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ. მეკლენბურგში დაპატიმრეს კომპარტიის 6 აქტიური მუშაკი და ლანდტაგის კომუნისტი დეპუტატი შმიდტი. დრეზდენში დაატუსაღეს მრავალი კომუნისტი.

საუბარი ამხ. კრასინთან

[illegible]

მოსკოვი. 10 მაისი. „როსტას"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. კრასინმა აღნიშნა, რომ გერმანიის მთავრობა ჩვენს დიდ ხნის მოთმინებას უცქერის, ალბად, როგორც ჩვენი სისუსტის ნიშანს. ახლო წარსული დაამტკიცებს ასეთი შეხედულების სრულ გაუმართლებლობას. საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო მეტ მშვიდობიანობის მოყვარულობას იჩენს მთელს მსოფლიოში და ცდილობს ყოველგვარ შეტაკების დროს გამონახოს მშვიდობიანი გამოსავალი, მაგრამ ის არავის არ მისცემს მისი უფლებების შელახვის ნებას.

„ინციდენტი" გერმანიას მოუტანს ზარალს.

ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა ბერლინში დაიხურა და მან ბრძანება მიიღო შეამციროს ოპერაციები მინიმუმამდე

ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა იმდენად მტკიცეა, რომ ჩვენ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ გერმანიის საქონელს. გერმანიის გაცილებით უფრო გაუძნელდება ნედლი მასალის პოვნა სხვა ბაზრებზე დარბევა, რომელიც მოახდინა გერმანიის პოლიციის უხეშობამ, იაფი არ დაუჯდება გერმანიის ვაჭრობას.

კომპარტიის ხმა

გერმანიის კომპარტიის დეპეშა

მოსკოვი. 10 მაისი. რუსეთის კომპარტიის ცეკამ მიიღო გერმანიის კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციისაგან დეპეშა, რომელშიაც ის ესალმება რუსეთის მუშებს „იმ მომენტში როდესაც გერმანიის ბურჟუაზიის სოც.-დემოკრატიული ლაქიები ახდენენ მუხანათურ თავდასხმას სავაჭრო წარმომადგენლობაზე, საბჭოთა კავშირთან კონფლიქტის გამოწვევის მიზნით."

ჩვენი პური

ჩვენი პური გერმანიაში

მოსკოვი. 10 მაისი. პურის ექსპორტის სამმართველოს ცნობით, გერმანიაში ხდება უმთავრესად ჭვავის შეძენა. გერმანიაში პურის შეზიდვა შეადგენს ჩვენი პურის ექსპორტის 70 პროცენტს. გერმანიაში შეტანილ პურის ბალანსში საბჭოთა კავშირის ჭვავი შეადგენს 95 პროც.

მშრომელთა ხმა

გერმანიის ახალშენის მცხოვრებთა პროტესტი

მოსკოვი. 10 მაისი. მოსკოვში გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ახალშენის მცხოვრებლებმა, პოლიტიკურმა ემიგრაციამ და მოსკოვში მომუშავე გერმანელმა მუშებმა; დამსწრეებმა დაგმეს გერმანიის პოლიციის თავდასხმა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაზე ბერლინში.

გერმანია იზარალებს

საუბარი ამხ. რიკოვთან

შეაწყვეტთ ვაჭრობას გერმანიასთან.

მოსკოვი, 10 მაისი. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა განაცხადა, რომ შექმნილი მდგომარეობა მეტად ძნელია გერმანიისათვის. ჩვენი ნორმალური კომერციული მუშაობა გერმანიასთან შეუძლებელია, სანამ ჩვენ არ მივიღებთ დაკმაყოფილებას და მტკიცე გარანტიებს იმისა, რომ ამგვარი შემთხვევებს მომავალში ადგილი აღარ ექნება.

ვისი იმედით?

პოლიციის თავდასხმა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაზე მოწმობს იმას, რომ გერმანიის მთავრობა სავსებით მიემხრო ექსპერტთა კომისიის დასკვნას და მან გადასწყვიტა უხეში ძალადობის აქტებით რევოლუციონური ქვეყნის სავაჭრო წარმომადგენლობის მიმართ დაიმსახუროს ევროპის რეაქციონური წრეების ნდობა.

იმ შემთხვევაში, თუ ახლო მომავალში გერმანიის მთავრობა არ მოგვცემს სათანადო დაკმაყოფილებას და გარანტიებს, ჩვენი კომერციული ურთიერთობა გერმანიასთან შეკვეცილი იქნება მინიმუმამდე. როგორც სჩანს, გერმანიის მთავრობას არ აქვს შეგნებული თავისი საქციელის მთელი პოლიტიკური მნიშვნელობა და შედეგები

გერმანია არჩევნების შემდეგ

მთელ რურის ოლქში დაიწყო საერთო გაფიცვა

კომპარტია მოუწოდებს მუშებს მტკიცედ განაგრძონ ბრძოლა

ყველა ბურჟუაზიული პარტიები „დაეძებენ" მომავალ პრემიერს და მსჯელობენ ახალი მთავრობის შესახებ.

გაფიცვები მაღაროებში

სოციალ-დემოკრატები ღალატობენ მუშებს.

მოსკოვი 10 მაისი. რურში გაფიცულია 400 000 მაღაროს მუშები, ე. ი. რურის მაღაროს მუშების 94 პროც. მრავალი ღუმელი ჩაქრეს, გაზის მიწოდება ფაბრიკა ქარხნებისათვის შეწყვეტილია. თემის სამმართველოები, რომელთა უმრავლესობა პროლეტარული ელემენტისაგან შესდგება, მოუწოდებენ მოსახლეობას სურსათით დაეხმარონ გაფიცულებს. მოკავშირეთა ინჟინრების კომისია ჯერ თვალყურს ადევნებს მოვლენათა განვითარებას. ქრისტიანული და სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირები მოლაპარაკებას აწარმოებენ შრომის სამინისტროსთან კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ.

გერმანიის კომპარტიის მოწოდება.

მოსკოვი, 10 მაისი, გერმანიის კომპარტია მიმართვაში მოუწოდებს მთელი ქვეყნის ტრანსპორტისა და მაღაროს მუშებს გამოუცხადონ სოლიდარობა გერმანიის გაფიცულ მუშებს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ მწარმოებლებს სურთ დააკისრონ მუ-

ყოფა-ცხოვრების საკითხებიდან

დასკვნა: სოციალისტური კულტურა

ყოველი საზოგადოება ცდილობს შექმნას თავისი კულტურა. ეს არის სტიქიური მისწრაფება მატერიალურ და ფსიქიურ ძალთა შეთანხმებისა, რომელიც არსებობს საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზედ. ეს ახალი კულტურა შესდგება ერთი მხრივ იმისაგან, რაც არის, რაც მოუცია წარსულის ბუნებრივ და სოციალურ ყოფას, ხოლო მეორე მხრივ იმისაგან, რაც უნდა იყოს, რისკენაც არის საზოგადოების შემადგენელ ელემენტთა მისწრაფება

ეს საერთო დონე შეგნების, მომზადების, მისწრაფების არ არის შედეგი რაიმე მეტაფიზიკური პირველ მიზეზის (სუბსტანციის,) იგი არც „ხალხის სულის" გამომხატველია. არა, ეს არის სინამდვილეში არსებულ ადამიანების აზრთა, გრძნობათა, ნებათა გამოხატვა, რაც თავისი მხრივ განისაზღვრება საზოგადოების საერთო მატერიალური და სულიერი სიმწიფით, მომზადებით, განვითარების საფეხურით. რამდენადაც არის სხვაობა მატერიალურ სულიერი ყოფის განვითარების სხვადასხვა საფეხურზედ, იმდენათ სხვაობაა სხვადასხვა საზოგადოების კულტურას შორის.

ყოველი საზოგადოება მაშინ არის მტკიცე და ურყევი, თუ მან შექმნა თავისი კულტურა.

სანამ სოციალისტური კულტურის კონკურენციას არ დაუჩრდილავს კაპიტალისტური კულტურა, მანამ საბოლოო გამარჯვება მიღწეული არ არის, თუ გინდ პროლეტარიატის მიერ მთელი მსოფლიო იყოს დაპყრობილი

დიდი მასწავლებელი ლენინი ამბობდა—ბევრი გაკეთდა საფუძველთა გამტკიცების თვალსაზრისით, მაგრამ ცოტა გაკეთდა მიზნის მიღწევის თვალსაზრისით. ეს სიმართლე სიმართლედ დარჩება, სანამ სოციალისტური კულტურის გავლენა არ დაეტყობა ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას, ჩვენს ნებას, ჩვენს მოქმედებას და მოღვაწეობას.

მუშათა კლასს აქვს სამმისო ძლიერი იარაღი—ძალა-უფლება. ძალა უფლების საშუალებით იგი სოციალური ცხოვრების მიმდინარეობაზედ უძლიერეს გავლენას ახდენს. ეკონომიურ საქმიანობას საზოგადოების დიდი უმრავლესობის ინტერესს უმორჩილებს.

მეცნიერების დემოკრატიზაციით, მეცნიერების გახალხოვნებით იგი საზოგადოების ფართო წრეებს გზას უხსნის ახალ კულტურის შექმნის პროცესში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, ღარიბთა, მშრომელთა ფენებიდან კრებს ნიჭიერ, ენერგიულ ძალებს და ზრდის, ანვითარებს, ამაღლებს მომავალ ცხოვრების კულტურულ ძალებს.

ხელოვნების სფეროში ეს შედარებით მძიმეა. რამდენიც უნდა ამტკიცოთ პროლეტარულ პოეზიის საჭიროება, იგი ამით არ გაჩნდება. ხელოვნება სოციოლოგიური მოვლენაა, იგი მოაქვს ეპოქას მის მაჯისცემას, მის მოძრაობას და შემოქმედებას. ეს პროცესი უფრო მეტად არ ითვისებს ნებიერ ჩარევას, შემოქმედებას, ვიდრე მეცნიერების გავრცელებას, მეცნიერული მუშაკების მომზადების საქმე რა თქმა უნდა და აქაც შეიძლება მთელი რიგი მიზნების მიღწევა. ეს არის უმთავრესად ხელოვნების გავრცელება მასიურად, ხელოვნების განვითარება ხალხოსნურად.

ჩვენი კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს გამოჩენილ მომღერალთა და არტისტთა გასტროლებს, რომიდან იქნება ის თუ მოსკოვიდან თუ ბერლინიდან. არც იმას აქვს დიდი მნიშვნელობა—უამრავი ხარჯები გავწიოთ მხოლოდ აკადემიური თეატრებისათვის. სამი ოთხი მომღერალის მოწვევას ერთ სეზონში სჯობს ერთი სახალხო სიმღერის ჩაწერა, ან მომღერალთა მოძრავი გუნდის შექმნა, რომელიც ჩამორჩენილ კუთხეებში შეიტანს ხელოვნების აზრსა და ფერს.

ჩვენ იმ პერიოდში გვიხდება მუშაობა, როდესაც გასაზრდელს უფრო უნდა მოუაროთ, ვიდრე გაზრდილს, გაზრდილი მიმავალი კულტურის დროებით გამოყენებისათვის გვჭირდება, გასაზრდელი მომავალი კულტურის შექმნისათვის.

ერის, ხალხის კულტურა არ იქმნება დღეებით, თვეებით და წლებითაც, ამ სფეროში ათეული წლების სისტემატიური მუშაობაა საჭირო. დღეს ყოველი ჩვენგანის სახეზე არის აღბეჭდილი ჩვენი „ოქროსა" და „ვერცხლის ხანის" გავლენა. ეს არას არა მარტო ინტელექტუალური ზრდის საფეხურზედ, არამედ მთელი სულიერი ცხოვრების კომპლექსზეც.

ჩვენც ხანგრძლივი ბრძოლით და შრომით შეგვიძლია ახალი აზრის და ახალი საქმის დამკვიდრება. სოციალისტური კულტურის გაბატონება საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ გამოსახვაში იქნება საწინდარი მთელი საზოგადოების კულტურული სიმდიდრის, ეროვნული კულტურის უმაღლესი განვითარების.

კულტურის პრობლემა გარდამავალი პერიოდის საზღვარზედ ერთი ურთულესი და უძნელესი პრობლემაა. ჩვენს მიზანს არ შეადგენდა ამ პრობლემის გარჩევა. ჩვენ მხოლოდ ყოფა-ცხოვრების საკითხებიდან ავიღეთ რამდენიმე მოვლენა, როგორც საერთო კულტურული ყოფის დამახასიათებელი. საუბარი გაგვიგრძელდა, მაგრამ საკითხების მთელი წყება მაინც გაურჩეველი დაგვრჩა.

მუშათა კლასისათვის ყოფა-ცხოვრების საკითხები, კერძოთ, და კულტურის საკითხები, საერთოდ, უდიდესი მნიშვნელობისაა. მუშათა კლასს ეხლა უდევს ბრძოლა და მოქმედება ბურჟუაზიული კულტურის დაცემის, დაშლის დროს, როდესაც ჯერ კიდევ სოციალისტური კულტურა არ მოსულა გაძლიერებული, მოღონიერებული და წელ გამართული. ეს მოვლენა გასაგებია გარდამავალ პერიოდში შეიძლება იქნეს მხოლოდ რევოლუციონური კულტურა, როგორც შესავალი სოციალისტურ კულტურაში. ეს საერთო ფონი განსაზღვრავს ყოფა ცხოვრებასაც ჯერ უნდა შევსძლოთ ყოფა ცხოვრების გარდაქმნა, რომ აქედან გადავიდეთ სოციალისტურ ყოფა ცხოვრებაზედ.

ხერ. ამალღობელი.

ორშაბათს, მაისის 12, საღამოს 7 საათზე
დანიშნულია

საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

საქ. ცაკის მდივანი ა. ხახაშვილი.

ამიერ-კავკასიის კომპარტიების ყველა ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მესამე ყრილობასთან ერთად შესდგება სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებათა ამიერ-კავკასიის თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში:

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. საპროგრამო-მეთოდური კომისიის მოხსენება (ამხ. რაბინოვიჩი).
3. ამიერ-კავკასიის საბჭოთა პარტიულ სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ (საქართველოსა და სომხეთის შესახებ—მომხს. ამხ. ორაგველიძე, აზერბაიჯანის შესახებ—ამხ. რასულ-ზადე, თბილისის საბჭოთა პარტიულ სკოლის გამოკვლევის შესახებ—ამხ. ხაჭაპურიძე)
4. საგამომცემლო საქმის შეთანხმების შესახებ (ამხ. ლუზენსკი).
5) მოხსენება ამიერ კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის შესახებ (ამხ. კასიანი).
6) შრომის სკოლების მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსების მოწყობის შესახებ (ამხ. შავერდოვა)
7) სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეებისათვის კურსების მოწყობის შესახებ (ამხ ხაჭაპურიძე).

გამოცხადდნენ თოთხმეტ მაისისათვის ცენტრალური და საოლქო კომიტეტების სააგიტაციო-საპროპ. განყ. გამგეები, პოლიტ-განათლების და ცენტრალური პარტსკოლების გამგეები.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის
სააგ.-საპრ. განყოფილება.

შებს ვერსალის ხელშეკრულების მთელი სიმძიმე.

ინგლისის ნავთსადგურებისა და ტრანსპორტის მუშებმა არ უნდა გაუშვან ნახშირი გერმანიისათვის. ასევე უნდა მოიქცნენ პოლონეთის, საფრანგეთის და ჩეხო-სლოვაკიის მუშები. ბელგიის მაღაროს მუშებმა საყოველთაო გაფიცვა უნდა გამოაცხადონ. მელითონეებმა და რკინისგზელებმა მხარი უნდა დაუჭირონ რვა საათის სამუშაო დღისათვის ბრძოლას...

ბრძოლა ბოლომდის.

ბერლინი. 10 მაისი. რურიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მემაღაროებმა და შტეიგერებმა გადასწყვიტეს ბოლომდის აწარმოვონ ბრძოლა ხელფასისა და სამუშაო დღისათვის. შუამავლობის ყოველგვარი ცდა დღემდის უშედეგო აღმოჩნდა. ზარალი დიდია. ბერლინში გაიმართა კაბინეტის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი კონფლიქტის მოსაგვარებლად საჭირო ზომების მიღების შესახებ.

მუშათა მოძრაობის ტალღა

გაფიცვების ტალღა.

ბერლინი. 8 მაისი. რურში გაფიცულია სამთომადნო წარმოების მუშათა 90 პროც. გერმანია იძულებულია საფრანგეთის და ანტანტის სხვა სახელმწიფოების დასაკმაყოფილებლად, ნახშირი ინგლისში შეიძინოს. გერმანია ყოველ დღე ზარალობს 2 მილიონ ოქროს მარკას.

ზემო სილეზიის მუშების გაფიცვას შეუერთდა 60 000 მელითონე.

რკინის გზელებმა დაადგინეს გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა და მოითხოვონ 8 საათის სამუშაო დღე.

საყოველთაო გაფიცვა საქსონიაში გრძელდება.

გაფიცვები გრძელდება აგრეთვე ლიუდვიგსჰაფენის ქიმიურ მრეწველობაში.

გაფიცული არიან სასოფლო მეურნეობის მუშები აღმოსავლეთ პრუსიაში.

სულ გაფიცულია 600 000 მუშა.

„როტე ფანე“ გაფიცვას უწოდებს მუშათა კლასის საჩუქარს ახალი რეიხსტაგისადმი რვა საათის სამუშაო დღის ხელ-ახლა მოსაპოვებლად.

ახალი მთავრობის „ძებნაში“

ხალხური დემოკრატები შიშს გამოსთქვამენ

ბერლინი. 8 მაისი. ვინაიდან ნაციონალისტები აგრარულ კავშირთან ერთად უმრავლესობას წარმოადგენს რეიხსტაგში, გერმანიის მთავრობა, როგორც სჩანს უარს იტყვის დიდი კოალიციის შექმნაზე და თანდათანობით იხრება ნაციონალისტებზე დაყრდნობის აზრისაკენ. ნაციონალისტების და ცენტრის შეთანხმების შესაძლებლობა დიდ შიშს იწვევს ტევტონურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ლონდონის კონფერენცია

მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს

კონსერვატიული პრესა კამპანიას ეწევა ჩვენს წინააღმდეგ

ინგლისი არ თანაუგრძნობს რუმ.-საფრ. კავშირს ჩვენს წინააღმდეგ

როდის გათავდება კონფერენცია

როდის გათავდება კონფერენცია.

ლონდონი, 8 მაისი. კლაინსმა თემთა პალატაში შეკითხვაზე საპასუხოთ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს რამდენ ხანს გასტანს კონფერენცია და აღნიშნა, რომ მაკდონალდი მიიღებს ყველა ზომებს მოლაპარაკების მიმდინარეობის დასაჩქარებლათ.

ამერიკის პრესა კონფერენციის შესახებ

ნიუ-იორკი. 8 მაისი. „ჟურნალ ოფ კომერს“ ესალმება შეინმანის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი მხოლოდ იმიტომ, რომ მიიღოს სესხი, არ იკისრებს ისეთ ვალდებულებას, რომლის შესრულება შეაფერხებს მის განვითარებას, არამედ არჩევს უფრო ნელ, მაგრამ სხვა ქვეყნებისაგან დამოუკიდებელ განვითარებას. გაზეთი მიუთითებს, რომ ასეთი პოლიტიკა სასარგებლო იქნება ევროპის მრავალ სახელმწიფოსათვის რომლებიც ახლა ოღონდ სესხი კი მიიღონ და მზად არიან დაიდვან პოლიტიკური და ეკონომიური მონობის ბორკილი.

მოლაპარაკების შესახებ.

ლონდონი 8 მაისი. საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგე გაზეთები სწერენ, რომ ბოლშევიკები განზრახ აჭიანურებენ მოლაპარაკებას. „დეილი ტელეგრაფი“-ი აღნიშნავს, რომ მაკდონალდი წარუდგენს საბჭოთა დელეგაციას ულტიმატუმს—შეუდგეს მუშაობას ან გაემგზავროს უკანვე, რომ ამას არ ეწინააღმდეგებოდნენ მისი ამხანაგები - ბოლშევიკების მომხრეები.

ჩვენ და უცხოეთი

რუმინეთი.

ეშინიათ.

ვენა. 8 მაისი. უნგრეთისა და ბულგარეთის პრესა იუწყება, რომ რუშჩუკში სწარმოებს მზადება რუმინეთის ჯარების გადასაყვანად ბესარაბიაში.

რუმინეთის გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს საბჭოთა კავშირის სამხედრო მზადების შესახებ და აღნიშნავენ თითქო ტროცკი და კამენევი ჩავიდნენ კამენეც პოდოლსკში რუმინეთის ზღვაზე საბჭოთა ჯარების დასათვალიერებლად.

სპარსეთი

საბჭოთა აეროპლანები.

თეირანი. 8 მაისი. ორი საბჭოთა აეროპლანი, რომლებიც ბაქოდან ენზელში ჩაფრინდნენ, გზაში იმყოფებოდნენ 160 წუთი. მოელიან კიდევ 10 აეროპლანის ჩასვლას. ეს აეროპლანები აშენებულია სპარსეთისათვის.

ჩინეთი.

ჩჟან ცზო ლინი მოქმედობს.

ვლადივოსტოკი 10 მაისი. ჩჟან-ცზო-ლინმა დანიშნა წარმომადგენელი, რომელმაც უნდა ინახულოს ვანი და კარახანი

იაპონია

ინტერესი რუსეთის მეცნიერებისადმი.

მოსკოვი. 10 მაისი. „რუსეთ-იაპონიის ურთიერთ დამხმარე საზოგადოების“ დირექტორმა, კოტომ, რომელიც მოსკოვში იმყოფება, ინახულა ამხ. სემაშკო და მასთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ იაპონიის მეცნიერულ წრეებს ძლიერ აინტერესებს საბჭოთა მთავრობის სოციალური ხასიათის ღონისძიებები.

რუმინეთის გეგმების ჩაშლა

ინგლისის ჩარევა

ვენა. 8 მაისი. ბუქარესტიდან იტყობინებიან: ვენის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ, რუმინეთის მთავრობა ამუშავებდა საზოგადოებრივ აზრს იმით, რომ დადებული იქნებოდა ახალი კავშირები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ რუმინეთის მთავრობის გეგმა არ გამართლდა: ბუქარესტში მყოფმა ინგლისის ელჩმა გააფრთხილა რუმინეთის მთავრობა თუ იჩქარებს კავშირის შეკრას საფრანგეთთან წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისი შეწყვეტს კრედიტების მიცემას რუმინეთისათვის. ბრატიანუს გამგზავრება ოსმალეთში არ მოხდა აგრეთვე ინგლისის ჩარევის გამო.

არჩევნები საფრანგეთში

ლონდონი. 10 მაისი. საფრანგეთში არჩევნები დანიშნულია კვირისათვის.

რომი. 10 მაისი, პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად საარჩევნო კამპანია თავის უმაღლეს წერტილს მიაღწევს კვირას. საფრანგეთის გაზეთების აზრით არჩევნების შედეგი გავლენას მოახდენს საფრანგეთის მთავრობის პოზიციაზე რურის საკითხში.

კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ.

პარიზი. 8 მაისი. ბურჟუაზიული ჯგუფები, რომელთაც ემხრობა ფრონსარის ჯგუფიც, არჩევნების წინ გაფართოებულ კამპანიას აწარმოებენ კომუნისტების წინააღმდეგ, იწვევენ პროვოკაციას. საფრანგეთის ეპისკოპატმა წინადადება მისცა კათოლიკებს ხმა მისცენ კომუნისტების წინააღმდეგ.

გერმანიის მთავრობის პროვოკაციის საპასუხოდ

(თბილისის მშრომელთა ხმა)

ქუჩებში

გუშინ 10 მაისს თბილისის პროლეტარიატმა საკადრისი პასუხი გასცა გერმანული ფაშისტების უსირცხვილო საქციელს.

თბილისის მთავარი ქუჩები გაივსო უზღვავი დემონსტრანტებით, რომელთაც პლაკატები ხელში, ფაშისტების მისამართით თქმული საპროტესტო ძახილით თავს ზარსსცემდენ შინაურ ბურჟუაზიას და ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის აგენტებს თბილისში.

გულის სიღრმიდან ამომავალი რისხვიანი მოწოდება გაისმოდა თბილისის ქუჩაზე განუწყვეტლივ შუადღის 12 საათიდან 4 საათამდე.

პლაკატები

საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის ყველა სახელოსნოების, და წარმოების და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეები. პლაკატების მთელი ტყე მოწმობდა, თუ რა აღელებს თბილისის პროლეტარიატს.

ჩვენ არ გვაშინებს.

მომაკვდავი ბურჟუაზიის სასიკვდილო ფართხალი?

— ურყევი არის საბჭოთა კავშირის, მშრომელთა ნებისყოფა!

ეს სიტყვები სწერია თბილისის მუშების პლაკატებზე და ამასვე მეტყველებს სახე ყოველი მუშისა.

— ძირს გერმანელი ფაშისტები და გერმანელი მენშევიკები, რომელნიც ხულიგნური აქტით ზურგს უმაგრებენ პუანკარეს!

მეტყველებს მეორე პლაკატი.

— ზიზღი გერმანიის ფაშიზმის პროვოკატორულ გამოსვლას,—ამცნობს მესამე პლაკატი ჩვენს მტერ-მოყვარეთ!

— გერმანიის კომპარტიის გამარჯვება რეიხსტაგის უკანასკნელ არჩევნებში გერმანიის ბურჟუაზიის დამხობის თავდებია!

გაუმარჯოს გერმანიის კომპარტიას და პროლეტარიატს.

მრავალი ასეთი პლაკატი ნათლად მეტყველებს, თუ როგორი ძალა ჰყავს საბჭოთა კავშირს პროლეტარიატის სახით.

— შორს თბილისიდან გერმანული ფირმები,—აი რას ამბობენ ერთხმად თბილისის მუშები. თითქმის ყველა წარმოების მუშებს წინ მიუძღვის ზემოხსენებული წარწერა:

ცეკას და სახსახკომის წინ

რუსთაველის პროსპექტზე გამოფენილი დემონსტრანტები ჯერ ჩერდებიან საქართველოს კომპარტიის ცეკის შენობის წინ, სადაც ეს ზღვა ხალხი ხმაურით გამოსთქვამს თავის გულისწყრომას და ზიზღს გერმანული და და საერთაშორისო ფაშიზმის მიმართ.

შემდეგ დემონსტრანტები ინტერნაციონალის სიმღერით მიემართებიან სასახლის ქუჩ, (სახ. კომ. საბჭოს შენობა) სადაც ამ დროს მიმდინარეობს საქ. კომ. პარტიის მესამე ყრილობა.

დემონსტრანტებს წინ უძღვიან რკინისგზელნი და დეპოს მუშები, რომელნიც ამჟამად მიაფრიალებენ წინ გერმანიის პროლეტარიატის მიერ თბილისის მუშებისადმი მიძღვნილ წითელ დროშას გერმანული წარწერით.

მანიფესტანტების წინამძღოლი რიგები ჩერდებიან სასახლესთან და მკაცრი ძახილით გამოსთქვამენ თავის აღშფოთებას.

სიტყვები

აქ რკინისგზელთა სახელით სიტყვას ამბობენ ამხ. აზრუმელაშვილი და ერმოლოვა.

პირველი ესალმება საქ. კომ. პარტიის მესამე ყრილობას, რომელსაც აუწყებს თბილისის პროლეტარიატის აზრს გერმანელი ფაშისტების თავხედობის შესახებ. ჩვენს ნებისყოფას,— ამბობს ორატორი, ვერ გასტეხს გერმანიის ბურჟუაზიის სასიკვდილო ფართხალი.

გერმანიის კომპარტიის გამარჯვება მომასწავებელია მისა, რომ ფაშიზმი საბოლოოდ განწირულია!

ამავე შინაარსის სიტყვას ამბობს ამხ. ერმოლოვა რუსულ ენაზე

ამხ. ურუშაძის სიტყვა

კომპარტიის მესამე ყრილობის სახელით დემონსტრანტებს ესალმება ქუთაისელი დელეგატი ამხ ურუშაძე. რევოლუციონერ მუშებს და მოქალაქეებს— შემოკრბნენ — კომპარტიის გარშემო და დაიცვან მუშათა და გლეხთა — რესპუბლიკების — კავშირი თავხედთა თავდასხმისაგან.

გერმანიის საკონსულოსთან

სიტყვების წარმოთქმის შემდეგ დემონსტრაცია სასახლის და სოლოლაკის ქუჩით მიემართება გერმანიის გენერალური საკონსულოს შენობისაკენ.

შუადღის ორ საათზე მუშათა მასსები ტალღები ზღვის ზვირთებივით აწყდებიან საკონსულოს შენობას გაისმის ზიზღის და აღშფოთების გამომხატველი ხმები:

— ძირს ფაშიზმი,—ძირს ხულიგნური და პროვოკატორული გამოსვლა! ძირს პუანკარეს დამქაშები!

— შორს თბილისიდან გერმანული ფირმები!

გაუმარჯოს გერმანიის მებრძოლ ფაშიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მუშები მოითხოვენ პასუხს და განმარტებას გერმანიის საკონსულოსაგან, მაგრამ არავინ სჩანს. აქ სიტყვებს ამბობენ ამხ. აზრუმელაშვილი და ამხ. ერმოლოვა.

სიტყვების შემდეგ დემონსტრანტები რევოლუციონურ სიმღერებით და მუსიკით ბრუნდებიან უკანვე

მდგომარეობა ინგლისში

მეთვრამეტეჯერ დაიწყო შოტლანდიის საკითხის განხილვა

10 მაისს ერთმანეთს შეხვდებიან მაკდონალდი და პუანკარე

სპეც. კომისიამ დაადასტურა მაღაროს მუშათა უმწეო მდგომარეობა

ინგლისის სასამართლო მემაღაროეთა მოთხოვნილებების შესახებ

ლონდონი. 10 მაისი. ინგლისის მთავრობის მიერ დანიშნულმა საგამომძიებლო სასამართლომ დაადგინა, რომ მემაღაროეების მეპატრონეებთან შეთანხმების ძალით მემაღაროეები იღებენ ყოველდღიურ ხელფასს, რომელიც შედარებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ომამდე ამასთანავე სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შეთანხმება საშუალებას აძლევს მაღაროების მეპატრონეებს მიიღონ უფრო მეტი მოგება, ვიდრე ომამდე. სასამართლო ფიქრობს, რომ მემაღაროეების მოთხოვნილება ფაქტიურ მოგების გამორკვევამდე ხელფასის მინიმუმის გამოანგარიშების შესახებ, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, მაგრამ სასამართლოს არ შეუძლია განსაზღვროს ის პირობები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ მინიმუმის დაწესება. მემაღაროეების მოლაპარაკების განახლება მაღაროების მეპატრონეებთან სასამართლოს მიაჩნია ერთად ერთ საშუალებად, რათა შეცვლილ იქნას ხელშეკრულება ხელფასის შესახებ, ამასთანავე სასამართლო ფიქრობს, რომ ზოგიერთ რაიონებში ნახშირის მრეწველობის მოგება არ იძლევა საშუალებას დაკმაყოფილებულ იქნას სავსებით მემაღაროეების მოთხოვნილებანი

კანონი შოტლანდიის თვითმართველობის შესახებ თემთა პალატაში

ლონდონი. 10 მაისი. დღეს თემთა პალატა იხილავდა კანონს შოტლანდიის თვითმართველობის შესახებ. კანონი შეიტანა პალატის წევრმა ბიუკენენმა.

ბიუკენენმა განაცხადა, რომ თუმცა შოტლანდიელებს არ ჩვევიათ მოითხოვონ თვითმართველობა იმ გზით, რა გზითაც ითხოვდა ირლანდიის ხალხი, მაგრამ შოტლანდიელები გულწრფელნი არიან თავიანთ მოთხოვნილებაში.

კონსერვატორებმა გაილაშქრეს ამ კანონის წინააღმდეგ. ლიბერალმა მაკფერსონმა განაცხადა, რომ შოტლანდიას აქვს უფლება იქონიოს საკუთარი ადმინისტრაცია. შოტლანდია არ აყენებს ირლანდიისებურ მოთხოვნილებებს მხოლოდ იგი ჩუმად და გულწრფელად გამოსთქვამს თავის ზრახვებს.

უკანასკნელ 35 წლის განმავლობაში შოტლანდიის თვითმართველობის საკითხი დაყენებულია თემთა პალატაში მეთვრამეტეჯერ.

კონსერვატიული პარტია და მუშათა მთავრობა.

ლონდონი. 10 მაისი. ბალდვინმა განაცხადა, რომ კონსერვატიულ პარტიის ტრადიციაა—მხარი დაუჭიროს მთავრობას, თუ ეს მთავრობა აწარმოებს თანდათანობით პოლიტიკას და იცავს ქვეყნის სახელს და მთლიანობას

საფრანგეთი და ინგლისი

პრემიერების შეხვედრა.

ლონდონი. 10 მაისი. მოკავშირეთა საერთო კონფერენციის მოწვევა ახლო მომავალში საეჭვოა. ადვილი შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში ერთმანეთს შეხვდებიან მაკდონალდი და პუანკარე.

ლონდონი. 10 მაისი. როგორც იუწყებიან მაკდონალდის და პუანკარეს თათბირი მოხდება 20 მაისს ჩეკერსში. „დეილი მეილის“ პოლიტიკური კორესპონდენტი ამბობს, რომ ამ თათბირს ექნება მოსამზადებელი ხასიათი ევროპის სახელმწიფოების საერთო კონფერენციის მოწვევამდე, რომელიც შესდგება ინგლისში.

პარიზი. 10 მაისი. „პეტი პარიზიენი“ საფრანგეთის და ბრიტანეთის პრემიერების შეხვედრის (20 მაისს) ამბობს, რომ შეხვედრა ფრიად სასარგებლო იქნება, რადგან ხელს შეუწყობს რთულ საკითხების დაჭრას.

პარიზი. 10 მაისი. მუსოლინის, ტეუნისის და გიმანსის თათბირის შემდეგ 18 მაისს მილანში განხილულ იქნება საკითხი მოკავშირეთა პრემიერების და გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენციის შესახებ.

ევროპის „მშვიდობიანობა“

ამხ. ტროცკის საუბარი იტალიელ ჟურნალისტებთან

იტალიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის მნიშვნელობა.

მოსკოვი. 10 მაისი. იტალიის გაზეთის „პოპოლო-დიტალიას“ კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. ტროცკიმ აღნიშნა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს იტალიის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას და განაცხადა, რომ ამ ცნობას მოჰყვებაო ეკონომიური დაახლოვება იტალიასთან.

ვერსალის ხელშეკრულება — ევროპის დაშლის იარაღი.

ამხ. ტროცკიმ აღნიშნა, რომ ვერსალის ხელშეკრულება არის ევროპის დანგრევის, დასუსტების და გაველურების იარაღი, რასაც შედეგად მოჰყვება შეერთებულ შტატების ეკონომიური ძლიერების განმტკიცება. ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ დღევანდელ ევროპის მთავრობებს შესწევთ უნარი გადასინჯონ ვერსალის ხელშეკრულება, მაგრამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი გამოიჩენს თანხმობას ამ მიმართულებით.

გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ იწყება ქვეყნის მეურნეობის აღორძინება. ხალხთა მასების აქტივობა არის საწინდარი ეკონომიურ ფრონტზე გამარჯვებისა

საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა

ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

(ამხ. გ. ლომინაძის მოხსენება *).

მეურნეობის საკითხები

შარშან ეს საკითხები არ იქცევდენ მთავარ ჩვენს ყურადღებას ყოველ შემთხვევაში არ შეადგენდენ ცეკას მთავარ ყურადღების საგანს.

სამეურნეო საკითხები სწყდებოდენ შემთხვევით და მხოლოდ ეხლა ჩვენ შევუდექით ყველა სამეურნეო ორგანოების მოქმედების გეგმაშეწონილ, სისტემატიურ ხელმძღვანელობას.

რამოდენიმე ციფრები

სულ საქართველოში არსებობს 8128 სამრეწველო დაწესებულება და ამ წარმოებებში მუშათა საერთო რიცხვი უდრის—25.625 კაცს. ჩვენ არა გვაქვს მსხვილი მრეწველობა ამ სამრეწველო დაწესებულებებიდან სახელმწიფოს ხელშია—288; ამ რიცხვში არ შედის რკინისგზა და ზოგიერთი სხვა წარმოება.

ამ 288 წარმოებაში მუშაობს 7700 მუშა. მაშასადამე, საშუალოთ—40 მუშა თვითეულ წარმოებაში.

დანარჩენი დაწესებულებები კერძო პირებს ეკუთვნით

ცხადია, რომ საქართველო არ არის სამრეწველო ქვეყანა, და ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ამ მხრივ ჩვენ გვქონდა მტკიცე ბაზა სოციალისტურ აღმშენებლობისათვის.

ჩვენ სამრეწველო მეურნეობას განაგებს 3 ორგანო. ერთის მხრივ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მეორეს მხრივ—საკურორტო სამმართველო—ამჟამად ბორჯომის კომბინატი და ბოლოს—ჩვენი შავი ქვის მრეწველობა იმყოფება შავი ქვის სამმართველოს ხელში.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო იძულებული იყო შეერთებინა რამოდენიმე წარმოება და 67-ის ნაცვლად მას დარჩა 57. (მუშების საერთო რიცხვი უდრის 6.200-ს, შარშან კი იყო 6 500 კაცი) 11 წარმოება ჯამით გასცა საშუალოთ ამ წლის პროდუქცია უდრის დაახლოებით 9 მილიონ მანეთს

ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ წინსვლა არ [illegible]. ჩვენ გვაქვს სხვადასხვა დარგები, რომლებიც იძლევიან პროდუქციის მომატებას და პროდუქციის ღირებულების ზრდას. მაგრამ ეს გარემოება გამოწვეულია არა იმდენად თვით პროდუქციის ან წარმოების ნაყოფიერების ზრდით, არამედ ზედნადები ხარჯებით, ნედლი მასალის ღირებულების გადიდებით. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საერთო პროდუქციის ღირებულება აღემატება 22 წლის პროდუქციის ღირებულებას 45 პროცენტით. წელს იგი გამოიხატა 9 მილიონ მანეთში. მაგრამ თვით სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო იძლევა ისეთ განმარტებას, საიდანაც სჩანს, რომ უფრო მეტად, ვიდრე პროდუქცია, იზრდება ფასები, იზრდება ზედნადები ხარჯები, საჭიროზე გადასახადები და სხვ. მთელ რიგ ჩვენ სამრეწველო დარგებში თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენ მივდივართ უკან როგორც პროდუქციის, ისე ღირებულების მომატების მხრივ

ჩემის აზრით ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა, იმ მრეწველობის, რომელიც სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხელშია, შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც ერთ ადგილზე მოძრაობა. ავიღოთ ბორჯომის კომბინატი. მასში შედის შუშის, სახერხავი და წყლის ჩამომსხმელი ქარხნები და საერთოდ მთელი ბორჯომის მეურნეობა. მასში თავმოყრილია ბორჯომის ყოფილ სახელმწიფო მამულის მთელი სამეურნეო მუშაობა.

ეს მამული წინად იძლეოდა შემოსავალს.

და თუ ბორჯომის წყლის გაყიდვა ისევ კერძო პირებს და ისეთი აფერისტების და სპეკულიანტების ხელში იქნება, როგორიც არის ქებაძე და კომპანია, მაშინ ბორჯომის მეურნეობას ჯვარი უნდა დაესვას. ეხლა სახალხო მეურნეობის უმაღლესის საბჭოს შესახებ ის უფრო არა სამრეწველო ხასიათის შემოსავლის ხარჯზე არსებობს, ვიდრე სამრეწველო შემოსავლის ხარჯზე. მისი შემოსავლის ერთადერთი საიმედო წყარო არის ნავთის პროდუქტების გაყიდვის მონოპოლია.

ნავთის განაწილება—კომისიონერობა მისი საქმე არ არის, მაგრამ ეს მაინც მისი შემოსავლის მთავარი წყაროა. ამას გარდა არის კიდევ „ცენტრო ტრამოტი“, რომელიც ემსახურება სატვირთო გადაზიდვებს და დატვირთვას და გადმოტვირთვას ეწევა რკინისგზაზე და აგრეთვე იცავს საწყობებს—ესეც კიდევ მეორე წყაროა ჩვენი ს. მ. ს. უ. ს. არასამრეწველო შემოსავლისა.

ჩვენ ვხედავთ საქმის არანორმალურ დაყენებას სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი მრეწველობის შესახებ. მიღებული იყო კარგი რეზოლუციები, მაგრამ როგორც ყველა რეზოლუციებს, მათ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონიათ, რამდენათაც ცეკა მუდმივ ხელმძღვანელობას ვერ უწევდა სამრეწველო ორგანოების მუშაობას. პოლიტიკური მუშაობით დატვირთულმა ცეკამ ვერ შესძლო სათანადო ყურადღება მიექცია ჩვენი მრეწველობისათვის; მასი მდგომარეობა კი მეტის-მეტად მძიმეა. შეუძლებელია მრეწველობის აღდგენაზე ფიქრი, თუ მას ფულს არ მისცემენ. ვის შეუძლია მისთვის ფულის მიცემა? საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია ფულის მიცემა, რადგან მას არ აქვს საშუალებები. საქართველოს ცეკასაც არ შეუძლია ეს ჩვენი მრეწველობის მოგვარება შეუძლებელია, თუ მას არ მიეცა დიდი ფინანსიური დახმარება. უკანასკნელ ხანებში აქ, დიდის დაგვიანებით, გაიხსნა.

სამრეწველო ბანკი.

ეს სამრეწველო ბანკი შეიძლება გახდეს იმ ორგანიზაციათ, რომელსაც შეუძლია კრედიტის მიცემა ჩვენი მრეწველობისათვის. სხვა საკითხებიდან უნდა შევჩერდეთ

ჩათახის ქარხანაზე.

ის ზოგიერთი ამხანაგების აზრით უნდა გამხდარიყო ჩვენი მძიმე ინდუსტრიის ლითონის წარმოების ბაზათ, ის აშენებული იყო იმ ანგარიშით რომ რუსეთის ლითონის წარმოება ვერ აღსდგება თავის დროზე და აქ შექმნილი იქნება საკუთარი ლითონის წარმოების ბაზა, რომელიც კონკურენციას გაუწევს რუსულ წარმოებას.

მოხდა ის, რომ მთავრობამ ამ საქმეზე დახარჯა 680 ათასი მანეთი, უკანასკნელი დოტაცია კი უდრის 150 ათას მანეთს, სულ 800 ათასამდე მანეთი ამ თანხის დიდი ნაწილი მოხმარდა ღუმელების აღდგენას, რომელთა მუშაობა ჩვენ ეხლა იძულებული ვართ შევაჩეროთ.

ოზურგეთის რკინისგზა.

ეხლა მე გადავდივარ ოზურგეთის რკინისგზის გაყვანის საკითხზე. ამ გზის გაყვანას დიდი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. კულტურული იმიტომ, რომ ის გურიას უკავშირებს ძირითად მაგისტრალს. ძველი გეგმის მიხედვით ამ გზის გაყვანა დაჯდებოდა 800 ათასი მანეთი ოქროთი; ეს გზა კი ჩვენ დაგვიჯდა მხოლოდ 200 ათასი მანეთი. საკითხის დასმა იმის შესახებ, რომ გაგრძელებული იქნეს კიდევ ეს გზა 20 ვერსით და ის დაუკავშიროთ მდიდარ რაიონს, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენ გადავწყვიტეთ ნება არ მიეცეთ გურულებს განაგრძონ გზის გაყვანა იმ დრომდი, სანამ სისწორით გამორკვეული არ იქნება სპეციალისტების მიერ ამ გეგმის კომერციული სარგებლიანობა.

საფეიქრო ფაბრიკა

ერთერთი ახალი სამრეწველო წარმოებაა ქუთაისის საფეიქრო ფაბრიკა. ამ ფაბრიკის მოწყობილობა ჩვენ მიერ მიღებული იქნა სამი წლის წინათ, სანამ ის მოსკოვიდან ჩვენამდი მოაღწევდა, გზაში დაკარგული იქნა მრავალი მისი ნაწილები და აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს, რომელმაც ჩვენ ეს ფაბრიკა გვიჩუქა, მრავალი უვარგისი ნაწილები გამოგვიგზავნა; ამიტომ გაჭიანურდა ასე ამ ფაბრიკის გახსნა. ფაბრიკა დაამუშავებს 850.000 არშინ მაუდს და იქ იმუშავებს 800 მუშა

ელექტროფიკაცია

ჩვენ ვაშენებთ ზემო-ავჭალის სადგურს, რომელსაც 38 000 ცხენის ძალა ექნება. სადგურები შენდება აგრეთვე მარტყოფში (2,500 ცხ. ძალის მქონე), რიონულში—15000 ძალის და აჭარისწყალში, რომელსაც 3500—5000 ცხ. ძალა ექნება. ენერგიის ეს დიდი რაოდენობა ერთი წლის შემდეგ გახდება მამოძრავ ძალათ, რომელიც ჩვენ წაგვიყვანს ახალ გზით. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ელექტროფიკაცია, ინდუსტრიის ზრდა ელექტროფიკაციის საფუძველზე—აი ჩვენი ერთადერთი შესაძლებლობა მივმართოთ საქართველოს განვითარება სოციალისტური კალაპოტით.

შავი ქვის შესახებ

აქ ჩვენი საქმე მეტისმეტად ცუდ მდგომარეობაშია. გასაბჭოების პირველ ხანებში დაშვებული იყო დიდი შეცდომა რომელიც იმაში გამოიხატა, რომ შავი ქვის მადანი ჩამორთმეულ იქნა სახელმწიფოს მიერ, მაგრამ მაღაროები და ქარხნები დატოვებულ იქნა კერძო მესაკუთრეების ხელში და მათვე დარჩათ ამოღებული მადნის მთელი მარაგი. ამრიგად ჩვენ თვითონ დაუტოვეთ კაპიტალისტებს აურაცხელი სიმდიდრე ამას გარდა 1922 წელში მთავრობის მიერ შავი ქვის ექსპორტის საზოგადოებასთან დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალით შავი ქვის გატანის მთელი მონოპოლია მიეცა არა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, არამედ კერძო კაპიტალისტურ საზოგადოებას, რომელმაც მიიღო მონოპოლისტის ყველა უფლებები, ჩვენთვის კი გადასახადით წმინდა მოგების 35 პროც. და, რასაკვირველია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვატყუებს ჩვენ.

მაგრამ დეე, ქარხნები და მაღაროები ეკუთვნოდეს უცხოელებს ან კერძო კაპიტალისტებს, ხოლო მიწა, რომელზედაც იმყოფება ეს ქარხნები და მაღაროები გვეკუთვნოდეს ჩვენ; ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს უარი ვუთხრათ მრეწველებს კონცესიებზე და იჯარებზე და ჩვენს საკუთარ ხელში ავიღოთ შავი-ქვის მრეწველობა. ჩვენ გადავსწყვიტეთ გავდევნოთ მუქთახორების მთელი ეს ხროვა და ყველა ჩვენი კანონიერი უფლებების საფუძველზე, საბჭოთა კონსტიტუციის ყველა მოთხოვნილებათა თანახმად, ხელში ჩავიგდოთ მრეწველობა.

რაც შეეხება ჩვენი სამრეწველო ორგანოების ორგანიზაციულ სტრუქტურას,—მე ვფიქრობ, რომ დროა უკვე გაერთიანებული იქნეს ერთ ორგანოში ჩვენი დაქსაქსული მეურნეობა. საჭიროა შავი ქვის სამმართველოს, ბორჯომის კომბინატის და დანარჩენი მრეწველობის გაერთიანება ერთ სამეურნეო ორგანოს მმართველობის ქვეშ; ამ ორგანოს უწოდოთ თუ გინდ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. ამასთანავე ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ შექმნილი იქნეს ერთი ხელმძღვანელი ორგანო, რომელმაც უნდა მოაგვაროს ჩვენი ელექტრომშენებლობა—ეს იქნება „ელექტროსტროი“ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან. ეხლა გადავალ საკითხზე

ჩვენი მუშების მდგომარეობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით რამოდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა პროფკავშირების მუშაობის შესახებაც. პროფკავშირების მუშაობას ხელმძღვანელობას უწევდა პარტია. უნდა ითქვას, რომ პარტიული გავლენა პროფკავშირებში უზრუნველყოფილი იყო და ჩვენ საყვედური არ გვეთქმის. რაც შეეხება პროფკავშირების ადგილობრივ ორგანიზაციებს, მაგალითად ბათომში, იქ ყველგან ვერ მოხერხდა მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენება. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილებზე სწორი ხაზი არ ყოფილა აღებული მაგალითად, სამშენებლო მუშების კავშირში უნდოდათ გაეერთიანებინათ გლეხები.

შრომის ხელფასის შესახებ

მენშევიკების დროს შრომის ხელფასს აძლევდენ ქაღალდის ფულის ნიშნებით ოქროს იმ დროინდელ კურსზე გადაყვანით ისეთი რაოდენობით, რომ ხის დამამუშავებელი მუშები 1921 წ. მენშევიკების დროს ღებულობდენ 5 მ. 40 კ., ჩვენთან კი ღებულობენ 33 მ. 75 კ. ტყავის დამამუშავებელი მუშები წინეთ ღებულობდენ 6 მ. 64 კ.—ეხლა კი იღებენ 32 მ. 53 კ. მეტყევეები—6 მ. 25 კ. მენშევიკების დროს და 36 მ. 52 კ. ეხლა. ქიმიური მრეწველობის მუშები—5 მ. 73 კ. მენშევიკების დროს და 35 მ. ეხლა.

საშუალო სამრეწველო მუშა ღებულობდა 6 მ. 58 კ., ჩვენთან კი იღებს 36 მ. 86 კ.—ე. ი. ექვსჯერ მეტს.

სატარიფო პოლიტიკის სფეროში.

ჩვენ გვქონდა პროფკავშირებთან შეთანხმებული ხაზი, რომლის მიხედვითაც ხდება მუშების შრომის ხელფასის თანდათანობითი გადიდება და მოსამსახურეების ხელფასის შეკვეცა იქ, სადაც ის აღემატება მუშის საშუალო ხელფასს.

პროფკავშირებმა აიღეს კურსი ხარისხების გადასინჯვაზე და იმაზე, რომ კანცელიარიების მოსამსახურეები ერთ ხარისხში არ იყვნენ მოქცეული უმაღლეს კვალიფიციურ მუშებთან ერთად. ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვაწარმოებდით იმისათვის, რომ დაკლებული და შემცირებული ყოფილიყო მაღალი ჯამაგირები, სპეცჯამაგირები და სხვა იმისათვის, რომ დამყარებულიყო ერთიანი სატარიფო პოლიტიკა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა დაწესებულებები. ამ მხრივ ჩვენ მოგვიხდა ხელმძღვანელი ამხანაგების სასტიკი წინააღმდეგობის დაძლევა, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე საქართველოს დაწესებულებებში. ამ მიმართულებით პარტიას ჯერ კიდევ დიდხანს მოუხდება ბრძოლა იმისათვის, რომ საბოლოოთ მოაგვაროს ეს საკითხი

სასოფლო მეურნეობა

ჩვენში ისეთი მდგომარეობაა, რომ მოსახლეობის 2 მილ. 400 ათას კაციდან 2 მილიონი სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული. საქართველო უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა და ჩვენში სოფლის მეურნეობა უმთავრესად სამომხმარებლო ხასიათისაა. მთელი სივრცე, რომელიც მცენარეულობის კულტურას უჭირავს დაყოფილია დაახლოვებით შემდეგნაირათ: 12 პროც. უჭირავს ძვირფას კულტურას: თამბაქო, ჩაი, მანდარინები და სხვა და 88 პროც. ხორბლეულობას ომამდის საქართველოში ყოველწლიურად მოდიოდა 35 მილ. ფუთი პური: სიმინდი, ხორბალი და სხვა. მაგრამ საკუთარი ხორბლეულობის მთელი ეს კულტურა მიდიოდა გლეხთა მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

საქართველოში შემოქონდათ ლიონი ფუთი პური და საქართველოდან სახლვარ-გარეთ გაქონდათ მილ. ფუთი. ამრიგად ხდებოდა კომპენსაცია. ჩვენი ხორბლეულობის კულტურა მიდის გლეხთა მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; ქალაქის მოსახლეობა კი უმთავრესად შემოტანილი პურით. კომერციული მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში აქვს შემდეგ კულტურებს: მეთამბაქოეობა, მევენახეობა, მებაღეობა, ჩაის კულტურა, მებამბეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, საქონლეობა, მეაბრეშუმეობა და ტყის საქმე ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მთელი ცანა მდგომარეობს იმაში, რომ სოფლის მეურნეობა სამომხმარებლო მეურნეობის მდგომარეობიდან გადაყვანილი იქნეს ძვირფას კულტურების საქონლის მეურნეობის მდგომარეობაზე. ჩვენ გვინდოდა გვეხსნა.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილება.

ეს ბანკი კრედიტებს მის მეთამბაქოეებს და ახალგაზრდა თამბაქოს მეურნეობას; ამ ბანკმა მოაგვარებინა თამბაქოს განაღდება და ექსპორტის საქმე და სხვა უნდა შეგვექმნა ისეთი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც წაახალისებდა მოსახლეობას, ხელს შეუწყობდა ბაღის მეურნეობას და ამ საქმეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ხელი შეგვიშალა საშუალებების ნაკლებობამ.

ჩვენ თუ ავიღებთ მებამბეობის საკითხს,—დავინახავთ, რომ აქ რამ გაკეთებულია ჩვენი სოფლის სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის დახმარებით, მიმდინარე წელში თესილი და დამუშავებული იქნება ათასი დესეტინა. ეს დიდი წინ.

შემდეგ, სერიოზული საკითხი ჩაის კულტურის საკითხი. აქ საქმე გვაქვს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სრულიად ბეში სამეურნეო მოღვაწეობა

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 105.

გ-ნ ნოე ჟორდანიას წერილი და ყოფილ მენშევიკების პასუხი

ჩემი პასუხი*)

ამა იანვრის 24 პარიზში მყოფ რუსეთის მისიის საშუალებით მე მოვიდა წერილი, დაწერილი 30 აგვისტოს 1923 წ. და ხელმოწერილი ყოფილი მენშევიკების მიერ ს. ფირცხალავას მეთაურობით. წერილის ავტორნი მე მთხოვენ პასუხს.

პირველ ყოვლისა საყურადღებოა ის, რომ ამ წერილმა ხუთი თვე მოანდომა ჩემამდე მოსვლას; მაშასადამე ვიღაცას ინტერესი ყოფილა ის გაეჩერებია სადმე, ხოლო ხმა კი გაევრცელებია მის ავტორთა შორის, რომ წერილი კარგა ხანია გაგზავნილია, მაგრამ პასუხი არ გვღირსებია. როგორც ხედავთ, ამ ახალი ჩვენგან გამდგარი ჯგუფის პირველივე ნაბიჯი იწყება მეტად საძრახი საქციელით. რასაკვირველია, ამაში ბრალი ედება მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელთ, რომლებმაც არ შეასრულეს მათ მინდობილთა დავალება.

თვითონ წერილის შინაარსმა მე დამარწმუნა, რომ ავტორნი გამხდარან მსხვერპლნი ყალბი ინფორმაციისა, რომ მათ არ იციან რა ხდება ევროპაში, რუსეთში და გაბატონებულ კომუნისტურ პარტიაში. ეს არის არა მათი ბრალი, არამედ მათი უბედურება. სიმართლის გაგება ყოვლად შეუძლებელია იქ, სადაც არ არის პრესის თავისუფლება; ხოლო ჩვენში არ არის არა თუ პრესის თავისუფლება, არამედ არ არსებობს არავითარი პრესა გარდა მთავრობის პრესისა, სადაც იწერენ და აქვეყნებენ მხოლოდ იმ ცნობას, რაც ხელსაყრელია გაბატონებულთათვის და მალავენ და უარყოფენ იმ ცნობას, რაც მათ ბატონობას ოდნავადაც ბღალავს. ასეთ პირობებში მოქალაქემ არ უნდა დაუჯეროს სახელმწიფო პრესას. ყოფილ მენშევიკთა დანაშაულობა იმაშია, რომ მათ დაუჯერეს, ე. ი. ვერ გამოიჩინეს თვისებანი ნამდვილი მოქალაქეების და ბოლშევიკების მიერ დაგებულ მახეში გაებნენ.

აი, მაგალითად, რას სწერენ იგინი: „ათეულ წლობით დაქსაქსული ქართველი მშრომელი ხალხი მთლიან ოჯახს უბრუნდება და იქნება ერთი ფრონტი კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ“-ო ნამდვილად კი ისინი მხოლოდ ახლა გამოეთიშენ მშრომელი ხალხის მთლიან ოჯახს და „კაპიტალისტურ სამყაროს“ წინააღმდეგ აღმართულ ფრონტს. ეს ერთი ფრონტი შექმნილია არა ბოლშევიკებისაგან, არამედ ინტერნაციონალურ სოციალიზმისაგან, რამდენადაც ევროპის და ამერიკის პროლეტარიატი ერთ ფრონტშია ჩაბმული, საიდანაც გამორიცხულია ბოლშევიკები. რუსული ბოლშევიზმის მიმდევარნი მართალი არიან ევროპაში, მაგრამ ყველგან წარმოადგენენ სრულიად უმნიშვნელო ძალას და სულს ღებულობენ მხოლოდ მოსკოვის ფინანსიური საშუალებით. მაშასადამე წერილის ავტორნი გამოეთიშენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, გამოეთიშენ ამით ინტერნაციონალს და მით უღალატეს ერთ ფრონტს „კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ“.

საიდან წარმოიდგინეს ამათ, რომ ბოლშევიკები „კაპიტალისტურ სამყაროს“ ებრძვიან? განა მათ არ იციან, რომ სწორედ ბოლშევიკები ეპატიჟებიან „კაპიტალისტურ სამყაროს“ მობრძანდით და ჩვენთან ერთად იბატონეთო?

განა მათ არ იციან, რომ თვით რუსეთში აშენებულია ყველაზე უარესი ფორმა კაპიტალისტური მტაცებლობის ნეპ-ის სახით? მათ დაუჯერეს ბოლშევიკურ მყვირალა სიტყვებს, რითაც ისინი ფარავენ თავის ბინძურ საქმეს. მე გადაჭრით მოგახსენებთ, რომ საბჭოთა სისტემა არის ახალი ფორმა პროლეტარიატის და მთელი ხალხის უსაშინელესი ექსპლოატაციის. კაპიტალისტური ექსპლოატაცია იძლევა ამავე დროს პოლიტიკურ საშუალებებს ბრძოლის და თავის დაცვისას: საბჭოთა ექსპლოატაცია ამ საშუალებებსაც არ იძლევა მის ფარგლებში მთელი ხალხი გადაქცეულია ილოტებათ, მოკლებულია ყოველგვარ უფლებებს.

თქვენ მწერთ: ეკონომიური მდგომარეობა მუშათა კლასის ახლა უკეთესია, ვინემ წინეთ ვინ გეთხრათ ეს? შეიძლება თქვენი და თქვენი ნაცნობების ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა ახლა, მაგრამ პროლეტარიატის, როგორც კლასის, მდგომარეობა დიდათ გაუარესდა მთელ რუსეთში და ამას ვამბობ არა მე მარტო, არამედ თვითონ კომუნისტები. უკანასკნელი გამოკვლევანი რუსეთის მუშის ბიუჯეტისა ამტკიცებენ, რომ რუსის მუშა დღეს ნაკლებს სჭამს, უფრო ცუდათ იცვამს, ვინემ ის სჭამდა და იცვამდა წინეთ; ხოლო ევროპის მუშას თან მისი მდგომარეობის შედარებაც კი არ შეიძლება. ერთად ერთი გაუმჯობესობა ეტყობა ბინის საკითხში (პეტერბურგში), მაგრამ როგორც კი სახლების შეკეთება დაუკლებელი გახდება, მაშინ მისი ბინის მდგომარეობაც გაუარესდება. და განა შეიძლება მუშის მდგომარეობას გაუმჯობესება იქ, სადაც წარმოება დაცემულია, უმუშევრობა გაძლიერებულია, ბრძოლის და გაფიცვის თავისუფლება მოსპობილია, პროლეტარიატის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი ბატონ-ყმური? თქვენ ალბათ არ იცით ის დიდი გაფიცვები, რომელიც მოხდა ამ ზაფხულში და შემოდგომაზე დონეცის ბასეინში, ურალში, პეტროგრადში, სორმოვოში და სხვაგან; ალბათ თქვენ არც ის იცით, რომ გაფიცვის მეთაურთ ციხეში ყრიან, სოლოვეცის მონასტერში აგზავნიან, სადაც ისინი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან; არც ის იცით ალბათ, რომ თვით კომუნისტურ პარტიის ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ საიდუმლო ფურცლებით მიმართა მოსკოვის მუშებს დატუსაღებულ მუშების დასაცავად. ნუ თუ ის მაინც არ იცით, რომ ბოლშევიკურმა რეჟიმმა პროლეტარიატი, როგორც კლასი, გაანადგურა; ის ხუთ მილიონიდან ორ მილიონამდე ჩამოიყვანა, ხოლო დანარჩენი სოფლებში დაქსაქსა და გლეხობათ აქცია? ეს ხომ ოფიციალური ცნობებია.

თქვენ მწერთ: შრომის ყველა კანონები მტკიცეთ ტარდება ცხოვრებაში ჩვენ სასარგებლოთო მე არ ვიცი რომელ კანონებზე ლაპარაკობთ. ძირითადი სოციალური კანონი რვა საათის სამუშაო დღე რუსეთში კარგა ხანია მოსპობილია და თუ ეს ჩვენში კიდევ ვერ მოსპეს, ამას უნდა უმადლოდეთ არა ბოლშევიკებს, არამედ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, რომელმაც ეს კანონი ისე ძარღვადგმულად დასტოვა, რომ ის დღემდის მტრებმა ვერ შეარყიეს.

თქვენ მწერთ, რომ სწავლა-განათლების საქმე დღეს წარჩინებულად არის დაყენებული, ხოლო რუსეთის კომუნისტები, რომელნიც ამ დარგში მუშაობენ, წინააღმდეგ ამბობენ: ამაზედ უარესად ის არ ყოფილა დაყენებული, და მართლაც სასოფლო სკოლები დახურულია, სასწავლო ნივთები არ იშოვნება, მასწავლებლები უჯამაგიროობის გამო გარბიან, ერთი სიტყვით სახალხო განათლება მიწასთან გასწორებულია და თუ ჩვენში ეს კიდევ ასე არ არის, ამას უნდა უმადლოთ საქართველოს დემოკრატიას, რომელმაც განათლების საქმეს მტკიცე საძირკველი ჩაუყარა. თქვენ რაღაც ფარსაკი საქმე გგონიათ მუშათა ფაკულტეტები მაშინ, როდესაც აქ, ამ ბურჟუაზიულ პარიზში ყოველ უბანშია ასეთი ფაკულტეტები, სადაც მუშას და საზოგადოთ ყველა მოქალაქეს შეუძლია სრულიად უფასოდ განათლების მიღება, ხოლო აქ ამას არ უძახიან ფაკულტეტებს, არამედ სახალხო კურსებს.

თქვენ მწერთ: ეროვნული მდგომარეობაც დღეს კარგიაო. მე არ ვიცი ამას რას უწოდებთ თქვენ? ეს კი ვიცი, რომ ვინც კი საქართველოს ინტერესების დასაცავათ ცოტაოდენი ხმა ამოიღო ბოლშევიკებისაგანაც კი, ყველა ადგილებიდან გააძევეს და ქვეყნის მართვა გამგეობა რუსის ურა-პატრიოტებს ჩააბარეს. მართალია, ეს ბატონები ქართველ გვარს ატარებენ, მაგრამ ამით არ იცვლება მათი ანტიქართული საქმიანობა. სპარსეთის ბატონობა საქართველოში მუდამ ტარდებოდა ქართველების მიერ და ამ ქართველების ისტორიამ კი ხანია შესძახა აუგი. და აბა როგორ შეიძლება ერის მდგომარეობა იქ იყოს კარგი, სადაც ამ ერს არაფერს ეკითხებიან, სადაც მთელი ხალხი ბორკილშია და მას [illegible] უცხო ხიზნები იცით რას ნიშნავს ქართველი კომუნისტები? — ეს განსაკუთრებითი არსებაა, ის არა გავს ბევრ რამეში არც ერთი სხვა ერის კომუნისტს. მაგალითად რუსის, გერმანულ, ფრანგ და სხვა კომუნისტს ვერც კი წარმოუდგენია თავისი ქვეყანა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარეშე; თავისი ერის თვითგამორკვევა მათთვის ხელშეუხლებელი მცნებაა. ერთად ერთ გამონაკლისს შეადგენს საწყალი ქართველი კომუნისტი, რომელსაც საქართველო წარმოუდგენია მხოლოდ რუსეთის პროვინციად. ესენი რუსეთის შოვინისტებია. ესენი რომ ამ მხრივ სხვა ქვეყნის კომუნისტებს გვანდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას მართლა იცავდნენ, ჩვენ მათთან დავა ბევრი არ გვექნებოდა; დამოუკიდებელ თუნდაც კომუნისტურ საქართველოში ჩვენ მოვნახავდით ჩვენს ადგილს და ბოლშევიკებთან გვექნებოდა სადაო მხოლოდ შინაგანი საკითხები, დემოკრატიული და სოციალისტური პრინციპები. მაგრამ ჩვენ დღეს ვებრძვით მათ არა მარტო როგორც პარტია პარტიას, როგორც მენშევიკები ბოლშევიკებს, არამედ როგორც უცხოეთის იარაღს, საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების მტერთ. ეროვნული მომენტი დღეს ჩვენთვის უაღრესი მომენტია, ვინაიდან ის უკვე თან ატარებს ყველა დანარჩენ მომენტებს—დემოკრატიულს, სოციალისტურს და სხ. დამოუკიდებელი საქართველო ნიშნავს ეს დემოკრატიის სრულ ბატონობას. თქვენ თუ ეგ საკითხები გაინტერესებთ, წაიკითხეთ ჩემი წიგნი „ბრძოლის საკითხები“.

თქვენ მწერთ: ბოლშევიკები ხომ იგივე მარქსისტებია, როგორც ჩვენ „ამას შენც გვასწავლიდიო“. უკაცრავათ. არა, ეს მე არასოდეს არ მისწავლებია. პირიქით, 1905 წლიდან ვწერდი, რომ ბოლშევიზმს არავითარი კავშირი არ აქვს მარქსიზმთან მეთქი. წაიკითხეთ არალეგალური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი 1905 წლის, გაიხსენეთ ნაძალადევში იმ დროის ჩვენსა და მათ შორის დავა, სადაც ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ისინი არიან მტრები დემოკრატიისა; წაიკითხეთ უკანასკნელად შარშანწინ დაბეჭდილი ჩემი წიგნი „ბოლშევიზმი“, სადაც მე დოკუმენტალურათ დავამტკიცე, რომ ბოლშევიკები არიან არა მარქსისტები, არამედ მე 60 წლების ველიკორუსული უტოპისტები, ბოლშევიზმი ეს წმინდა რუსული, ველიკორუსული მოვლენაა და ამიტომ იმან ვერ გაიდგა ფესვი ვერსად, ვერც ერთ არა რუსულ ქვეყანაში.

თქვენ მწერთ: ჩვენ შევდექით პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზეო და მერე ვინ მოგახსენათ, რომ ან რუსეთში, ან ჩვენში არსებობდეს პროლეტარიატის დიქტატურა? და როგორ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურა იყოს იქ, სადაც ამ პროლეტარიატს არავითარი უფლება არა აქვს თავისუფალი სიტყვის, ბეჭდვის, კრების, ყრილობის, გაფიცვის და სხვა. თქვენ ალბად გაგიგონიათ, რომ დღეს თვით კომუნისტურ პარტიაშია დავაა იმაზე, რომ პარტიას უნდა ჰქონდეს თუ არა უფლება თავისუფალი კრიტიკის და აზროვნების. თვით კომუნისტებმა დაამტკიცეს, რომ არსებობს დიქტატურა არა პროლეტარიატის, არა თვით კომუნისტურ პარტიის, არამედ რამოდენიმე პირის, რომელნიც ბატონობენ პარტიაში და პროლეტარიატში. ეს არის დიქტატურა ჯგუფის და არა კლასის, ეს ამბავი რომ იცოდეთ, მაშინ არ იტყოდით პროლეტარიატის დიქტატურა არსებობსო.

თქვენ ამბობთ: საბჭოთა ძალის დამარცხება ჩვენში იქნებოდა ბოროტება, ხოლო რუსეთში კი გამოიწვევს რეაქციასო. ეს, რასაკვირველია დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის რა მიაჩნია ბოროტებათ. მაგალითად, დესპოტისათვის ხალხის ბატონობა დიდი ბოროტებაა. ამიტომ არ მიკვირს, როცა ამ დესპოტის მატარებლები, კომუნისტები, ხალხის უფლებებს ებრძვიან; მაგრამ სოციალისტისათვის, დემოკრატისათვის, საბჭოთა ძალა-უფლების დამარცხება საქართველოში ნიშნავს ხალხის სუვერენიტეტის აღდგენას, დემოკრატიის გაბატონებას, თავისუფლების დამყარებას და ბრძოლის საშუალებების გაფართოებას. რუსეთში საბჭოთა დამარცხება რას გამოიწვევს, ამის ამოცნობა დღეს ძნელია, ხოლო ერთი შემიძლია ვთქვა: რუსეთში არასოდეს არ იქნება ასეთი მკაცრი რეაქცია, როგორც დღეს არის ძველი რეაქციის ეკონომიური საფუძველია მიწათმფლობელობა. რუსეთში კერძო მიწათმფლობელობა მოისპო ძველი კლასები ძირ-ფესვიანად ამოვარდნენ მაშასადამე მათი პოლიტიკური აღდგენა ყოვლად შეუძლებელია და თუ ბოლშევიკები წინააღმდეგს გაიძახიან კიდევ, ამით ისინი მხოლოდ ფარავენ მეორე ბრძოლას, ახალ ფრონტს, რომელიც მათ წინააღმდეგ აღიმართა და უქადის დამარცხებას ბრძოლაა დღეს არა რეაქციისა და ბოლშევიზმს შორის, არამედ ბოლშევიზმის და დემოკრატიის შორის, ტირანიის და თავისუფლების შორის.

ბოლშევიზმი დაჭრილი ცხოველივით ფართხალობს ევროპის კაპიტალიზმის, ნეპის და სახელმწიფო სოციალიზმის შორის ქვეყნად არ ყოფილა ისეთი ტირანია, რომელიც არ დამარცხებულიყოს; ბოლშევიკური ტირანიაც ისტორიის მიერ განწირულია, ის ადრე თუ გვიან სამარეში უნდა ჩაესვენოს. ამ განაჩენს ვერ შეცვლის თვით განგებაც.

პოლიტიკაში ყველაზე უარესია აჩქარება... თქვენ გული გაგიტყდათ. როცა ამბობთ, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლა უნაყოფოა. სამი წელიწადი ვერ გამძლეთ, მაგრამ როცა ნიკოლოზის ბატონობას ვებრძოდით, განა მაშინ ვამბობდით: რომ ეს ბრძოლა უნაყოფოა, თუმცა ეს ბრძოლა რამდენიმე ათეული წელიწადი გაგრძელდა და არც უნაყოფოდ დარჩებოდა რა პირობებშიც ის დაქცეოდა? ჩვენ ვიცოდით მხოლოდ, რომ ის დაიქცეოდა და ვიცით დღეს ის, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება უეჭველად დაიქცევა. როდის და რა პირობებში ეს მოხდება. რასაკვირველია, დღეს არ ვიცით, ამიტომ სრულიად არ ვძლევ მე მნიშვნელობას დროს: შეიძლება გაიწელოს წლებში. შეიძლება თვეებში, ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია. მთავარი საკითხი არის პრინციპი, გზა, რომელზედაც ჩვენ და ისინი ვდგევართ და მე ვამბობ გადაჭრით, რომ მათი გზა მიდის უფსკრულისაკენ და ჩვენი გზა მიდის აღორძინებისაკენ.

ამიტომ, როცა თქვენ მეპატიჟებით—ჩვენ გამოგვყევითო, რა უნდა გიპასუხოთ გარდა ცნობილი ფრაზისა: (ოჰ, წმინდაო გულუბრყვილობავ).

მე გაფრთხილებთ და კიდევ დაფიქრდით. სჯობს სულ გაშორდეთ პოლიტიკას, ვინემ ლახვარი ჩასცეთ თქვენ დედას.

ჩვენ გვყავდა მარტინოვი, რომელმაც რენეგატობა და ოპორტუნიზმი ხელობად გაიხადა. ის იყო პირველად „ეკონომისტი“, შემდეგ „რაბოჩედელეცი“, შემდეგ „ისკროველი“, შემდეგ მენშევიკი, ახლა ბოლშევიკი. ალბად ახლა უკვე მოფიქრებული აქვს ბოლშევიზმის დაქცევის შემდეგ სად უნდა გაიქცეს ერთი სიტყვით, ვისაც ერდოც მაღალია, იგი მისი მაყარია. ერიდეთ ასეთ ხალხს, ესენი ხრამში გადაგიჩეხენ.

ამით ვათავებ ჩემს პასუხს, დრო კიდევ გაქვთ შემობრუნების და თუ მაინც თქვენს ახალ გზას განაგრძობთ, ადრე გვეთხრათ მომავალში: გვაპატიეთ, არ ვიცოდით რას ვშვრებოდით.

ნ. ჟორდანია.

---

*) ნ. ჟორდანიას წერილი დაწერილია საპასუხოთ იმ მიმართვაზე, რომელიც გაუგზავნეს მას მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციო ყრილობის დელეგატებმა და თავის დროზე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

რედ.

ნ. ჟორდანიას საპასუხო წერილის შესახებ

რა მიზნით გავუგზავნეთ წერილი ნ. ჟორდანიას?

ჩვენ მივიღეთ ნ. ჟორდანიას წერილი, რომელსაც ვრცლად ვათავსებთ იმ მიზნით, რომ ღაიცნობონ ყველა მუშებმა და გლეხებმა მთელი სიკოტრე, იდეური დაცემა და სულიერი სიღატაკე საზღვარ-გარეთ მოკალათებულ საქართველოს მენშევიკებისა.

ნ. ჟორდანიას პასუხი არის პასუხი მთელი ქართველი ემიგრაციის, რომელიც დღეს გაერთიანებულია ერთ ნაციონალურ ფრონტზე ნაციონალ-დემოკრატებიდან დაწყებული მენშევიკებამდე. ამ ფრონტის მეთაურია ნ. ჟორდანია.

ჩვენ როცა ვუგზავნიდით ნ. ჟორდანიას წერილს, სრულებითაც არ ვიყავით დაიმედებული, რომ მისი პასუხი იქნებოდა აუცილებლად დადებითი ჩვენთვის. ჩვენ მხოლოდ ვიხდით ჩვენი მოვალეობა იმ პირისადმი, რომელიც სათავეში ედგა მენშევიკურ მოძრაობას და „დემოკრატიულ“ მთავრობას.

უბრალო, ელემენტარული თავაზიანობა მოითხოვდა, რომ აგვეხსნა ყველა ის მიზეზები, რამაც გვაიძულა მენშევიკური პარტიის დატოვება, იმ პირისთვის, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იყო ჩვენი იდეური ხელმძღვანელი.

მიღებული პასუხი კი უფრო აღრმავებს და ასაბუთებს, ავტორის სურვილის გარეშე, იმ გზას, რომელზედაც რამოდენიმე ათასი ყოფილი მენშევიკი დადგა გასული წლის აგვისტოში.

განვიხილოთ ეს პასუხი.

რატომ მიიღო დაგვიანებით წერილი ნ. ჟორდანიამ?

ნ. ჟორდანიას პასუხი იწყება ბრალდებით, თითქო ვიღაცამ განგებ დააგვიანა წერილის გაგზავნა მისთვის.

პირიქით, ყველას სურვილი იყო ეს წერილი მას დროზე მისვლოდა. ეს იქიდანაც სჩანს, რომ, როცა 1923 წლის დეკემბერში აქ მოვიდა პარიზიდან ერთი ამხანაგი, პირველი ჩვენი კითხვა იყო, მიიღო თუ არა ნ. ჟორდანიამ ჩვენი წერილი. და როცა გავიგეთ, რომ წერილი ჯერ კიდევ არ იყო მისული, ჩვენ გავატანეთ ამ ამხანაგს სპეციალური ფოსტა, სადაც იყო არა მარტო წერილი ნ. ჟორდანიასადმი, არამედ მთელი სტენოგრაფიული ანგარიშები ჩვენი ყრილობის და სხვადასხვა მრავალი მასალა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ საქართველოს ემიგრაცია გაცნობოდა ამ მასალებს და დარწმუნებულიყო ს. დ. პარტიის სრულ ლიკვიდაციაში. აქედან ყველასთვის აშკარაა, ჩვენი მიზანი იყო დროზე მიეღო ნ. ჟორდანიას ჩვენი წერილი. მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა, ამაში დანაშავეა საფოსტო პირობები და არა ჩვენ.

ყოველ შემთხვევაში ამას არ აქვს მნიშვნელობა არც ნ. ჟორდანიასთვის და არც ჩვენთვის, ვინაიდან ის ვერ იტყოდა იმაზე მეტს, რაც სთქვა, ამიტომ თუ წერილს დააგვიანდა, ამით არავის არაფერი არ დაუკარგავს.

რა ცნობებზე ემყარება კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციასთან ერთად ნ. ჟორდანია

ნ. ჟორდანია ჩვენ მიერ აღებულ ხაზს ხსნის იმით, რომ ჩვენ არ გვაქვს სწორი წარმოდგენა იმის, თუ რა ხდება საბჭოთა ქვეყნებში.

თურმე პარიზში უფრო მეტი წარმოდგენა ჰქონიათ, იქ უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონიათ აქაური მდგომარეობის შესახებ, ვიდრე ჩვენ, საბჭოთა სახელმწიფოში მცხოვრებთ აი ლოღიკა.

ჩვენ ვიცით როგორი ინფორმაცია იბეჭდება იმპერიალისტურ ქვეყნების და თეთრ ემიგრაციის პრესაში საბჭოთა სახელმწიფოების შესახებ. ეს ინფორმაცია არა ერთხელ ყოფილა გადმობეჭდილი საბჭოთა გაზეთების მიერ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩვენს მუშებს და გლეხებს დაენახათ, თუ რა მასალით იკვებება საზღვარ გარეთის თეთრი ემიგრაცია.

სულ რამდენიმე თვის წინეთ ქ. რიგის გაზეთებში იყო დაბეჭდილი დიდი ასოებით ცნობა, თითქოს საქართველოში მომხდარ აჯანყებისა და სახ. კომისართა საბჭოს დაპატიმრების შესახებ.

ამნაირი სენსაციური ცნობები სისტემატიურად იბეჭდება თეთრ პრესაში. და ნ. ჟორდანია ფიქრობს, [illegible] დაიჯერონ, რომ ეს ინფორმაცია უფრო მართალია, ვიდრე ის, რაც ჩვენ უშუალოდ ჩვენივე თვალებით ვხედავთ.

ეს კი არის არა ბრალი, არამედ უბედურება თვით ნ. ჟორდანიას და მისი მიმდევრების, რომლებიც ამ ყალბ, განგებ შეთხზულ ინფორმაციის იქით ვერაფერს ხედავენ.

[illegible] მოღალატე ის არის, ვინც თხზავს ყალბ ცნობებს და მის მიერ [illegible] ხმებს თვითონვე აჯერებს, ამ ყალბ ხმებზე აშენებს მთავარ პოლიტიკას, ღალატობს მუშათა კლასის ინტერესებს და აკეთებს საერთაშორისო ბურჟუაზიის საქმეს, და არა ის, ვინც საბჭოთა სინამდვილეში ჩაიხედა ახლოს დაინახა თავის თვალით ნახულ ფაქტები და გამოიჩინა იმდენი მოქალაქეობა და გამბედაობა, რომ უარყო ათეული წლების განმავლობაში შეთვისებული მსოფლმხედველობა, როცა დარწმუნდა ამ მსოფლიო მნიშვნელობის ღალატში მუშათა კლასისადმი.

პრესის თავისუფლება

რომელ პრესის თავისუფლებაზე ლაპარაკობს ნ. ჟორდანია?

მუშათა კლასის პრესა თავისუფალია, მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებს და მუშა გლეხთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეს არ აძლევენ პრესის თავისუფლებას. ან ვის მოსწონებია, რომ შენს მოწინააღმდეგეს მისცე შეიარაღების უფლება. პრესა კი ერთი საუკეთესო იარაღია მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, და განა თვით დემოკრატიული მთავრობა პრესის თავისუფლებას აძლევდა მის მოწინააღმდეგეებს! განსხვავება წარსულსა და არსებულს შორის მხოლოდ იმაშია, რომ დემოკრატიული მთავრობა სდევნიდა კომუნისტურ პრესას და ფართო გზას აძლევდა ეროვნულ დემოკრატების და სხვა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიულ პრესას, ხოლო მუშა გლეხთა ხელისუფლება ფართო გზას აძლევს მუშათა პრესას და ებრძვის კონტრ-რევოლიუციას.

ზღაპრები

კიდევ ერთი ზღაპარი, რომელსაც ბურჟუაზიის აგენტები ხშირად იმეორებენ, თითქო ევროპაში კომუნისტები წარმოადგენენ „უმნიშვნელო ძალებს და სულდგმულობენ მხოლოდ მოსკოვის ფინანსიური საშუალებით“.

მესამე ინტერნაციონალი არსებობს 1919 წლიდან.

მეორე ინტერნაციონალი კი არსებობს 1889 წლიდან.

ახლა შეადარეთ კომინტერნის ზრდა მეორე ინტერნაციონალის ზრდასთან და აშკარა იქნება, თუ როგორი სისწრაფით იზრდება კომინტერნი.

შეადარეთ კომინტერნის მუშაობა, გზა, პოლიტიკა მეორე ინტერნაციონალის გმირების მუშაობასთან და ნახავთ, რომ პირველი მტკიცედ სდგას წმინდა კლასიურ პოზიციაზე, მეორე კი ბურჟუაზიას ლაქიათ იქცა.

რითი განსხვავდება მეორე ინტერნაციონალი, ბელდის მაკდონალდის ან ებერტის მთავრობა ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ მთავრობისაგან? არაფრით.

მუშათა კლასი ხედავს ამას და ამიტომაა, რომ ის თანდათან შორდება მეორე ინტერნაციონალს და თავს იყრის მესამე ინტერნაციონალის ირგვლივ.

თვით ის ფაქტი, რომ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე საბჭოთა, ხოლო ყველა სახელმწიფოებში საკმაოდ ფეხმოკიდებულია კომინტერნის გავლენა, აშკარა დამამტკიცებელია იმისა, რომ მუშათა კლასის [illegible] და სულ ცოტა ხნის განმავლობაში კომინტერნმა უკვე ჩამოიტოვა დიდი მანძილით, 35 წლის ჭაღარა მეორე ინტერნაციონალი. ამიტომ ჩვენ კი არ გამოვეთიშეთ ინტერნაციონალს, არამედ ისინი, რომლებიც კარგა ხანია ჩამოშორდნენ მუშათა კლასის გზას და გვერდში ამოუდგნენ საერთაშორისო ბურჟუაზიას. მეორე ინტერნაციონალი, რომელიც საერთაშორისო ბურჟუაზიის ბატონობის იარაღად გახდა, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ბურჟუაზიის აღმასრულებელ კომიტეტს, უკვე ჩამოშორდა საერთაშორისო სოციალიზმის საქმეს, საერთაშორისო პროლეტარიატს.

ასეთივე ზღაპარია მეორე მტკიცება ნ. ჟორდანიასი, თითქო მუშათა კლასი რუსეთში განადგურებულია.

მართალია, სამოქალაქო ომის პირობებში, როცა საფრთხეში იყო რევოლიუციის მონაპოვართა არსებობა, შიშველ-ტიტველი მშიერი მუშები გაფანტული იყვნენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე ან სოფლებს მიდგნენ პურისათვის, მაგრამ პროლეტარიატმა გაიმარჯვა ამ ბრძოლაში, მუშათა კლასის მტრები საბოლოოთ დამარცხდნენ და ძველი მუშები უკვე დაუბრუნდნენ ფაბრიკა ქარხნებს. წაიკითხეთ, თუ გნებავთ ამხ. ზინოვიევის უკანასკნელი თეზისები პარტიის ახალ ამოცანებზე და შინაპარტიულ მუშათა დემოკრატიაზე და იქაც ნახავთ, რომ პროლეტარიატი უკვე დაუბრუნდა თავის ქარხანას.

ბოლშევიკები და კაპიტალისტური სამყარო

ნ. ჟორდანიასთვის ახალი ამბავი ყოფილა, რომ ბოლშევიკები ებრძვიან „კაპიტალისტურ სამყაროს“.

განა თვით ის ფაქტი, რომ საბჭოთა სახელმწიფოებში ამ ჟამათ კაპიტალისტური წესწყობილება განადგურებულია, ხოლო კაპიტალისტური ქვეყნები თავიანთ მემორანდუმებში უყენებენ საბჭოთა მთავრობას ერთ უმთავრეს მოთხოვნილებად იმას, რომ კომუნისტურ პროპაგანდაზე ხელი აიღონ მათ ქვეყნებში, არაა ყველასათვის აშკარა დამამტკიცებელი, რომ ბოლშევიზმი ებრძვის კაპიტალისტურ წესწყობილებას,. აიღეთ თუნდაც რ. კ. პ. ცეკას უკანასკნელი პლენუმის თეზისები შინავაჭრობისა და კერძო კაპიტალთან ბრძოლის შესახებ.

განა ის ფაქტი, რომ ბოლშევიკები ეპატიჟებიან უცხო კაპიტალს საბჭოთა ქვეყნებში კონცესიებზე ან ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება მხოლოდ იმ მიზნით, რომ პროლეტარიატის დიქტატურას ექნეს მაგარი ეკონომიური ბაზა, არის დამამტკიცებელი რუსეთში კაპიტალისტური წესწყობილების შემოღებისა?

და თუ მართალია ნ. ჟორდანია,— რომ რუსეთში ბოლშევიკები მართლა ამყარებენ კაპიტალისტურ წესწყობილებას, მაშინ ვეკითხებით მას, რაღას გარბის საზღვარ გარეთ?

თვითონ ხომ დიდი მომხრეა არის დღევანდელ პირობებში კერძო კაპიტალის გამაგრების?.

ჩვენ ნ. ჟორდანიასაგან ველოდით, მოვითხოვდით უფრო დადებითი, დასაბუთებულ პასუხს.

მან, როგორც ბელადმა აქ ოდესღაც გაბატონებულ მენშევიკური მმართველობისა, უნდა მიეცა შესაფერი მასალა საწინააღმდეგო აზრის დასამტკიცებლად. სამწუხაროდ, ის ვერ გასცდა უბრალო [illegible] პროპაგანდისტის მეთოდს და მხოლოდ დემაგოგიური ფრაზებით ფიქრობს ფონს გავიდეს.

უიმედოთ დაკარგულია პროლეტარიატისათვის ის, ვინც კაპიტალისტურ წესწყობილებას მაღლა აყენებს საბჭოთა წესწყობილებასთან შედარებით.

ნ. ჟორდანიას აზრით, საბჭოთა სისტემა არის უსაშინელესი ფორმა პროლეტარიატის და მთელი ხალხის ექსპლოატაციის, გაცილებით საშინელი, ვიდრე კაპიტალისტური სისტემა.

ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია. ნ. ჟორდანია მივიდა იმ წერტილამდი, საიდანაც იწყება საშინელი რეაქციონური მიმართულება.

ერთი მუჭა კაპიტალისტების ბატონობას ის აყენებს გაცილებით მაღლა მშრომელი ხალხის ბატონობაზე.

ვეკითხებით ნ. ჟორდანიას, როდის უფრო იყო მუშათა კლასი ჩაბმული სახელმწიფოს აღმშენებლობითი საქმეში?

ნოე ჟორდანიამ მოიგონოს რამდენი ამომრჩეველი ყავდა თუნდაც თბილისის ქალაქის თვითმართველობას, როცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველას ჰქონდა: მღვდელს, ვაჭარს, მედუქნეს და სხვა, ვისაც კი შესრულებოდა 18 წელი.

50 ათას ამომრჩევლებზე მეტი არ ჰყავდა თბილისის ქალაქის თვითმართველობას მენშევიკების დროს. ამათში მუშები შეადგენდნენ არა უმეტეს 20—25 პროცენტისა. არჩევნებში მონაწილეთა პროცენტი კი 40 ზე ზევით ძლივს ადიოდა.

საბჭოთა წესწყობილების დროს თბილისის მეორე მოწვევის საბჭოს მარტო ქალაქში ყავდა 99,062 ამომრჩეველი. ამომრჩევლები, საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით, არიან მხოლოდ მუშები, მოსამსახურენი, გლეხები და მათი ოჯახის წევრები. არა მშრომელი ელემენტი საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. აქედან არჩევნებზე გამოცხადდა 61,824 სული, ე. ი. 77,6 პროც.

შეიძლება ნ. ჟორდანიამ აქაც გაიმეოროს ძველი ზღაპარი, რომელიც ყველას უკვე მობეზრდა: ბოლშევიკები ძალად ერეკებიან არჩევნებზე მუშა-მოსამსახურეებსო.

მაგრამ რითი აიხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ მუშათა კლასი გაათკეცებული ენერგიით იკრიბება კომინტერნის ირგვლივ. კერძოდ თბილისში 3.500 მუშა დაზგიდან ჩაეწერა პარტიაში (Ленинский набор), მთელ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში კი ჩაეწერა 200 ათასზე მეტი მუშა. შემოდის მრავალი ახალი განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. აქაც ხომ ძალით არ ერეკებიან პარტიაში? მაგრამ ხომ ყველამ იცის, რომ კომუნისტური პარტიის კარები ძალიან ძნელად იღება პარტიაში შემსვლელებისათვის?

საბჭოებში ყველა საკითხები წინასწარ ირჩევა სექციებში, სადაც დიდი ხალხით მუშაობენ საბჭოს წევრები, და შემდეგ ყოველმხრივ განხილული გადადის საბჭოს პლენუმზე დასამტკიცებლად. იყო ასეთი წესი ძველი მენშევიკური თვითმმართველობის დროს?

თბილისის საბჭოში დაზგის მუშები შეადგენენ 55,5 პროცენტს, მოსამსახურეები 38,2 პროც., გლეხები 6,3 პროც.

იყო დემოკრატიული მთავრობის დროს ქალაქის თვითმმართველობაში ამდენი მუშა და მშრომელი ინტელიგენცია? იქ იყო თითო-ოროლა მუშა, რომელნიც კრინტს ვერ სძრავდა. ბურჟუაზიის ბობოლა წარმომადგენლები კი თავისუფლად გრძნობდენ თავს.

მაგალ., 1920 წელს თბილისის საბჭოს 90 ხმოსნიდან მუშა იყო მხოლოდ 12, ე. ი. 13,3 პროც. (იხ. თბილისის ქალაქის საბჭოს მოამბე 1920 წ. № 1—6)

ეხლა გვეთხრას ნ. ჟორდანიამ, როდის უფრო მეტი იყო მუშათა დემოკრატიზმი „დემოკრატიული“ მთავრობის დროს თუ პროლეტარიატის დიქტატურის დროს. სწორედ იქნება თუ ვიტყვით, რომ „დემოკრატიულ“ მთავრობის დროს მუშათა დემოკრატიზმს სრულებითაც არ ჰქონდა ადგილი.

მაგრამ ნ. ჟორდანიას მაინც კაპიტალისტური სამყარო ურჩევნია პროლეტარულ სამყაროს.

ნ. ჟორდანია ლოღიკურია ამ შემთხვევაში: მან გაიმეორა ის, რასაც ამბობდა 1919 და 1920 წლებში:

„აღმოსავლეთის ფანატიკოსებს მე მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები“.

ჩვენი ეკონომიური და კულტური მდგომარეობა

კიდევ ერთი აბსურდი.

თურმე თუ საქართველოში ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა პროლეტარიატის გაუმჯობესებულა, ეს ყოფილა შედეგი მენშევიკური ხელისუფლებისა.

ნურას ვიტყვით იმაზე, რომ აქედან, ნ. ჟორდანიას მთავრობამ წაიღო საზღვარ გარეთ არა თუ სურსათ-სანოვაგე, მანუფაქტურა, ოქრო, ვერცხლი, არამედ ქინაქინაც კი და საქართველო დასტოვეთ სრულიად გაძარცული.

ავიღოთ თუნდაც თბილისის თვითმართველობა ისედაც გამოფიტული თბილისის თვითმართველობის სალარო დასტოვეს სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში.

თბილისის საშუალო თვიური შემოსავლიანობა უდრიდა 1920 წელს 90 ათას მანეთს.

ეს თანხა ვერ აკმაყოფილებდა მარტო ჯამაგირებსაც კი. საბჭოთა მთავრობამ მიიღო ზომები და აღმასკომის საშუალო თვიური შემოსავალი 1923 წელს უკვე ავიდა 240 ათას მანეთამდე, ე. ი. გადიდდა სამჯერ.

საბჭოთა ხელისუფლებას ძველი ხელისუფლებისაგან დარჩა ტრამვაის ვაგონები, რომლებიც სამუშაოთ ვარგოდნენ, რიცხვით 18, (როგორც მოტორიანი, ისე მისაბმელი).

საჭირო შეიქმნა ენერგიული ზომების მიღება, რომ ტრამვაის მეურნეობა აღდგენილიყო.

მართლაც რიცხვი ყოველდღიურათ მომუშავე ვაგონების აყვანილ იქნა 50 მდე, თუმცა საზღვარ გარეთის ემიგრაცია ყველას [illegible] პირობებით, თითქოს საბჭოთა მთავრობამ რუსეთში გაზიდა თბილისის ვაგონები და გზის ლიანდაგი.

წყალსადენი, რომლის ბედი დემოკრატიულ მთავრობის დროს ბეწვზე ეკიდა და დრო გამოშვებით გაჩერებული იყო, დღეს ნორმალურად მუშაობს.

ახლდება წარმოებანი კომუნალურ მეურნეობაში.

მოიგონონ თუნდაც ის, რომ რკინის გზის ყველა ხიდები აფეთქებული დასტოვეს. აი ნამდვილი მემკვიდრეობა, რომელიც ხალხს დაუტოვეს!..

დღეს ყველა ეს ხიდები აღდგენილია.

ავიღოთ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენება, რომელმაც 1925 წელს უნდა მოგვცეს 35 ათასი ცხენის ძალა და რომელიც გაანათებს ელექტრონით თბილისს და მის მიდამოებს. ეს ხომ ნამდვილი ეკონომიური რევოლიუცია, რომელზეც ვერც კი ოცნებობდენ ნ. ჟორდანიას დროს?!

თბილისის ქალაქის თვითმართველობა, რომელიც სულს ღაფავდა ნ. ჟორდანიას დროს უსახსრობისა გამო, ხოლო დღეს კი წარმოადგენს ერთ მძლავრ ორგანიზაციას, ნუ თუ ეს ნ. ჟორდანიას მთავრობის მუშაობის ნაყოფია?

თუ მას არ ახსოვს, კითხოს ნ. რამიშვილს და ბ. ჩხიკვიშვილს დაადგინა, თუ არა 1921 წლის დასაწყისში ქალაქის თვითმართველობამ განათლების განყოფილების დროებით დახურვა უსახსრობის გამო?

ჰქონდა თუ არა ადგილი თბილისის ქალაქის თვითმართველობაში მუშა მოსამსახურეთა გაფიცვას ნოე ჟორდანიას მთავრობის დროს ჯამაგირის მიუცემლობის ნიადაგზე?

ავიღოთ სწავლა განათლების საქმე თბილისში. თუ რა საშინელი მდგომარეობა იყო ამ დარგში, აშკარათ სჩანს შემდეგი ფაქტებიდან.

1921 წ. საბჭოთა მთავრობამ მიიღო თბილისში მხოლოდ 3 საბავშვო სახლი 300 ბავშვით, რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ ეს სახლები ნამდვილი „ანგელოზების ფაბრიკებია“.

დღეს ამ სახლ ბაღების და ბაღში მოთავსებულ ბავშვების რიცხვი გადიდებულია. თვით ეს სახლ-ბაღები მოთავსებულია საუკეთესო სახლებში და ყოველმხრივ მომარაგებულნი არიან.

მთელ საქართველოში დემოკრატიულ მთავრობის დროს იყო 1.568 პირველ დაწყებითი სკოლა. საბჭოთა ხელისუფლების დროს გვაქვს 1.725 შრომის სკოლა.

მოწაფეთა რიცხვი ნ. ჟორდანიას მთავრობის დროს ამ სკოლებში იყო 159 425. დღეს ეს რიცხვი ავიდა 214 608-მდე.

მასწავლებელთა რიცხვი წინეთ იყო 5 803. დღეს უდრის 10.292 ს.

ამნაირად სასკოლო ქსელი გაფართოვებულია მენშევიკურ პერიოდთან შედარებით 11 პროც, ხოლო მოწაფეთა რიცხვი 35 პროც.

სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები იყო დემოკრატიულ საქართველოში 7, საბჭოთა ხელისუფლების დროს არის 798.

გიმნაზიები, ამ ჟამათ კი სპეციალური და ჰუმანიტარული ტექნიკუმები იყო დემოკრატიულ საქართველოში 46 საბჭოთა საქართველოშია 46.

დემოკრატიულ საქართველოს არ ჰქონია არც ერთი მუშათა ფაკულტეტი. დღეს კი 1.112 კაცი სწავლობს მუშათა ფაკულტეტებში.

საქარხნო სამრეწველო სკოლების რიცხვი დემოკრატიულ საქართველოში უდრიდა 5 ს. დღეს ეს რიცხვი ავიდა 17 მდე.

წინეთ მხოლოდ 9 სამეცნიერო დაწესებულება იყო საქართველოში, დღეს ასეთი დაწესებულება 19 ია.

მენშევიკების პერიოდში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა საქართველოში 2.814 მოსწავლე, საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს რიცხვი ავიდა 8 735-მდე.

127 პროფესორისა და დოცენტის მაგიერ დღეს არის 435 პროფესორ-დოცენტი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები წინეთ არ იყო, დღეს კი საბჭოთა ხელისუფლებამ გახსნა საქართველოში 517 პუნქტი და წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა გამოცხადებულია დაკვრითი ამოცანათ.

ავიღოთ სხვა დარგი განათლების.

წინეთ იყო 88 ბიბლიოთეკა, დღეს 117. ქოხ საკითხავი წინეთ არ იყო, დღეს 332. ოთხი სახალხო სახლის მაგიერ დღეს მთელ საქართველოში 53 ია, კლუბები სოფლებში წინეთ ვის წარმოედგინა, დღეს 185-ია და სხვა.

ავიღოთ გამომცემლობა.

დემოკრატიულმა საქართველომ სამი წლის განმავლობაში გამოსცა სულ 162 წიგნი, ამათში პოლიტიკური ხასიათის იყო მხოლოდ 8, დანარჩენი იყო სახელმძღვანელოები, საბავშვო ლიტერატურა და სხვა. პროფესიონალური ხასიათის კი არც ერთი წიგნი არ გამოუციათ.

საბჭოთა საქართველოში მხოლოდ განათლების კომისარიატმა გამოსცა ამ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში 505 სახელწოდების ქართული წიგნი, ამათში პოლიტიკური მნიშვნელობის 213, პროფესიონალური მნიშვნელობის 80.

გარდა ამისა სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობისათვის სომხურ ენაზე 10 წიგნი, ფრანგულ ენაზე 4, გერმანულ ენაზე 4, ასირიულ ენაზე 2, თათრულ ენაზე 7, სულ 27 სახელწოდების წიგნი. დემოკრატიულ მთავრობის დროს კი იქნა გამოცემული ეროვნულ უმცირესობისათვის მხოლოდ 4 წიგნი.

სახალხო განათლების კომისარიატის გარდა საქართველოში გამომცემლობის საქმეს აწარმოებენ სხვა ორგანიზაციებიც.

გამომცემლობა „წითელი წიგნმა“ გამოსცა ამ უკანასკნელ 2 წელში 94 წიგნი, აქედან პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის 80.

„წითელი წიგნი“ მუშაობს ამიერკავკასიის მასშტაბით მთელ გამოცემათა ნახევარი (47 წიგნი) არის ქართულ ენაზე.

საქ კომ პარტიამ გამოსცა 3 წლის განმავლობაში 487 წიგნი. ამათში ქართულ ენაზე 348 წიგნი, ე ი 71,4 პროც.

თუ წინეთ არც ერთი მარქსისტული წიგნი არ გამოცემულა, დღეს ამ მხრით აღარაა სიმშილი საქართველოში.

დემოკრატიული მთავრობის დროს არც ერთი სამხატვრო ჟურნალი არ იყო საქართველოში. დღეს ასეთი ჟურნალი გამოდის რამდენიმე ჰქონდა მწერალთა კავშირს თუ არა ორგანო წინეთ? დღეს კი სქელ ჟურნალს სცემენ „[illegible]“. ჰქონდა მეცნიერების ტაძარს, საქართველოს უნივერსიტეტს სამეცნიერო ჟურნალი წინეთ? დღეს კი სცემენ პერიოდიულად ჟურნალს „ჩვენი მეცნიერება“.

გამომცემლობის ტირაჟი მენშევიკების 3 წლ ბატონობის დროს იყო 405 ათასი, საბჭოთა საქართველოში ამ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ტირაჟი გადაიზარდა 2 500 ათასს. ერთი სიტყვით წიგნის ბაზარზე დღეს საქართველოში ჩვენ ვხედავთ წარმოების გადაჭარბებას (перепроизводство)

სახალხო განათლების სფეროში დემოკრატიული მთავრობის დროს არ იყო გარკვეული სისტემა, გეგმა, ძალიან უშლიდა ამ საქმეს ხელს უსახსრობა. და არც ეცალა მაშინდელ მთავრობას ამ საქმისათვის. მისი ყურადღება მიქცეული იყო მეზობელ სახელმწიფოებთან ომისაკენ, რასაც სისტემატიური ხასიათი ჰქონდა მაშინ არსებულ პოლიტიკურ წყობილების და მეზობელ სახელმწიფოებთან არანორმალური დამოკიდებულების მიზეზით.

დღეს საბჭოთა ხელისუფლებას აქვს გარკვეული პრინციპი, გეგმა ამ საქმეში.

წინეთ მუშების შვილებს არ ჰქონდათ საშუალება ესწავლათ. მუშის შვილი ხშირად სკოლის გარე რჩებოდა სხვადასხვა მიზეზებისა გამო.

დღეს კი მოწაფეთა რიცხვში მუშების შვილები ქალაქებში უჭარბობს 75 პროც. ხოლო სოფლებში [illegible] ღარიბი გლეხების შვილები.

ეს დიდი მიღწევაა სწავლა განათლების საქმეში და ჩვენ ბით ნ. ჟორდანიას ხალხი ყოფილ დემოკრატიული მემკვიდრეობა?

მაშინ რაღატომ, რება ვერ შენ მთავრობამ,

მშრომელი გლეხობის სახარჯებლით, მოიმატა შრომის ნაყოფიერებამ.

1923 წელს საქართველოში დათესილი სივრცე უდრიდა 648 ათას დესეტინას, ე. ი. ომის წინა ხანასთან შედარებით ნათესი გაიზარდა 48 ათასი დესიატინით (1908—1913 წ. უდრიდა 600 ათას დესიატინას), ხოლო ნოე ჟორდანიას მთავრობის დროსთან კი შედარებაც შეუძლებელია.

1920 წელს მთელ საქართველოში მოწეული იყო 16 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი. 1923 წელს კი იქნა მოწეული 64 ათასი ფუთი, ე. ი. ოთხჯერ მეტი, ვიდრე მენშევიკური მთავრობის დროს.

ისიც თქვენს ღვაწლს უნდა მიეწეროს?

სახალხო მეურნეობის პროდუქციის საერთო ღირებულება 1923 წელს უდრიდა 9.334.740 ოქროს მანეთს. წინა წელთან შედარებით გაიზარდა ერთი სამად (1922 წელს უდრიდა 3 305 838 მ.) მენშევიკების პერიოდთან შედარებით კი გაზრდილია ერთი ათად. ეხლა გაიხსენოს ნ. ჟორდანიამ მისი განცხადება და მტკიცება ეკონომიურ თათბირზე 1920 წელს; საქართველო კი არ მიდის, უკვე მივიდა კატასტროფამდეო—და გულწრფელად სთქვას, რა ღირებულებისაა დემოკრატიული მთავრობის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა.

მუშის ხელფასი.

საშუალო ხელფასი 1923 წელს უმაღლეს. მეურნეობის საბჭოს წარმოებებში უდრის—80.4 პროც. ომის წინა დროსთან შედარებით.

ა. კავკასიის რესპუბლიკების მუშა მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გამოსარკვევად გასულ წელს მოხდა მუშა მოსამსახურეების ბიუჯეტის გამოკვლევა.

ცალკე რესპუბლიკების მიხედვით გამოკვლეულ ობიექტების რაოდენობა შეადგენდა,—საქართველოში—1.911, აზერბეიჯანში—1 596, სომხეთში—438, სულ 3.945, ამ რიცხვიდან ა. კ. რკინის გზაზე მოდის 700 ობიექტი.

გამოკვლევა შეეხო ა. კავკასიის 12 პუნქტს, აზერბეიჯანში—ბაქოს, საქართველოში—თბილისს, ბათომს, ჭიათურას, ტყიბულს, ქუთაისს, ფოთს, სამტრედიას და ხაშურს; სომხეთში—ერევანს და ალავერდს.

რკინის გზის მუშაკთაგან გამოკვლევა შეეხო მთავარ კვანძებს: თბილისის, ბაქოს, ლენინაკანის, ხაშურის და სამტრედიის კვანძს. აქედან მკითხველი დაინახავს, რომ გამოკვლევა შეეხება არა ჩვენ და ჩვენს ნაცნობებს, როგორც ეს ნ. ჟორდანიას ჰგონია, არამედ მუშათა კლასს.

მოხდენილ გამოკვლევამ, ცხადი შეიქნა, რომ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა ხელფასის გადიდების გამო—გაუმჯობესებულია. მუშა მოსამსახურის მეურნეობის გასავალ-შემოსავლის შორის შეფარდება შემდეგი სახით წარმოგვიდგება.

	საერთო შემოსავალი საქ. მ.	მეურნეობის საერთო გას. საქ. მან.	საბიუჯეტო თვის ნაშთი	პროცენტი
მეტალისტები	37.88	34 93	2.95	8 4
მეთამბაქოები	32 30	37 79	4 51	16 2
მბეჭდავები	33 03	30 89	2 14	6 9
მთა მადნ. მუშ. . . .	41 90	40 35	1.55	3 9
საპნის დამზ.	52.13	37 90	14.22	37.5
მოსამსახურეებისათვის:				
საბჭოთა მოსამს. . .	39.96	36 97	2 99	8.2
მედსანშრომის მუშ. .	32 29	30 91	1 38	4 5
განათლების მუშ. . .	39 90	57 84	2 36	6 0

ამგვარად მუშის და მოსამსახურის ნაშრომი შემოსავალთა ძლიერ გაზრდილა არა მარტო მუშათა ჯგუფებში (საწარმოო), არამედ ამ მოსამსახურეთა ჯგუფებში რომლებიც [illegible] იყვნენ.

შემოსავლიანობის მუშათა ჯგუფების მთავარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს შრომის ფაქტიური ხელფასი.

შემოსავლის და გასავლის შემადგენლობა გვიჩვენებს, რომ მუშა-მოსამსახურის ბიუჯეტი იყო უდეფიციტო, როგორც ოჯახის მეთაურის, ისე მისი წევრების ხელფასს ბიუჯეტში შემდეგი ადგილი უჭირავს პროცენტულად (ხელფასად იგულისხმება სულზე მიღებული ჯამაგირი და ავანსად მიღებული თანხა). მეტალისტების ხელფასს—83,2 პრ., მეთამბაქოების—79,7 პრ., მბეჭდავების—88 4 პრ., მთა მადნის მუშაკების—83,1 პრ., საპნის დამამზადებელთა—82,7 პრ., საბჭოთა მოსამსახურეთა—76,1 პრ., მედსანშრომის მუშაკთა—87 3 პრ., განათლების მუშაკთა—78,7 პრ.

ამგვარად მუშის საერთო შემოსავალში ხელფასის ხვედრითი წილი მაღალია და უახლოვდება მშვიდობიან დროის შეფარდებას,

მართალია, ამ დარგში კიდევ ბევრია საკეთებელი, ხელფასის დონე საჭიროებს აწევას, რომ მუშა უზრუნველყოფილი იყოს, მაგრამ ეს დამოკიდებულია წარმოების ზრდასთან. მენშევიზმის პერიოდთან შედარებით კი დღეს მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესებულია.

მაგალითად მენშევიზმის დროს 1920 წ. საქონლისა და ხელფასის ინდექსების მიხედვით ხელფასი ხუთჯერ დაბლა იდგა სიძვირის ზრდასთან შედარებით. ეს სჩანს შემდეგი ინდექსებიდან:

	1913 წ.	1916 წ.	1918 წ.	1920 წ.
საბაზრო ფასები . .	100	141,7	2940	176,152
ხელფასი	100	119,7	1428,6	34,000

აი ის მემკვიდრეობა, რომელიც თქვენ დასტოვეთ!

საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირში მრეწველობა უკვე აღწევს ომის წინა დროის 50 პროც-ს, ხოლო სოფლის მეურნეობა 75 პროც. მდე ავიდა.

ამას წინათ, როგორც რუსეთის, ისე საზღვარ გარეთის გაზეთებშიაც გამოქვეყნდა, რომ ლენინგრადის (ყოფილი პეტერბურგის) მუშების კვების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მათი კვება უკვე უახლოვდება ომის წინა ხანის კვებასო.

გამანადგურებელ იმპერიალისტურ ომის შემდეგ ასე ჩქარა ასეთ მიღწევამდე მისვლა დიდი დიდებით მოვლენაა ალბათ ესეც ნაყოფია კერენსკის მთავრობის და დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების მუშაობის, რომლებიც მილიონებს ხარჯავდენ რუსეთში სამოქალაქო ომის ფრონტზე საბჭოთა ხელისუფლების გასანადგურებლად.

დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში უკვე შემოღებულია ოქროს და ვერცხლის მაგარი ვალიუტა. ამასაც თქვენს მოღვაწეობას ხომ არ მიაწერთ?

ბინის საკითხი.

ნ. ჟორდანია აღიარებს, რომ მუშებისათვის მართლა გადაუჭრელი საკითხია ბინის საკითხი, მაგრამ ამავე დროს გვიმტკიცებს, რომ რუსეთში ბინის საკითხი მეტად მწვავეთ სდგასო, სახლები ინგრევაო. ვეკითხებით მას: იყო თუ არა ეს საკითხი მწვავე ჯერ კიდევ რევოლუციამდის? იყო თუ არა ის საშინელი საქართველოში თქვენს დროს? არის თუ არა ის მწვავე ინგლისში, სადაც თქვენი მეგობარი მაკდონალდი არის მთავრობის სათავეში? სდგას თუ არა ის მწვავეთ სხვა ქვეყნებშიაც?

რატომ გინდათ, რომ ბინის საკითხის სიმწვავე მარტო საბჭოთა ხელისუფლებას ჩაეწეროს პასივში?

მაინც, არც ერთ სახელმწიფოს ამ საკითხში არ გადაუდგამს ისეთი სერიოზული ნაბიჯი მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად, როგორც ეს ჰქნა საბჭოთა ხელისუფლებამ?

[illegible]

„მუშათა" მინისტრი მაკდონალდი კი სასტიკათ დამარცხდა ამ საკითხში. მან ვერ გაბედა ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოსვლა და მუშების დაცვა. გაიხსენეთ ამ საკითხის ირგვლივ კამათი ინგლისის პარლამენტში.

ამის შემდეგ კიდევ გაქვთ რამე სათქმელი?

8 საათის სამუშაო დღე.

საიდან გაიგეთ, რომ რუსეთში 8 საათის სამუშაო დღე მოსპობილია?

თქვენ ალბათ ისიც არ იცით, რომ სასტიკად ისჯებიან საბჭოთა კანონების ძალით ის პირები, ვინც 8 საათზე მეტს ამუშავებს მუშებს ზედმეტი ფასის მიცემითაც არ შეიძლება 8 საათზე ზევით მუშაობის გაგრძელება, თუ სათანადო ნებართვა არ იქნა მიღებული პროფკავშირისაგან.

დემოკრატიულ საქართველოში კი მართლა არ იყო 8 საათის სამუშაო დღე ფაქტიურად.

ამ ტომ თუ დღეს ჩვენში და რუსეთში ტარდება 8 საათის სამუშაო დღე, აქ თქვენ არავითარი ღვაწლი არ მიგიძღვით.

ჩვენი დამოუკიდებლობა

ნ. ჟორდანია ამბობს: „ისინი (კომუნისტები) რომ ამ მხრივ სხვა ქვეყნის კომუნისტებს გავნდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას მართლა იცავდნენ, ჩვენ მათთან დავა ბევრი არ გვექნებოდა დამოუკიდებელ, თუნდაც კომუნისტურ საქართველოში ჩვენ მოვნახავდით ჩვენ ადგილს, ბოლშევიკებთან გვექნებოდა სადავო მხოლოდ შინაგანი საკითხების დემოკრატიული და სოციალისტური პრინციპები"...

ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ საქართველო დღეს სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელია იმპერ. ქვეყნებიდან დემოკრატ. მთავრობის დროს კი ის იყო სრულიად დამოკიდებული კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. საქართველო სავსე იყო უცხო ქვეყნის ჯარებით. დღეს საქართველო ძმურ კავშირშია როგორც სუვერენული სახელმწიფო, მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან

წინეთ, დემოკრატიული მთავრობის დროს კი ის იყო მუდმივ ომში მეზობელ სახელმწიფოებთან.

ეხლა გვეთხრას ნ. ჟორდანიამ, როდის იყო საქართველო უკეთეს პირობებში? როდის დაეუფლა საქართველოს მუშებს მშვიდობიანობა: მაშინ, როცა აქ საშინელ შოვინიზმის ცეცხლს ანთებდენ, თუ დღეს, როცა საქართველოს მუშა არ სთვლის თავის მტრად აზერბეიჯანის და სომხეთის მუშას?

თუ რაიმე სოციალისტური შერჩენია ნ. ჟორდანიას, დაიდოს გულზე ხელი და სთქვას სიმართლე

ძველი ჭორები

ნ. ჟორდანია იმეორებს ძველ ჭორებს: საქართველოში ქვეყნის მართა-გამგეობა რუსის [illegible] ტებს ჩააბარესო.

ფაქტები?. რასაკვირველია, ფაქტების მოყვანა მას არ შეუძლია, ვინაიდან ფაქტები სულ სხვას ლაპარაკობენ.

საქართველოში 1923 წ. ითვლებოდა 76,672 მუშა მოსამსახურე. აქედან ქართველები არიან—50,8 პროცენ., სომხები—20,0 პროც., რუსები—19,2 პროც., დანარჩენი ეროვნება—10 პროცენტი.

თბილისში 40,848 მუშა მოსამსახურეებიდან ქართველებზე მოდის 37,1 პროც., სომხებზე—38,7 პროც., რუსებზე—23,6 პროც., დანარჩენ ეროვნებებზე—10,6 პროც.

თბილისისა და საქართველოს მკვიდრი მცხოვრებლები მარტო ქართველები არ შეადგენენ საერთოთ თბილისის მცხოვრებთა რიცხვში სომხები მეტია, ვიდრე ქართველები, მაგალ. თბილისში ქართველები შეადგენენ უკანასკნელი აღრიცხვის მიხედვით—34 7 პროც., სომხები—36 6 პროც., რუსები—16,3 პროც., დანარჩენი ერები—12,2 პროც. მიუხედავათ ამისა დაწესებულებებში და წარმოებებში სჭარბობს ქართველობა. სად აქვს აქ ადგილი ქართველობის დევნას?

ქართული ენა

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის რკინის გზაზედაც შემოღებულია სახელმწიფო ენა—ქართული ენა. საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად სდევნის ყველა მათ, ვინც გამოიჩენს „ველიკოდერჟავულ" ტენდენციას მოიგონეთ დათხოვა სამსახურიდან ვინმე ლიტვინოვი, რომელიც უდიერად ეპყრობოდა მუშებს და მოითხოვდა, რომ რუსულ ენაზე ყოფილიყო შედგენილი ტაბელი, მოიგონეთ გასამართლება რამდენიმე პირის, რომლებიც უდიერად შეეხენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენას და სხვა ამნაირი მაგალითები, და აშკარა გახდება, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში არ აქვს ადგილი იმ ზღაპრებს, რომლების შესახებ მოგვითხრობს ნოე ჟორდანია.

წითელი ჯარი

ნ. ჟორდანია ლაპარაკობს უცხო—ხიშტებზე ალბათ მას წითელი ჯარი ჰყავს მხედველობაში.

ეს ჯარი გულზე ლახვარივით ესობა საზღვარ გარეთის ემიგრაციას მხოლოდ იმიტომ, რომ ის იცავს საბჭოთა რესპუბლიკებს.

მოხსენით, შეასუსტეთ ეს ჯარი და ემიგრაცია თავისუფლად დაიძვრება აქეთ იმპერიალისტური ჯარებით, თუ ექმნა მას ამის შესაძლებლობა.

როცა აქ იდგნენ იმპერიალისტური ქვეყნების ჯარები, ნ. ჟორდანია მუხლმოდრეკილი ევედრებოდა მათ არ დაეტოვებინათ საქართველო.

ქართველმა მუშებმა და გლეხებმა ეს კარგად იციან. მშვენივრად იციან ისიც, თუ რა იყო ჩვენთვის იმპერიალისტური ჯარი და რაა წითელი ჯარი, გამოსული მუშებისა და გლეხების ოჯახიდან რევოლუციის დასაცავად.

დაბრმავება და რეაქციონური მისწრაფება

ნ. ჟორდანია ვერ გვიპასუხებს გარკვეულად ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე, თუ რა მოჰყვებოდა რუსეთში და ჩვენში ბოლშევიზმის დაღუპვას. ის მხოლოდ ამბობს: ამაზე უარესი რეაქცია არ იქნებაო ესაა სიტყვის ბანზე აგდება.

განა ვისმესთვის დღეს კიდევ გამოურკვეველია, რომ რუსეთში რევოლუცია გამარჯვებულია მხოლოდ საბჭოთა სისტემის განხორციელებით.

ამ სისტემის დანგრევა ნიშნავს რევოლუციის დამარცხებას, რევოლუციის ნანგრევებზე კი მოვა საშინელი რეაქცია. თუ ნ. ჟორდანიამ არ იცის ეს, გაიშა ლორთქიფანიძეს მაინც კითხოს, რომელიც სრულიად იზიარებს ამ აზრს.

ბოლშევიზმის დამარცხება რუსეთში, ეს იქნება სოციალიზმის დამარცხება ხანგრძლივი ხნით.

ეს ბრმისთვისაც გასაგებია, მაგრამ ნ. ჟორდანია კითხვას აქაც უკუღმართად სვამს.

მისი მისწრაფებაა დამარცხდეს რუსეთში ბოლშევიზმი რათაც არ უნდა დაუჯდეს ეს მას, თუნდა რეაქციის გამარჯვებითაც კი.

ესაა ნამდვილი ულტრა რეაქციონური მისწრაფება, რომელშიაც მას ბევრი მისი მახლობელიც ვერ ეთანხმება.

დავგმეთ ძველი გზა ღალატის

ნ. ჟორდანია გვსაყვედურებს: ნიკოლოზის დროს გაუძლეით ბრძოლას ათეული წლების განმავლობაში, ბოლშევიკების დროს კი სამი წელიწადიც ვერ გასძელითო.

მართალია ეს. ბოლშევიკებთან ბრძოლის პროცესში ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ბრძოლა იყო მიმართული რევოლუციის წინააღმდეგ. ის ხალხი კი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ციხე-კატორღებში იბრძოდა მეფის რეაქციის, დღეს ვერ შეძლებდა ბრძოლას ნიკოლოზის რეაქციის სასარგებლოდ. ჩვენ ვერ გავუძელით ბრძოლას ამ უკუღმართ გზაზე, რომელზედაც თქვენ დაგვაყენეთ ცარიზმთან ბრძოლის გამარჯვების შემდეგ. ჩვენ დავინახეთ ღალატი, დავინახეთ შეცდომა და რევოლუციასთან შესისხლხორცებულნი დავუბრუნდით რევოლუციას..

ამ საქმეში ჩვენ არ გვყოლია ბელადი. ჩვენი მაჩვენებელი იყო ჩვენი რევოლუციონური სინდისი.

გზაჯვარედინზე და [illegible] უფრო შეიძლებოდა ცოტა უნდა [illegible] საქართველოდან [illegible]

[illegible] პროფესიონ [illegible] გახმა.

ჩვენ მიერ არჩეული გზა არ საჭიროებს არავითარ გადაფასებას. ამიტომ მეტია თქვენი რჩევა „ბოლშევიზმის" შესახებ და ნურც ფიქრობთ, რომ ოდესმე ვინმე ჩვენთაგან მოგმართოთ თქვენ:

— გვაპატიეთ, არ ვიცოდით რას ვშვრებოდითო

ამ იმედებით თქვენ შეგიძლიათ ისულდგმულოთ პუანკარეს სამეფოში, ხოლო აქ ერთ ბურჟუაზიულ საფრანგეთის კულტურას და წყეულ-კრულვა უგზავნოთ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს, მაგრამ იცოდეთ მუშათა კლასის გულიდან თქვენი და თქვენი თანამებრძოლთა სახელი სამუდამოთ ამოშლილია და თქვენ ვერასოდეს ვერ ეღირსებით, რომ მან გაპატიოს ყველა ის უკუღმართი ნაბიჯები, რომლებიც თქვენ მის წინააღმდეგ გადადგით და განაგრძობთ გადადგმას

მენშევიკურმა პარტიამ დამღუპველი როლი ითამაშა რუსეთის რევოლუციის პროცესში

მოღალატეობრივი იყო ეს როლი დემოკრატიულ საქართველოშიაც არაფრით არ შეიძლება ამ როლის გამართლება საბჭოთა საქართველოს პირობებში ეს დაინახა პარტიის აქტივმა, მუშებმა და გლეხებმა. ეს დაინახა ამ პარტიის ცეკას თავმჯდომარეებმაც კი, ს. დევდარიანმა, რომელიც ნ. ჟორდანიას აქედან წასვლის შემდეგ საქართველოში ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სათავეში ედგა პარტიას და მიიღო ეს მასსა ჩამოშორდა მენშევიკურ პარტიას.

თავს ლაფს ლახვარს სცემს ის, ვინც მოშორდა მას, ვინც პროვოკაციის, ჭორების ქსელში აბამს მას, ვინც ხელის შეწყობის მაგიერ, ხელს უშლის მის წინსვლას, აშორებინებით მუშაობას, ვინც სისხლის მორევში გახვია და დღესაც ხვევს საქართველოს მუშებსა და გლეხებს.

რამდენი გულწრფელი მუშა და გლეხი შეეწირა იმ მრუდე პოლიტიკას, რომელსაც აქ ატარებდა საზღვარგარეთული ბიურო და არალეგალური ცეკა?

რამდენი მწარე ტკივილები მიაყენა ხალხს ჩოლოყაშვილის და სხვა ავანტიურისტების ურდოებმა, რომლებიც (ეს დღეს ყველასათვის უკვე დამტკიცებული ფაქტია, რომელსაც ვერ უარყოფს ვერც საზღვარგარეთელი ბიურო და ვერც არალეგალური (ცეკა) მენშევიკური პარტიის და პარტიულ კომიტეტის ლოცვა კურთხევით მოქმედობდენ და განაგრძობდენ მოქმედებას?

ამ ფაქტებს კარგათ უნდა ჩაუფიქრდეს ნ. ჟორდანია, თუ მას სურს გულწრფელი სამსახური მუშათა კლასისათვის.

შორს არაა ის დრო, როცა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზარი ჩამოკრავს და მსოფლიო პროლეტარიატი სასტიკ პასუხს მოსთხოვს ყველა იმათ, ვინც აწყენდა, აფერხებდა და ხელს უშლიდა მსოფლიო რევოლუციას, ვისაც განხეთქილება შეჰქონდა მუშათა მთლიან ოჯახში.

ხელს აწერენ: *).

1. ა. რუხაძე, 2. გ. უარდოიანი, 3. ლუკაშევიჩი, 4. ნ. გაჭარაძე, 5. ბესოშვილი, 6. ცარციმაშვილი, 7. გ. ხიხარულიძე, 8. გ. ოგანეზოვი, 9. გ. ხარატიშვილი, 10. ო. ყანდარელი, 11. ხ. არეშიძე, 12. პ. ანთიძე, 13. ნ. დიდუროვი, 14. ა. კალაძე, 15. გ. პირველი, 16. აფხაზავა, 17. ა. ყანდარელი, 18. ი. ნაცვლიშვილი, 19. ვ. შუბაშვილი, 20. ვ. ალიხანოვი, 21. ნ. შენგელია, 22. მელ. ტერულაძე, 23. არ. უმბრიევი, 24. ბალიანცი, 25. ნ. ჩლაიძე, 26. ქ. თოფაძე, 27. ლავრელაშვილი, 28. ხორიაშვილი, 29. ბატონისაშვილი, 30. ბ. მიკირტუმოვი, 31. ვლ. ბერაძე, 32. მინასიანი, 33. ი. ლელაშვილი, 34. ვ. რაქვიაშვილი, 35. გ. იახამანოვი, 36. არჩ. ბედენაშვილი, 37. ქ. ჩხარტიშვილი, 38. იაგ. ტორიკაშვილი, 39. ქორიძე. 40. ქ. ჭანტურია, 41. ხ. გვიბრაძე, 42. ქ. დემეტრაშვილი, 43. ა. ფარნიევი.

---

*) 6 მაისს მუშათა ცენტრალურ კლუბში ნ. ჟორდანიას პასუხს გაეცნო შარშან 30 აგვისტოს შემდგარ სრულიად საქართველოს ს. დ. პარტიის სალიკვიდაციო ყრილობის ყოფილ პრეზიდიუმის წევრები და მოწინავე მუშები—ყოფილი მენშევიკები, რომლებმაც ერთხმად მიიღეს აღნიშნული პასუხი ნ. ჟორდანიას პასუხზე.

მუშათა ცხოვრება

თბილისის აღმასკომის საყურადღებოდ.

ქალაქის განაპირა უბანში წმინდა ნინოს სასაფლაოს ირგვლივ გაშენებულია მუშათა უბანი, სადაც მოსახლეობენ მეტ-წილად რკინის გზის და ტრამვაის მუშები. აქ ზოგიერთებს ჰყავთ თითო ძროხა და თხები, რომლითაც [illegible] თავიანთი ცოლშვილი რძითა. აღნიშნული საქონელი ბალახობს იქვე ახლომახლო მინდორზედ—და არ ახსოვთ აქაურ მცხოვრებთ, რომ ოდესმე ვინმე მოეთხოვოს მათგან საძოვრის გადასახადი. ეხლა კი თბილისის აღმასკომს დაუნიშნავს მინდვრის გამგე და არ უშვებს უნომროდ საქონელს. ნომერი კი ღირს ძროხაზე 2 მ. 50 კ., თხაზე კი ერთი მანეთი გარდა ამისა მენახირეს უნდა კიდევ ფული—სამწყემსო ძროხაზე ერთი მანეთი და თხაზე ათი შაური, ასე რომ შეუძლებელი ხდება თითქმის საქონლის შენახვა. ამისათვის ზემოხსენებული მუშა მოსამსახურენი სთხოვენ აღმასკომს, რომ განთავისუფლებულნი იქმნენ გადასახადიდან პროფკავშირის ის წევრები მაინც, ვისაც ერთი ძროხა და ორი თხა ჰყავს.

მუშკორი ა. ო. ტა.

საჭიროა ყურადღების მიქცევა

(პროფკავშირის და შრომის ბირჟის საყურადღებოდ).

მე მინდა მკითხველს მივუთითო ერთ ბოროტ ვაჭრის მოქმედებაზე, რომელზედაც არავინ არაფერი არ იცის.

რიყეში, ყოფილი ხოსროევის ქარვასლაში **№ 73**, დიდი ხანია, ვაჭრობს შეკრული ტანისამოსით ვიღაც ხერსეთ ალიხანოვი, რომელიც ბითუმით და წვრილადაც ამზადებს და ჰყიდის სოფლელ და ქალაქელ მშრომელ ხალხზე დამზადებულ საქონელს.

ეს ვაჭარი ფარულად პოულობს ამ ტანისამოსის შემკერავ მუშა ქალებს დაახლოებით 20—25 მდის და ამუშავებს მათ დღე და ღამე ამას თანავე ის იხდის ისეთ ცოტა ხელფასს ნაჭერზე რომ სწორეთ წარმოუდგენელია ამას დაჯერება. თითო ხალათზე იხდის 5 კაპ.—7 კაპიკამდე. ასეთი ცოტა ფასით შეუძლებელია მშრომელმა ქალმა თავისი შრომის ფასი აინაზღაუროს და ოჯახი გამოკვებოს, რაც უნდა ბევრი საათებიც იმუშაოს.

ეს დამზადებული საქონელი საქონელი თავის დუქანში შეაქვს იმ დროს შემდეგ, როცა ქარვასლა იკეტება ამას ის აკეთებს ფარულად და იმ დროის, როდესაც შრომის ბირჟაში აღრიცხული უმუშევარი ქალები სწუხან და თითო წლობით ელოდებიან რაიმე სამუშაოს ან საკერავებს, რომ თავის ოჯახში პური შეიტანონ და შვილები არჩინონ.

ეს ალიხანოვი გაურბის კავშირების და შრომის ბირჟის წესებს და ასეთი ფარული მოქმედებით თავის საქმეს აჭახრაკებს და თავის ჯიბეს ასქელებს მშრომელი ქალების უანგარო შრომით.

საჭიროა ამ ვაჭრის ფარულ მოქმედებას ბოლო მოეღოს.

მუშა ს. ლომთათიძე.

მოვითხოვთ ამ საქმის სასწრაფოდ მოგვარებას.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ)

ჩვენ ბევრჯერ წავიკითხავს გაზეთებში იმის შესახებ, რომ მტკვრის პირას მშველელები არ არიან სამუშაოდ, აღმასკომს საკითხი დღემდის ვერ მოუგვარებია—აი ფაქტიც. მაისის 9, საღამოს 6 საათზე, ვერის ხიდის ქვეშ ჩამოატარა წყალმა ცოცხალი კაცი.

წყალს მოაქვს კაცი. ადამიანი თხოულობს შველას, მაგრამ ვინ არის პატრონი, ვინ უშველის მას? აძლევენ „სვისტოკებს", მაგრამ მენავეები არ ჩანან.

მაყურებელი ხალხი მენავეესთან მიეჩქარება, მაგრამ მენავე კი მას ეუბნება „მერე მე რა უყო, წავიდე, ვიწვალო იმის გულისთვის?! ჯამაგირი მე არა მაქვს არავითარი, როგორც წინედ იყო მომცეს აღმასკომმა ჯამაგირი, დამინიშნოს უბნები წყლის ნაპირას და მაშინ ვემსახურებიო". აი რას ამბობს მენავეები მაშინ როდესაც კაცი კიდევაც იღუპება. ბოლოს მაინც მოვიდა მენავე, გაუშვა, ნავი მიიარ მოიარა ვერაფერს გახდა, უკან მოვიდა დაბა ისევ ნავი, კაცი კი დაიღუპა. ნუ თუ აღმასკომს არ შეუძლიან მოაგვაროს ეს საკითხიც როგორც ბევრი სხვაც.

აღმასკომმა საჩქარო ზომები უნდა მიიღოს და დანიშნოს წყლის ნაპირას მშველელები, რადგანაც ამნაირი შემთხვევები დღეში 2—3 ჯერ ხდება.

მუშკორი ი. ჯ.

საჭიროა ყურადღება მიაქციოთ.

(დეპოს ადგილკომის საყურადღებოდ).

ჯერ მაშინ სანამ საერთო კურსი გაიხსნებოდა დეპოს სადალაქოში ყოველთვის, ნიხრზე მეტს ართმევდენ მუშებს როგორც გაპარსვაში ისე თმის გაკრეჭაში. თავს იმართლებდნენ იმით, რომ ჰკარგავდნენ ბევრ ფულს კურსის რყევის გამო საერთო კურსის გამოცხადების შემდეგ, იმის მაგივრად, რომ ამათაც ნაკლებ ფასებში გაპარსონ მუშები, ისინი, პირიქით ორ კაპეიკს მეტს ახდევინებენ მათ. რაშია საქმე? გაიაფდა როგორც საპონი ისე ყველაფერი და ამ სადალაქოს არაფერი არ შეეტყო. ისევ უსუფთაობა და ზედმეტი ფულის გადახდევინება საჭიროა, დეპოს ადგილკომმა სათანადო ყურადღება მიაქციოს მის მიერ დადებულ ნიხრის მიხედვით ფულის გადახდას, სადალაქოში სისუფთავის დამყარება-მოგვარებას.

მუშკორი ლელაშვილი.

წარმოდგენა სამედიცინო კავშირის წევრების ბავშვებისათვის.

4 მაისს სანიტარულ განათლების თეატრში დადგმულ იქნა წარმოდგენა ბავშვებისათვის.

წარმოდგენას ბლომად დაესწრო აღნიშნულ კავშირის წევრთა ბავშვები. შემსრულებელნი იყვნენ ფიზკულტურის „საიტას" მოწაფეები, რომელთაც მათ ხელმძღვანელებთან ერთად მშვენიერი საბავშვო პიესა ითამაშეს. წარმოდგენილ იყო სოფლის სკოლა. პიესას კარგი მომზადება ეტყობოდა რის, გამო პაწია მაყურებლების თვალის წინ სოფლის სკოლაში გაკვეთილის მიმდინარეობის ცოცხალი სურათი გადიშალა.

პიესის შემდეგ იგივე ყმაწვილებმა შეასრულეს დღის შესაფერისი დეკლამაცია; ბავშვთა გუნდმა იმღერა ქართული და რუსული სიმღერები, რამაც ბავშვებზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა.

ბავშვების კულტურულ სიამოვნებისათვის და განხიარულებისთვის მადლობის ღირსია ფიზკულტურის სკოლა მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ადგილკომს დღის მოწყობისთვის და ვსთხოვთ გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით.

მუშკორი ა. ნ.

მუშათა ქრონიკა.

— **დახმარების გადიდება.** პოლიგრაფიულ წარმოების მუშაკთა კავშირმა თავის უმუშევარ წევრებს მაისის დახმარეობა ერთი ორად გადიდა.

— **მცხობელთა შორის.** ყველა მცხობელთა კავშირის დაწესებულებებთან უნდა დაარსდეს ლენინის კუთხე. კულტ. მუშაკებს დავალებული აქვთ ძვირფასი ბელადის შესახებ ფართო აგიტაციის წარმოება. საჭიროა, სხვა მუშებმაც მიბაძონ მათ.

— **კედლის გაზეთები ადგილობრივ** ტრანსპორტზე მომუშავეთა კულტკონფერენციის დადგენილების თანახმად ადგილობრივ დაწესებულებებში შეუდგნენ კედლის გაზეთების გამოცემას, საჭიროა, ვიცოდეთ, სხვები რას აკეთებენ ამ მიმართულებით.

— **მუშებში წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** ხდება აღრიცხვა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე მცოდნეთა. სკოლები გაიხსნება შემოდგომიდან.

— **საქმეს შეგნებით ეკიდებიან.** ამავე კავშირის წევრები კავშირის მოწოდების თანახმად ეწერებიან „მ-პ-ს"-ის წევრად და აარსებენ ადგილობრივ ლენინის კუთხეებს. მათვე სურთ მოაწყონ ექსკურსიები.

— **დახმარება.** ამავე კავშირის უმუშევარი წევრები იღებენ დახმარებას თვეში, ოჯახიანები—2 მ. 50 კაპ. და უოჯახოები 2 მანეთს.

— **ტვირთზიდვის მუშების კავშირის წევრად მიღება.** ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირმა დაადგინა, თავის წევრებათ ჩარიცხოს ყველა ქალაქის ტვირთმზიდავი მუშები.

მანვე დაადგინა გადადილოს ტვირთსაზიდი ტარიფი 4 პროცენტით.

— **უმუშევრობასთან ბრძოლისათვის.** ვინაიდგან თბილისში უმუშევრობა მწვავე ხასიათს ღებულობს, სახალხო კვების კავშირმა დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის წინაშე, რათა მიღებულ იქნეს ზომები, რომ აღნიშნულ კავშირის წევრები არ შემოვიდნენ თბილისში ადგილების საძებრად.

პასუხი მუშკორ ყარამანს

„კომუნისტ"-ის № 99-ში მოთავსებული იყო შენიშვნა ხაჩატუროვის ოჯახის უკიდურესათ გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ.

[illegible] ხაჩატუროვი არის [illegible] სახალხო კომისარიატი, რომელმაც მისი ყოფა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, წინეთაც და ეხლაც განმეორებით მისცა წინადადება დასახელებულ ინვალიდ ხაჩატუროვს, რათა უკანასკნელი გადმოსახლებულიყო საინვალიდო სახლში, სრულ უზრუნველყოფაზე, ამასთანავე ერთად აღუთქვით, რომ ერთ მის შვილებთაგანს მოვათავსებდით საბავშო სახლში, და მაშინ მის ცოლს, პროფესიით მრეცხავს, შეძლება და საშუალება ექნებოდა, საკუთარ შრომით ესაზრდოებია თავისი მეორე, მცირეწლოვანი ბავშვი.

ასეთ გულშემატკივრობისა და ყურადღების მიქცევის მიუხედავად დასახელებულმა ხაჩატუროვმა ერთჯერაც და მეორეჯერაც უარი განაცხადა ჩვენგან ზემოთ დასახელებულ სოციალურ დახმარების მიღებაზე,

სოც უზრ სახ. კომისარიატის თბილისის განყოფილების გამგე მაგანოვი.

მუშის ლექსიკონი

(უცხო სიტყვათა ახსნა)

კონფისკაცია—(ლათ. სიტყვაა. ნიშნავს მთელი ქონების, ან მისი ნაწილის ვისმესთვის ხელისუფლების მიერ ჩამორთმევას ხაზინის სასარგებლოდ, რომელიც (ჩამორთმევა) გამოწვეულია რომელიმე პირის, ან ორგანიზაციის მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულობით, როგორიცაა მაგ., სახელმწიფოს ღალატი, კონტრ-რევოლუცია, სპეკულაცია (ვაჭრული სახით ქურდობა) ჯაშუშობა, პროვოკაცია (ცრუ და ყალბი ხმების გავრცელება) და სხვა.

ამ სასტიკ ზომებს ხელისუფლება მიმართავს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს თვით რევოლუციის და მშრომელი მასის ინტერესები.

ანალიზი (ბერძნული სიტყვაა) დაშლა, დანაწევრება, გამოკვლევა, ახსნა განმარტება, რთული აზრის, ან დებულების ბეჯითად და ყურადღებით განხილვა და განმარტება და სხვ.

ტირაჟი—(ფრანგული სიტყვაა) ლატარიის თამაშობა; ზოგიერთ სალატარიო ბილეთების გათამაშება. **დაბეჭდილ გამოცემებზე უფრო ხშირად გაზეთების გამოცემების (ცალების) რიცხვი.** მაგ. ჩვენი „კომუნისტის" ტირაჟი 1924 წ. ერთორად გაიზარდა, ე. ი. ამ წელს „კომუნისტ"-ს ჰყავს ორჯერ მეტი ხელისმომწერი, ვიდრე შარშან, რის გამო გამომცემლობა უშვებს მას ორჯერ მეტ ცალს, ვიდრე გასულ წლებში.

ნორმალური—(ლათინ. სიტყვაა) რიგიანი, ნამდვილი, კანონიერათ, მოსაწონი, წესიერი, სამაგალითო.

სტატუს კვო (სტატუს-კვო)—(ლათ. სიტ.) მდგომარეობის უცვლელობა, არსებულ მდგომარეობის, ერთხელ დამყარებულ წესის და ურთიერთობის შეურყევლობა უცვლელობა.

ეკონომიური ცხოვრება

სავალუტო კურსი თბილისში.

(11 მაისი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან.

	ჩერვონცებით
გირვ. სტერლინგი. ჩეკით.	8 მ. 52 კ.
" ნოტები —	7 მ. 65 კ.
დოლარი ჩეკით.	1 მ. 94,5 კ.
" ნოტები —	1 მ. 78 კ.
ოსმ. ქაღ. ლირა ეგვ. —	90 კ.

იტალ. ლირა 100 ცალი 8 მან.

ფრანკი ფრან. 100 ცალი 9 მ. 40 კ.

ოქროს მანეთი 12.500 მილიონი.

საბითუმო ფასები

(11 მაისი)

პური 1 ხარი.—6 კაპ. პური 2 ხარ.—5 კაპ., ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინადი—32,5 კ., შაქარი ფხვნილი—26,5 კ., კარტოფილი—2 კაპ., მაკარონი 17 კ., საპონი „[illegible]" 22 კ.; ფქვილი თეთრი № 0—10 კაპ.

თბილისის ბაზრის ფასები

(11 მაისი)

პური 1 ხარ.—8 კაპ., პური 2 ხარ.—6 კ., ძროხის ხორცი—30 კაპ., ბრინჯი ალდაშის—17—18 კაპ., შაქარი რაფინ—34 კ., ფხვნილი—27 კაპ., კარტოფილი—3 კაპ.

ბირჟის მიწოდება

მზესუმზირის ზეთი, ქვიშნა (гречиха), გუთნები, სანთლები, „ქიმ-გოლდ"-ის პროდუქცია, საღებავები (სხვადასხვა ფერი), „ცარეპატორგ"-ის პროდუქცია, გოგირდი „სუპლიმე" და „მუდა", ბურღული, ჩაი ჩინეთის და ცეილონის, ტყავის ლეღები, „სახმრეტრესტ"-ის პროდუქცია, „კონ-სინდიკატ"-ის პროდუქცია, სახალ. მეურნ. საბჭოს საფეიქრო და საპნის ტრესტის პროდუქცია, ცემენტი და ეტერნიტი, ზაბიამანი, შაბი განჯის, სელი, ოლიფის ზეთი, ფანჯრის მინა რუს., ლურსმნები, კაუსტიური სოდა, ბამბა, მარტენის მავთული, სალეწავი მანქანები (მოწყობილობით), თივა (შეკრული), წერაქვები, თოხები და ბარები, სალამანი.

ბირჟის მოთხოვნილება

გუთნები (სხვა და სხვა ფირმების), ბოთლები (კონიაკის), ნაფტალინი, ჯაგარი, თუშური მატყლი, ნედლი ტყავეულობა, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სალამანი, მზესუმზირის ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ქვამარილი ნახიჩევანისა, „კოქსინდიკატ"-ის პროდუქცია". თეთრი თუნუქი, ფურცლოვანი რკინა (ბიდონებისათვის).

ოფიციალური გარიგებანი.

აგური (ცეცხლგამძლე).—35 კაპ. ცალი, ფრანკო ვაგონი სადგ. თბილისი.

შვრის ფქვილი—2 მ. 60 კ. ფ. ფრანკო სადგ. სამტრედია.

შაქარი ფხვნილი რუს.—10 მან. 27,3 კაპ. და რაფინადი (დახერხილი)—12 მ. 41,5 კაპ. ფ. ფრანკო—„სახმრეტრესტ"-ის საწყობი.

რკინა (კუთხედი)—2 მ. 60 კ. და რგვალი—20 მან. 75 კ. ფ., ფრანკო სადგ. სალიანის ვაგონი.

რკინა (ზოლადი, ოთხკუთხედი და სხ.)—3 მ. 50 კ. ფ. ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

მავთული ლურსმნები—11 მან. 50 კ., 8 მან. 55 კ., 6 მან. 60 კაპ., 5 მან. 75 კ., 5 მ. 15 კ. და ნალის ლურსმნები—8 მ. ფუთი.

სურინჯი (сурик)—12 მან. 50 კ; ოხრა—12 მ. 50 კ ფუთი, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

შაქრის, პურეულის და ლითონის ბაზრებზე გაცხოველებულია; მცენარეულობის და ტექნიკური ცხიმების ფასები დაცემულია; დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

შავი ქვის ექსპორტი

(ა. წ. პირველ ოთხი თვის განმავლობაში).

შავი ქვის ექსპორტი ფოთის და ბათომის ნავთსადგურებიდან თვეობით გამოიხატება შემდეგი ციფრებით: იანვარში გატანილია უბრალო მარგანეცი—19 319 ტონი, გარეცხილი—23 924 ტ., პეროქსიდი 1 948 ტ., სულ 45.191 ტონი: თებერვალში უბრალო 21 265 ტ., გარეცხილი 9 503 ტ. და პეროქსიდი 90 ტ., სულ 30.858 ტ., მარტში—უბრალო 14 665 ტ., გარეცხილი 35,711 ტ. და პეროქსიდი 998 ტ. სულ 51.374 ტ., აპრილში—უბრალო 21 820 ტ., გარეცხილი 27 405 ტ. და პეროქსიდი 113 ტონი, სულ 48.338 ტონი, ორი თვის განმავლობაში გატანილია სულ 175.261 ტონა. აღნიშნული რაოდენობა გატანილია საზღვარ გარეთ 37 გემით.

1923 წლის იმავე თვეების განმავლობაში გატანილია სხვადასხვა მადანი—სულ 101.738 ტონა.

სხვადასხვა ქვეყნებითა შორის, სადაც გატანილია ჭიათურის მარგანეცი, პირველი ადგილი ეხლა უჭირავს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს; სადაც გატანილია ა. წ. ოთხი თვის განმავლობაში სხვადასხვა ხარისხის მარგანეცი 98.782 ტონა", ე. ი. მთელი ექსპორტის ნახევარზე მეტი (წარსული წლის იმავე თვეებში გატანილი იყო სულ 16 464 ტ.) ამ მხრივ შეერთებულმა შტატებმა შესამჩნევად გადააჭარბეს საფრანგეთს, რომელსაც შარშან ექსპორტში პირველი ადგილი ეჭირა და გაიტანა ოთხი თვის განმავლობაში 28.470 ტონა. ეხლა საფრანგეთს უჭირავს მეორე ადგილი; აღნიშნულ თვეებში საფრანგეთში გაიტანა 28 951 ტონა მესამე ადგილი უჭირავს ინგლისს—17 355 ტ., შემდეგ—ჰოლანდიას (გერმანიისათვის)—12 641 ტ., ბელგიას—11 623 ტ., გერმანიას,—6,854 ტ. და იტალიას—5.055 ტონა.

ვაჭრების დაჯარიმება

შინაგან ვაჭრობის კომისარიატის სავალდებულო დადგენილების (გამოცემული 12 აპრილის № 62) დარღვევისათვის, რომელიც გამოიხატება დაწესებულ ფასებზე საქონლის უფრო ძვირათ გაყიდვაში, ბაზრის მომწესრიგებელ კომისიამ დააჯარიმა შემდეგი ვაჭრები:

15 15 ჩერვონეცით—თუ არ გადიხდის, 2 თვით დაპატიმრებით—ბახჩიევი და კაბაჩაშვილი (პუშკ. ქ.) ვართან გასპაროვი (ჯარის კაცის ბაზარი) და გეორგი თუთუნჯიანოვი.

10—10 ჩერვონეცით თუ არ გადიხდის 1 ნახ. თვით დაპატიმრებით—ბუსრიშვილი (მუხრანის ბაზარი) ხაჩიდოვ (მუხრანის ბაზარი), ნესვაძე (მუხ. ბაზ.) საკონდიტერო „ლონდონი" (რუსთ. პრ.), ი. ნაუმენკო (რუსთ. პრ.) ვართან მურადოვი (მეყაპეთა ქ.), მანუჩაროვი (მეყაპეთა ქ.), მორდახ აივაზოვი (პუშკ. ქ.), ისაკ გოზაროვ (მეყასბ. ქ.), და გიორგი დოთონაშვილი (მეყასბ. ქ.)

5—5 ჩერვონეცით ან ერთი თვით დაპატიმრებით—ალექსანდრე შერაძე (მუხ. ბაზარი), ფილიპე კონჩაძე (კირ. ქ.), ტერლემეზოვი (ღვინის აღმართი), ბაბაოვ (მეხ. ქ.) და „შრომის ჯაფა" (მუხ. ქ.).

3—3 ჩერვონეცით. სიმონიანც (19 თებერვლის ქ.), ვართან გასპაროვი (ანანენსკის ქ.), დიმიტრი ნიკოლაევი (გოგოლის ქ.), აგაფია საფაროვა (პლეხ. პრ.), ხაჩატურ კატიკიანც (პლეხ. პრ.), ლევან გოგელიძე (ფეოდოსიევის ქ.), ილარიონ ბაბუაძე (ფეოდოსიევის ქ.), ინვალიდების საკონდიტერო (რუსთ. პროს.) და ანდრონიკ აკოპოვ (ჯარის კაცის ბაზარი). ჯარიმა სულ შეადგენს 2020 მან.

დან სადგილმამულო განყოფილების სექცია სისტემატიურად რიბება წევრების საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

ავებს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, სადგილ-მამულო სექციის ებს, რომ აუცილებლად გამოცხადდენ სადგილ-მამულო სექ- ს სხდომაზე ორშაბათს, 12 მაისს, საღამოს 6-საათზე, ოთახი № 31 რსეგოვა არუსია, 2) ასიტოვი კარაპეტი, 3) პრეობრაჟენსკი ივანე, 4) შვილი მიხეილ 5) ატოევი ნიკო, 6) კიკნაძე ნიკო 7) ჯიბლაძე ლავ- ტი 8) იმხანოვი მიხეილი, 9) ბაირამოვი პოლოსი, 10) თელია სერაფი- 11) ხვიჩია ლიუბა, 12) ჰელიძე ემელიანე, 13) ისაბეგოვი პაშა, 14) ლოვი ივანე, 15) ყიფიანი ივანე, 16) თავდიშვილი კირილე, 17) ვალ- ივანე, 18) პიეენკო სვიმონი, 19) სარდიშვილი ზაქარია, 20) ზახაროვი ნდრე, 21) ქავთარაძე ვლადიმერი, 22) ქართველიშვილი ივანე, 23) ულია პლატონ, 24) ტერ-ზექიანცი კასპარ, 25) ტიშმევი ივანე, 26 დერუვენია გაბრიელ, 27) ელიზაროვი ვლადიმერი.

მდეგ შემთხვევაში სია იმ ამხანაგებისა, რომელნიც სისტემატიურად არ ესწრებიან სექციის სხდომებს, გადაეგზავნება მათ ამომრჩევლებს.

აღმასკომის სექციების ხელმძღვანელი არ. რუხაძე.

ნის. 1120—1—1.

შაბათს ა. | წ. 12-მაისს საღ. 6-ს. თბ. აღმასკომის შენობაში შნულია თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების

მორიგი სხდომა

1) კომუნალურის—აღმასკომის დარბაზში.
2) საფინანსოსი—საფ. განყ. კანცელარიაში ოთახი № 17.
3) ჯანმრთელობის—აღმასკ. საერთო კანც. ოთახი № 5.
4) სადგილ-მამულო—სადგილ. მამულო განყ. კანც. ოთ. № 31.
5) ზ.მეკომის—ზაჰესკომის კანცელარია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

ალურის 1) კომუნალური განყ. დებულების განხილვა, 2) ელსადგურ სამმართველოს მოხსენება, 3) მაზრის მეთვალყურე კომისიების არჩევა. 4) მიმდინარე საკითხები.

ნსო 1) მიმდინარე საქმეები.

რთელობის: 1) საინფორმაციო მოხსენება დაზღვევ. სალარ. შესახებ.
2) „ „ აფთიაქ. ჯანმთრ. განყ. გადმოსვლის შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

ილ მამულოსი: 1) აგრო-დახმარება მაზრაში და მიწის მოწყობა.

სკომის: 1) მოხსენება ზაჰესის პროექტის შესახებ, ელ მექანიკური ნაწილი (დროებითი და მუდმივი მოწყობა).
2) მიმდინარე საკითხები.

სექციებზე ყველა წევრისათვის დასწრება აუცილებელია.

დან სექციების სხდომებს ზოგიერთი ამხანაგები სისტემატიურად აკლდებიან, ამიტომ, თანახმად სექციების წარსულ სხდომაზე დადგენილებისა, ეძლევათ გაფრთხილება, რომ სია იმ ამხანაგებისა, რომლებიც სისტემატიურად აკლდებიან სხდომებს, გადაეგზავნება მათ ამომრჩევლებს ზომების მისაღებათ და აგრეთვე იქნება გამოქვეყნებული.

აღმასკომის სექციის ხელმძღვანელი—არ რუხაძე.

ნის. 1121—1—1.

მელითონეთა გაფიცვა ნორვეგიაში

ორვეგიაში გაფიცულ მელითონეთა თხოვნა დახმარების შესახებ

სკოვი, 10 მაისი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მიიღო ხოვნა ნორვეგიაში გაფიცულ მელითონეებისაგან, რომლებიც ითხოვენ დახმარებას. ლოკაუტ გამოცხადებულია. 60,000 მელითონე მოკლებულია ყოველგვარ ფინანსიურ დახმარებას. უხედავად რეფორმისტების ცდისა წყვიტონ გაფიცვა, რომელიც 7 ვის განმავლობაში გრძელდება, ნორვეგიის მელითონეებს იმედი აქვთ გამარჯვებისა. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა მოუწოდოს პროფინტერნის ყველა ორგანიზაციებს გაუწიონ ენერგიული დახმარება ნორვეგიის მელითონეებს და მიმართოს თხოვნით სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს გაუწიოს დახმარება ნორვეგიელ ამხანაგებს.

სხვადასხვა ამბები

● **შვეიცარიის დემოკრატია და** მეფე. რუმინეთის მეფე ჩავიდა ბერნში, სადაც ის დიდი ზეიმით მიიღეს.

● **ამერიკა უკან იხევს.** ამერიკის სენატმა დაადგინა იაპონიიდან იმიგრაციის შეზღუდვის შესახებ მიღებული კანონის ცხოვრებაში გატარება მომავალი წლის მარტამდი გადადოს პრეზიდენტს დაევალა მოლაპარაკება გამართოს ამის შესახებ იაპონიასთან.

● **„ხოდინკა“ ნორვეგიაში.** ქრისტიანიაში გაფიცულ მუშები მივიდა მეფის სასახლესთან ინტერნაციონალის სიმღერით. დემონსტრანტებს თავს დაესხა ცხენოსანი პოლიცია. მეფის ოჯახი ფანჯრიდან თვალყურს ადევნებდა დემონსტრანტების ცემა ტყეპას.

● **ქურთების მეთაურის გაქცევა.** სპარსეთის სამხრეთ ნაწილის ქურთ ფეოდალების მეთაური სარდარ რაზიდი, ინგლისელთა და რეაქციონერი, მესოპოტამიაში გაიქცა.

● **პატარა [illegible] [illegible]** აფართოებენ ჩეხო-სლოვაკიის პრე-

---

მდინარე წელში ჩვენ უფრო მეტი აი მივიღეთ, ვიდრე წარსულ წლებში. შეგროვებული ჩაის რაოდენობა მარტო ჩაქვის მამულში უდრის 800 000 გირვანქას. გლეხობასთან ერთად კი 400 ათას გირვანქას.

ჩვენ ეხლა გადავწყვიტეთ გავაერთიანოთ ერთ აქციონერულ საზოგადოებაში აჭარისტანის და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების პლანტაციები და ის ფაბრიკები, რომელნიც ამ პლანტაციებზე იმუშავებენ; ამ აქციონერულ საზოგადოებაში წევრებათ შევლენ სხვა სამეურნეო ორგანიზაციები, მაგალითად, ისეთი დიდი ორგანიზაცია, როგორიც არის საბჭოთა კავშირის ჩაის სამმართველო.

მიწის რეფორმა.

დამთავრებულად იქნა ისეთ მაზრაში, როგორიც არის თელავის მაზრა, წარსული წლის ზაფხულზე და ზოგიერთ ცალკე რაიონებში ის გატარებულია მიმდინარე წლის გაზაფხულზე. როგორია მისი შედეგები? მე მაქვს ციფრები, რომლებიც შეეხება მხოლოდ 1199 სოფელს ჩამორთმეულია 1088 სახლი, 119 წისქვილი, 65 სხვადასხვაგვარი შენობა და 65 000 დესეტინა მიწა, ძვირფას კულტურას უჭირავს 8000 დეს., ტყეებს—15000 და სახნავი მიწები 4700 დესეტინა. აგრარული რევოლიუცია დამთავრებულია და იგი არის ის ხიდი, რომელმაც დაგვაკავშირა ჩვენ გლეხობასთან. მნიშვნელოვანი ღონისძიება საბჭოთა საკითხში არის

ახალი ადმინისტრატიული დაყოფა

რომელიც ჩვენ გავატარეთ. რას მოველოდით ჩვენ, როდესაც სამაზრო აღმასკომებიდან გადავედით რაიონულ აღმასკომებზე? ჩვენ მოველოდით იქიდან, რომ გაგვემარტივებია ადმინისტრატიული აპარატი და შეგვექმნა საბჭოები, რომლებშიაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ გლეხთა მასები. ზოგიერთი ამხანაგები ამბობენ, რომ ჩვენ კარგ შედეგებს მივაღწიეთ, ზოგიერთები კიდევ ამბობენ, რომ ჩვენ ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგებს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ცდასთან, რომლის შემოწმება უნდა იკისროს ყრილობამ.

მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში

გლეხებისათვის დახმარების გაწევა

გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების შექმნის საქმეში გორის და თელავის მაზრაში და გურიაში. საურთიერთო დახმარების კომიტეტები მეტად დიდ მუშაობას ეწევიან არა მარტო ინვალიდებისა და ობლების სასარგებლოთ, არამედ მთელი სასოფლო მეურნეობის აღდგენის სასარგებლოთაც. ეს გლეხთა თვითმოქმედების მეტად მნიშვნელოვანი გამოხატულებაა და ჩვენ ეს მუშაობა სწორ კალაპოტში უნდა ჩავაყენოთ. ზოგიერთ ადგილებში გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტები აწარმოებენ გლეხებისათვის საქალაქო მრეწველობის საგნების მიწოდებას. ეს ხდება, მაგალითად, გორის მაზრაში. დანარჩენ მაზრებში ეს კომიტეტები ასრულებენ კულტურულ ფუნქციებს. აქ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ირაზმება გლეხობა და იწყებს ენერგიულ მუშაობას, რომელიც დამყარებულია მის თვითმოქმედებასა და ინიციატივაზე.

შემდეგ ცეკამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც უადვილებენ გლეხებს

საქონლის გატანას და გაყიდვას

გლეხებს ჩვენ მოეხსენით ყოველგვარი დამატებითი გადასახადები, ხარჯები სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერისათვის და სხვა. მაგრამ, მიუხედავათ მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელნიც აუმჯობესებენ გლეხობის მდგომარეობას, მისი მდგომარეობა მაინც მძიმე. ადგილებზე წარმოებულ მუშაობის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ გლეხთა მასა მიისწრაფის განათლებისა და კულტურული ცხოვრებისაკენ. მაგრამ სოფელი მაინც მიტოვებულია, და ამ მისწრაფებებს წინ ეღობება ჩამორჩენილობა და საშუალებების უქონლობა. საჭიროა სოფელს მიეცეს საშუალებები და მუშაკები იმ მიზნით, რომ სოფლათ წარმოებული მუშაობა უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო გახდეს რასაკვირველია სოფელს ჯერჯერობით ძალიან მცირე საშუალებები ეძლევა; რაც შეეხება ძალებს,—უკანასკნელი მობილიზაციით თბილისის ორგანიზაციიდან ჩვენ მოვახერხეთ მხოლოდ 20 კაცის გამოყოფა და მათი მაზრებში დაგზავნა.

(დასასრული იქნება).

სის ცნობით ბენეში წინადადებას მისცემს იტალიას და საფრანგეთს შეუერთდენ მცირე ანტანტას.

● **ავსტრიის კრონა ეცემა.** ავსტრიის კრონა ეცემა. გაკოტრდა მსხვილი ფირმები. ცნობილმა ბანკირმა ეისნერმა თავი მოიკლა. განზრახულია ბირჟის დახურვა.

● **ყრილობის გადადება.** საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა ივნისის პირველ რიცხვებისათვის გადაიდო.

● **ბრძოლა მაროკოში.** ბრძოლა მაროკოში გრძელდება. ესპანელები სასტიკად დამარცხდენ.

● **აჯანყება კუნძულ კუბაზე.** ნიუიორკიდან მიღებული ცნობით აჯანყება კუნძულ კუბაზე ჩააქრეს.

● **ხოლერა ინდოეთში.** ხოლერა ინდოეთში ათასობით მსხვერპლს იწირავს.

● **მიწის ძვრა.** აღმოსავლეთ აზიაში დიდი მიწის ძვრა მოხდა.

ქრონიკა

■ **ა | კ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება.** ა | კ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გეგმათა თავმჯდომარეთ დაინიშნა—ამხ. ფ. მახარაძე, ხოლო საკონცესიო კომისიის თავმჯდომარეთ—ამხ. შალვა ელიავა.

■ **მოსავლის პირი ბორჩალოს მაზრაში.** ბორჩალოს მაზრაში კარგი ამინდები დაიკავა თავიდანვე. საერთოდ ბორჩალოს მაზრაში (ლიუქსემბურგის რაიონში) მოსავალი მოსალოდნელია საშუალოზე მეტი.

■ **ნათესების მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში.** ქუთაისის მაზრაში - ვანი, სვირი, ბაღდადი, რიონი, გუმისი, დანიერ ქვიტირი, ნახახულევი და კონჩხი—ცუდი ამინდების გამო ნათესები დაზიანდა. მოსავალს მოელიან საშუალოზე ნაკლებს.

■ **ამერიკული ვაზის სანერგე.** წარმოკავშირმა სოფ. მუკუზანში (კახეთი) დაამუშავა 120 დესეტინა მიწა, სადაც გაშენებული იქნება ამერიკული ვაზის სანერგე. უკვე გაშენებულია 20 დესეტ. მიწა.

■ **ხეხილის სანერგეები.** გორის მაზრაში მეხილეობის განსავითარებლად, წარმოკავშირმა გადაწყვიტა მოაწყოს ხეხილის სანერგეები.

■ **გუთნები თამბაქოს პლანტაციებისათვის.** წარმოკავშირმა გერმანიიდან გამოიწერა 400 გუთანი, რომლებიც გადაეცემა წნორის წყლის მეთამბაქოეთა თამბაქოს უკეთ დამუშავების მიზნით.

■ **საწრაფო დეპეშების გადაგზავნა.** ტელეგრაფის სამმართველომ გასცა განკარგულება ყველა ტელეგრაფებისადმი, რათა დეპეშები, რომლებიც გაგზავნილი იქნება საბჭოთა რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოების სახელზე, გადაიგზავნოს საწრაფოდ და პირველ რიგში.

■ **დახმარება ავადმყოფ ბავშვებს.** ჯანმრთელობის კომისარიატს განზრახვა აქვს დაიკავოს მჭიდრო კავშირი განათლების დაწესებულებებთან დეფექტიან ბავშვებისათვის საექიმო დახმარების გაწევის მიზნით.

■ **ფილოქსერას წინააღმდეგ.** 10 მაისს კახეთში წარმოკავშირმა გაგზავნა განსაკუთრებული რაზმი საჭირო წამლეულობით ადგილობრივ ფილოქსერასთან საბრძოლველად.

■ **ნიხრი ტელეფონებზე** ტფილისში ტელეფონებზე დაწესებული იქნა შემდეგი ნიხრი: საბჭოთა მოსამსახურეების ბინებზე—70 მან. (წელიწადში), სახელმწიფო დაწესებულებებზე—85 მან, სამეურნეო ხარჯზე მყოფ დაწესებულებებში—130 მან საზოგადო და კერძო დაწესებულებებში—200 მან.

■ **შინა და სამეურნეო მრეწველობის ნაწარმოებნი.** საბჭოთა კავშირის გარეშე ვაჭრობის კომისარიატის მიერ, აღმოსავლეთ ქვეყნებიდან შემოტანილ შინა და სამეურნეო მრეწველობის ნაწარმოებებზე მოხსნილია ბაჟი.

■ **სამკურნალო დახმარება დაზღვეულებს.** უახლოეს ხანში სამკურნალო დახმარების საქმე დაზღვეულთათვის, გადაეცემა ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას.

■ **შემნახველი კასები.** უახლოეს მომავალში თბილისის შემნახველ კასებში შეიძლება საგერბო მარკების და სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შეძენა.

■ **ზოგიერთ შემნახველ კასების დახურვა.** მტკიცე ფულის შემოღების შემდეგ და აგრეთვე მუშაობის შემცირების გამო შემნახველი კასები ა | კ. სახ. კომისართა საბჭოებთან სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციასთან დაიხურა.

■ **დაზღვევის ფურცლების შევსება.** დაზღვევის კასა წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებების ადგილკომებს, რომ დაზღვეულთა ფურცლების (ბიულეტენების) შევსების დროს მუშა მოსამსახურეთა შრომის ხელფასის რაოდენობა უნდა ნაჩვენები იქნეს როგორც ციფრებით, ისე სიტყვიერი აღნიშვნით.

■ **„ბიულეტენი“.** დაიბეჭდა და იყიდება სტატისტ. ცენტრალურ სამმართველოს სტატ. ბიულეტენი № 1 1924 წ. ბიულეტენის შინაარსი: 1) საქართველოს მოსახლეობა, 2) ვალუტის კურსი თბილისში და ბათომში 1923 და 1924 წ. წ., 3) სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი საქართველოს ბიუჯეტით 1923 წ. (იანვარი—სექტემბერი), 4) ადგილობრივი ბიუჯეტი 1923 წ. მეორე ნახევრისათვის და სხვა.

■ **საქ. გეოგრაფიული საზოგადოებაში.** სამშაბათს, 13 მაისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის ახალ აუდიტორიაში საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე ივანე ბეჟია წაიკითხავს მოხსენებას.

■ **„მიწისძვრა იაპონიაში“** მოკლე შესავალით—„ინსტრუმენტალური სეისმომეტრიის პრინციპები“. მოხსენება წაკითხული იქნება რუსულად და დასურათებული დიაპოზიტივებით.

დასწრება მოხსენებაზე ყველას შეუძლიანთ.

შემთხვევები.

■ **ქ უ რ დ ო ბ ა.** 7 მაისს ღამის 2 საათზე კარლ მარქსის მოედანი № 2, გაქურდეს მოქ. ექვთიმე წულაძის ბინა, წაღებულია 40 მანეთის ნივთები.

---

9 მაისის საღამოს სხდომა

სოფლად მუშაობის შესახებ კამათში მონაწილეობას იღებენ: ამხ. მამულია, გარამაშვილი, გუგენაძე, გრიგორიანი, შენგელაძე და ამხ. ბ. ლომინაძე. თეზისების საბოლოო გამომუშავება მიენდო ცალკე სექციას.

ვაჭრობა და მომხმარებელი კოოპერაცია.

ამის შემდეგ ამხ. ერქომაიშვილი აკეთებს მოხსენებას შინავაჭრობის და მომხმარებელი კოოპერაციის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს კერძო კაპიტალის გაძლიერებას და კოოპერაციის სისუსტეს, განსაკუთრებით სოფლებში, რასაც სხვათაშორის ხელს უწყობენ ტრესტების და სინდიკატების ადგილობრივ წარმომადგენლები და განყოფილებანი. აღძრულია საკითხი რომ ამ განყოფილებათა ფუნქციები დაევალოს ადგილობრივ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს და კოოპერაციას. თბილისის პარტკონფერენციამ კიდეც მიიღო ამის შესახებ სათანადო დადგენილება.

შემდეგ მომხსენებელი გადადის კოოპერაციის სუსტ ადგილებზე, საბრუნავი თანხის უქონლობაზე, მომზადებულ კომუნისტ-კოოპერატორების სიმცირეზე და სხვა.

წინეთ კოოპერაცია ისეთ საქმეებს კიდებდა ხელს, როგორც ჰიდრო-ელექტრო სადგურების აშენება, და სხვა, იმ დროს როდესაც თავის პირდაპირ დანიშნულების შესრულებასაც ვერ ახერხებდა.

ფულის რეფორმის ჩატარების დროს ფასების დაკლებით კოოპერაციამ დაკარგა დაახლოებით 850,000 მან.

საჭიროა კოოპერაციის თანხის გადიდება საპაიო გადასახადების და სხვათა საშუალებით.

სახელმწიფო ორგანოები კოოპერაციასთან უნდა იჭერდენ კავშირს ამა თუ იმ ოპერაციის დროს და არა კერძო აგენტებთან, როგორც ამას დღემდე ადგილი ჰქონდა.

თავის მოხსენების დასასრულ ამხ. ერქომაიშვილი უჩვენებს ყრილობას თბილისის პარტკონფერენციის მიერ მიღებულ თეზისებს, რომლებიც გადაეცა განსახილველად კოოპერატიულ სექციას.

მისალმება.

ყრილობამ მიიღო სომხეთის კომუნისტური პარტიისაგან შემდეგი მისალმება:

„სომხეთის კომუნისტური პარტიის ყრილობა მხურვალედ ესალმება საქართველოს მოძმე კომუნისტურ პარტიას.

ყრილობა დარწმუნებულია, რომ ლენინიზმის დროშის ქვეშ საქართველოს კომუნისტური პარტია ერთსულოვნებით და ფოლადისებური რიგებით განაგრძობს პროლეტარიატის დიადი საქმის კეთებას.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ერთიან კომუნისტურ პარტიას!

10 მაისის დილის სხდომა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. წივწივაძე, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას საწარმოვო კოოპერაციისადმი და მის დამოუკიდებელ არსებობას, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო მეურნეობის აღორძინება-განვითარებას.

თანამომხსენებლად გამოდის ამხ. ვ. კანდელაკი, რომელიც იცავს მთლიანი კოოპერაციის საჭიროებას საქართველოს ცხოვრების პრაქტიკის და პარტიის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მიხედვით.

კამათი ამ საკითხის შესახებ გადაიდო შემდეგი სხდომისთვის, კვირას დილით.

ამავე სხდომაზე ყრილობის მიერ არჩეულ კომისიამ წარმოადგინა თავის დადგენილება პარტიის გარეშე დარჩენილ პირთა პარტიის წევრის უფლებებში აღდგენის შესახებ. დადგენილებამ კამათი გამოიწვია სხდომაზე გადაწყდა იმავე კომისიამ დაწვრილებით მოხსენება ხსენებულ საკითხის შესახებ წარმოუდგინოს პარტიის ამიერ-კავკასიის ყრილობას, რომელიც გაიხსნება 12 მაისს საღამოს.

ორშაბათს დილით ყრილობა დაათვალიერებს ზემოავჭალის ჰიდრო-სადგურს.

სხდომის ვრცელი ანგარიშები დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

■ **ქ უ რ დ ი ს შ ე პ ყ რ ო ბ ა.** 8 მაისს, საღამოს 8 საათზე, თ. მაჩაბლის ქ. № 5, ეზოში შეპარულა ბოროტ-მოქმედი, რომელსაც სდომებია თოკზე გადაფენილ სარეცხის მოპარვა. მაგრამ მცხოვრებლებს შეუმჩნევიათ და დადევნების შემდეგ შეიპყრეს მაჩაბლის ქ. ქურდი აღმოჩნდა იბრაგიმ სანაევი.

■ **თ ა ვ დ ა ს ხ მ ა.** 6 მაის, ნაშუადღევის 2 საათზე მე-5 სამილიციო უბანში თავს დაესხნენ მოქ. ქარიმა ალი ოღლის და სასიკვდილოდ ცემის შემდეგ ბოროტმოქმედებმა ამოაცალეს 30 მან. და მიიმალენ.

■ **ქ უ რ დ ი ქ ა ლ ი.** 6 მაისს შეიპყრეს შუშანიკა ბაბაიანცისა, რომელსაც ბრალდება ბალაჯარის ქ. № 1 სახლის გაქურდვა. ქურდს ბინაზე აღმოაჩნდა ნაწილი ნაქურდალი ნივთების

■ **ჯ ი ბ გ ი რ ო ბ ა.** 6 მაისს ნაშუადღევს 2 საათზე მოქ. ბეჟდუქიძეს ტრამვაიში (№ 5) ამოაცალეს საფულე ფულით და მოწმობებით.

■ **დ ა ხ რ ჩ ო ბ ა.** 9 მაისს საღამოს 6 საათზე მტკვარმა ჩამოატარა ცოცხალ-მკვდარი უცნობი ადამიანი, რომელიც ჩაიძირა ვერის ხიდთან.

ხელოვნება

■ **კონსერვატორიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.** დღეს, ქართულ კლუბში, გაიმართება სიმფონიო წარმოდგენა სახ. კონსერვატორიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ, კონსერვატორიის მოწაფეებისვე მონაწილეობით

■ **კულტურული მუშაობა თეატრის მუშებს შორის.** საქ. პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა მელითონეთა კავშირს, თავის კულტ-ფონდიდან გაიღოს 10 პროც. თეატრის მუშებს შორის კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად

■ **ავლაბრის მუშათა კლუბი.** 10 ივნისს ავლაბრის მუშათა კლუბში გაიხსნება საზაფხულო სეზონი, კლუბში გაიმართება საღამოები, წარმოდგენები და ლექციები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

■ **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება შანშიაშვილის ახალი პიესა: „სპარტაკი“.

■ **შალვა ჯანბერიძის ლექსები.** გამოვიდა შალვა ჯანბერიძის ლექსების მეორე წიგნი. წიგნი შეიცავს 50 გვერდს და ღირს 35 კაპეიკი.

■ **„გილიოტინა“.** თბილისში მოკლე ხანში გამოვა ქართველ ახალგაზრდა მწერალთა ორგანოს სალიტერატურო სახელოვნო გაზეთი „გილიოტინა“.

პროვინციაში

სამაგალითო შეფი.

1923 წლიდან აგარაკ ბაკურიანზე აღებული აქვს მზრუნველობა (შეფობა) „ცენტროსოიუზის“ მუშა მოსამსახურეებს, რომლებიც უხვ დახმარებას გვიწევენ, ყოველ რევოლიუციონერ დღესასწაულებზედ გვიგზავნიან წარმომადგენლებს, მიტინგებზედ გამოსასვლელათ, ჩამოსულ ამხანაგებს თან ჩამოაქვთ შეფის მიერ წარმოგზავნილი საჩუქრები, სოფლის გლეხ ამხანაგებისათვის, კულტურულ დაწესებულებათა ასაღორძინებლათ. მათ მოგვცეს შემდეგი: თეატრის აღსადგენათ—ერთი ფარდა, რემონტისთვის ორი ყუთი ლურსმანი, ფანჯრის „პეტლები“, შპალერის ქაღალდი, ერთი დიდი ლამპა, სხვადასხვა პიესები და ყველა ხელსაწყო. 1923 წელს აგრეთვე დაგვეხმარენ თეატრის შეკეთებაზედ ფულითაც. სამკითხველოს გამოუგზავნეს 200 ცალი წიგნი და სხვადასხვა პლაკატები. შეფის წარმომადგენელი ამხ. ბერძენიშვილი კვლავ ჩვენ სტუმრა ა | წ. პირველ მაისობის დღესასწაულზედ, შეფის მიერ წარმოგზავნილ საჩუქრებით—ძვირფას წიგნებით 44 ც. ლიდერების საუცხოვო სურათებით და პლაკატებით, შეფმა აგრეთვე წარმოგზავნა ერთი ყუთი ფანჯრის მინები სკოლის საჭიროებისათვის, 56 ცალი საწერი ქაღალდი, ფანქრები, კალმები, და კალმის ტარები—ღარიბებს მოწაფეებზედ დასარიგებლად. 4 ფურცელი [illegible] ღუმელებისთვის, შეფი გვიგზავნის ორ ცალ გაზეთ „მუშას“ და „Рабочая правда“-ს მომავალში კვლავ გვპირდებიან მრავალ დახმარებებს სწავლა განათლების და კულტურულ საქმეებში. ასეთ უხვ დახმარებისათვის ჩვენ, სოფლის გლეხები, ჩვენი საბჭოს საშუალებით, უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ჩვენ შეფს „ცენტროსოიუზი“-ს მუშა-მოსამსახურეებს, რომელთანაც ხელი ხელ ჩაკიდებულნი მივალთ გამარჯვებულნი შრომის სამეფოში, სალამი ჩვენ შეფს!

ბაკურიანის გლეხთა მონდობილობით.

ბაკურიანის სათემო საბჭო.

პირველ-მაისობა სოფ. ქვემო-ჭალაში (გორის მაზრა).

თენდება გორის რკინის გზის სადგურზე გროვდებიან რაიონებში დღესასწაულის ჩასატარებლად მივლინებული ამხანაგები. აი მატარებელიც. მორთული ყვავილებით, ხის ტოტებით, სამაისო პლაკატებით, ლოზუნგებით..

დილის შვიდი საათია; ჩვენ უკვე სადგურ კასპზე ვართ და მივეშურებით სოფელ კასპზე გავლით ქვემო-ჭალისაკენ კასპის ქუჩებში მრავლად არის გაკრული საპირველ-მაისო პლაკატები, მოწოდებები, წითელი დროშები.

დილის 10 საათია, შევდივართ სოფ. ქვემო ჭალაში. სარაიონო აღმასკომის ვეებერთელა ეზოში მოუყრია თავი ხალხს, არიან ქალებიც. ხალხი თანდათან ემატება... აი ზურნაც. იმართება ჭიდაობა, ხან გამოშვებითი ცეკვა...

დღის 12 საათია; ეზო მთლათ სავსეა გლეხებით და მოსწავლე ბავშვებით.

სადღესასწაულო მიტინგს ხსნის ქვემო ჭალის რაიკომის მდივანი ამხ. ქოიავა, რომელიც მიესალმება გლეხთა მიტინგს და მოკლე სიტყვით უხსნის დამსწრეთ 1 მაისის, როგორც საერთაშორისო მშრომელთა დღესასწაულის, მნიშვნელობას.

ამხ. ქოიავას ხელმძღვანელობით პარტიულ ქალებისაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი ასრულებს ინტერნაციონალს.

სიმღერაში მონაწილეობენ გლეხებიც. სასიამოვნო მოვლენაა—სოფელში გლეხი ქალებისაგან მწყობრი მომღერალთა გუნდის არსებობა.

ამხ. ქოიავას შემდეგ მიტინგს ესალმებიან და სიტყვებს წარმოსთქვამენ:

რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. გოგოლაძე—1 მაისის მნიშვნელობის და დანიშნულების შესახებ;

ახალგაზრდათა კომკავშირის მდივანი ამხ. გვრიტიძე—წითელი ახალგაზრდობის, როგორც მომავალის საძირკვლის, უფრო მეტად შეკავშირების შესახებ;

სამაზრო სადგილ მამულო ქვეგანყოფილების გამგე ამხ. ქელიტაური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საგარეო, საშინაო მდგომარეობის და გაკვრით საბჭოთა აღშენებლობის შესახებ;

რაიაღმასკომის თავმჯდომარე—ამხ. ჟუნძე მოუწოდებს გლეხებს მტკიცედ დაიცვან რევოლიუციის ყველა მონაპოვარი და ხელი შეუწყონ საბჭოთა აღმშენებლობის განმტკიცებას.

რაიკომის ქალთა განყოფილების სახელით ამხ. ზ. დეკანოზიშვილი მოუწოდებს გლეხ ქალებს გვერდში ამოუდგნენ ქმრებს, ძმებს, შვილებს თავიანთი წვლილით განამტკიცონ ახალი ცხოვრება; სამაზრო სტატისტიკის ბიუროს გამგე—ამხ. ჩუტკერაშვილი მოხსენებას აკეთებს საბჭოთა აღმშენებლობაზე და ფულის რეფორმაზე. მომხსენებელი მოუწოდებს გლეხებს ხელი შეუწყონ მთავრობას მტკიცე ვალიუტის განმტკიცებაში, რომელზედაც დამოკიდებულია საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რასაც შედეგად მოჰყვება ხალხის ბედნიერება და კეთილდღეობა.

თითოეული ორატორის შემდეგ მომღერალთა გუნდი ასრულებს ინტერნაციონალს.

ყველა სიტყვების მოსმენის შემდეგ, მიტინგი ერთხმივ, ვაშას ძახილით, იღებს შემდეგ რეზოლიუციას:

მოვისმინეთ რა ამხანაგების მოხსენებები 1 მაისის დღესასწაულის მნიშვნელობაზე, საერთაშორისო მშრომელთა კლასის მიზნებზე და მუშათა კლასის დაუვიწყარ ბელადის ამხ. ლენინის შესახებ, ქვემო ჭალის რაიონის მრავალრიცხოვან მიტინგზე დამსწრე მშრომელი გლეხობა—მოუწოდებს მთელი მსოფლიოს მშრომელთ, რომ, როგორც დღეს დიდი მიწის მეექვსედ ნაწილზე ფრიალებს პროლეტარული წითელი დროშა და მისი მშრომელი კლასი თავისუფლად ზეიმობს და დღესასწაულობს 1 მაისს, აგრეთვე აფრიალებულიყვეს ახლო მომავალში პროლეტარული წითელი დროშა იქაც, სადაც ჯერ ბატონობს კაპიტალისტური წყობილება. უცხადებს მსოფლიო მშრომელი კლასის მტრებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას: თანახმად ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის ამხ. ლენინის მოწოდებისა, მთელი მსოფლიოს მშრომელ კლასს უცხადებს სოლიდარობას, ძმურს სიყვარულს და უწვდის ხელს მჭიდრო კავშირის შესაქმნელად კაპიტალის საბოლოოდ დასამარცხებლად. გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს მე-3 კომინტერნს!

გაუმარჯოს ლენინის მოადგილე კოლექტივს—კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო 1 მაისის დღესასწაულს!

რეზოლიუციის მიღების შემდეგ გუნდი კვლავ ასრულებს ინტერნაციონალს. ხალხი ეზოდან არ იშლება და განაგრძობს ზეიმობას.

გორელი ხუცურიძე.

მუშათა სასახლის გახსნა და პირველი მაისის დღესასწაული ქ. ფოთში.

ადგილობრივი ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის მუშებმა 1 მაისი ჩაატარეს დიდი ზეიმით.

ამ მუშებმა პირველ მაისთან ერთად იდღესასწაულეს მათ მიერ აშენებული მ. სასახლის გახსნა. დილის 9 საათზე თავი მოიყარეს სასახლის წინ კავშირის ყველა წევრებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა კავშირის გამგეობა დროშებით და მუსიკით, და რაზმული მწკრივებით, გაეშურენ სადგურისაკენ, სადაც სხვა კავშირების მუშები დახვდენ.

სადგურში ყველას ეტყობოდა სიხარული და აღფრთოვანება. ყველანი ჩქარობდენ მატარებლის მოსვლას, მას უნდა მოეყვანა ამხ. მ. ცხაკაია, რომელიც მოპატიჟებული იყო ზემოხსენებული კავშირის მიერ მუშათა სასახლის გახსნაზე დასასწრებლად. სრულდება თორმეტის ნახევარი საათი და მატარებელიც ჩამოდგა სადგურში. გადმოდის ამხ. მიხა ცხაკაია, რომელსაც ხვდებიან აღფრთოვანებით ფოთის მშრომელნი მუშები,

---

პატარა ფელიეტონი

ამხანაგ „ფოკას“

(ნოე ჟორდანიას—ყოფილ ამხანაგებისაგან ბათუმი—პარიზში)

ეჰ, ამხანაგო ფოკა!
გეყო ბატონთა ფეხების ლოკვა!
ლპება ევროპის ბურჟუაზია?!.
მის ნახარზე სდგება თავისუფალი აზრი!
ვლასა მგელაძის თქმით, რომელიც უეჭველად ჭკვიანი კაცია,
წინ უძღვის ამას საქართველო და კავკასია;
მხოლოთ ყველას ერთად—საბჭოთა რუსეთი!..
რას იზამთ? რევოლიუციის ხაზი შეიქნა ასეთი!
და ჩვენც უყოყმანოთ მივყვებით მის ნებას:
არ ვემორჩილებით პარიზიდან მიღებულს ბრძანებას,
არამედ ვიქცევით, მდგომარეობისდა მიხედვით,
აწცა თქვენს წინაშე ვაცხადებთ ამას გაბედვით,
რომ, რაც მოხდა, მოხდა!... უკან იმას აწ ვეღარ დავაბრუნებთ...
უკეთესს იზამთ, თუ ისევ თავისთავზე იზრუნებთ
და შეიგნებთ იმას, რასაც ჩვენ ოდესმე გვასწავლიდით,
სანამ პარიზისკენ გზას ზღვით *) მშვიდობით განვლიდით!..

თანახმე.

---

*) უნდა იყვეს ღვთით. ასოთამწყობი.

ღარიბი გლეხები და აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ მისი ნახვით. სადგურიდან მუშა-მოსამსახურეები დროშებით, ამხ. მიხა ცხაკაიასთან ერთად მიემართებიან ნავთსადგურისაკენ, მუშათა სასახლის საზეიმო გახსნაზე. საზეიმო კრებას ხსნის ამხ. პროკოფი მეგრელიშვილი, რომელიც ახასიათებს 1 მაისის მნიშვნელობას, მან ამასთან დაახასიათა ჩვენი ამხანაგ მუშების წამებანი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, რომლებიც (მუშები) არალეგალურად დღესასწაულობენ 1 ლ მაისს აგრეთვე მოუწოდა კრებას რათა პატივი ეცათ ლენინის ხსოვნას. ამის შემდეგ სიტყვა 1 ლ მაისის მნიშვნელობის შესახებ საერთაშორისო პროლეტარიატისათვის ეძლევა ამხ. მიხა ცხაკაიას, რომელიც მიესალმა ფოთის პროლეტარიატს ც. ა. კ, და კ. პ. ც. კ. სახელით, შემდეგ შეეხო 1 მაისის მნიშვნელობის აზრს, განმარტა ყველასათვის გასაგებათ რატომ დღესასწაულობს ამ დღეს მუშათ კლასი საერთაშორისო მასშტაბით და საიდან წარმოიშვა ის შეეხო პირველ ინტერნაციონალის მუშაობას და აგრეთვე მეორე და მესამე ინტერნაციონალებისას, ვრცლად გაარკვია თუ რას აკეთებს დღეს მესამე ინტერნაციონალი; აგრეთვე შეეხო ფაშისტურ იტალიას, შემდეგ გერმანიის მუშების მდგომარეობას და ბოლოს გადავიდა ინგლისის მდგომარეობაზე. ცალკე შეეხო ფულის რეფორმას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მარტო ჩვენი შინაური ძალებით ვმოქმედობთ, ჩვენი ფულის სიმტკიცე და ღირებულება უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ზოგიერთი ბურჟუაზიული სახელმწიფოების ვალიუტა. ამხ. მიხა ცხაკაიას ნალაპარაკევი გადათარგმნილი იქნა ევროპულ ენაზე სპექტორის მიერ უცხოეთის გემებიდან მოსულ ამხანაგებისათვის, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ 1 ლ მაისის დღესასწაულში ჩვენთან ერთად. ისინი დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვებს.

შემდეგ გამოვიდენ ყველა დარგიდან წარმომადგენლები, აგრეთვე წითელ ჯარების. არ დარჩენილა არც ერთი დაწესებულება, რომელსაც არ მიელოცნოს 1-ლი მაისი ფოთის პროლეტარიატისათვის.

მიტინგი დაიხურა და ხალხი გაეშურა ცენტრისაკენ. ამავე დღეს, საღამოს შესდგა მუშათა სასახლის კლუბში უფასო წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო ამხ მიხა ცხაკაია. [illegible] ფოთის მუშებს—კოლექტიურათ შეკრიბოთ თავიანთი ნამუშევრიდან კაპეიკები და აეგოთ ასეთი ძვირფასი სასახლე, როგორიც არის აგებული ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის წევრების მიერ. შემდეგ იქნა დადგმული ცოცხალი სურათი „კერპთაყვანის მცემელი“ აგრეთვე გამოვიდა მომღერალთა გუნდი. მხოლოდ შემდეგ გაიმართა ვახშამი.

მუშკორი გ. ძნელაძე.

ს. ახატელი (იყალთოს რაიონი, თელავის მაზრა).

ს. ახატელი შესდგება ოთხმოცდაათი კომლისაგან. სოფელი ძლიერ ჩამორჩენილია კულტურის მხრით, აქაურ გლეხებში არავითარი კულტურული მუშაობა არ არის, არც ინტელიგენტური ძალებია. არიან თითო ოროლა მოწინავე გლეხები გლეხთა საბჭოში, მაგრამ ვერც ამათ ეტყობათ რაიმე დადებითი მუშაობა გაზეთი ხომ თვალით არავის დაუნახავს. საჭიროა დაარსოს იყალთოს რაიონი კულტურულ-საპროპაგანდო კომისიამ ერთი პატარა სამკითხველო. აქ გახსნეს ერთი შრომის სკოლა ამ სამი წლის წინათ, რომელსაც საკუთარი შენობა არ აქვს. მეცადინეობა ხან ერთ სახლში და ხან მეორეში უხდებით. აქაურ გლეხებს საშუალება აქვთ, რომ საკუთარი შენობა ააგონ სკოლისთვის, მაგრამ არავინ არის მოინდომებული. რაიაღმასკომმა უნდა ითავოს ამ საქმის გაკეთება.

აქ არის სათემო მამული კარგი ბაღით. თავისი მარნით და ერთი დიდი ოთახით. მეორე სათემო მამულში ორი თვალი ფიცრის ოთახია.

აქ მინდა აღვნიშნო ერთი დაუშვებელი მოვლენა,—ს. ახატელის გლეხთა საბჭოს წევრების უკანონობა: აქ ამ დღეებში გაანაწილა მიწები ადგილობრივმა კომისიამ. მიდგომ მოდგომას დიდი ადგილი ჰქონდა არავით საბჭოთა რევოლიუციონურ კანონებში არ არის აღნიშნული რომ მიწა მიეცეს მდიდარ საქონლის პატრონს „კულაკს“. ამდღეებში აქ მიწის დარიგების დროს კომისიას და საბჭოს წევრმა ამირანა ფიცხელაურმა ერთ მიწის მთხოვნელს მიმართა, თქვენ მიწა რათ გინდათ, საქონელი მაინც არა გყავთ ისე გამოდის, თითქო მიწა უნდა მიეცეს იმას, ვისაც საქონელი ყავს. ასეთი მოქმედება სახელს უტეხს მიწის რეფორმას. უნდა შეიგნოს ამირანასთანა მოქალაქეებმა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ პირიქით, მდიდრებს და „კულაკებს“ ჩამოართვა მიწა და ღარიბებს გადასცა.

კიდევ ერთი შენიშვნა:

საჭიროა წერა-კითხვის ლიკვიდაციის კომისიამ ამოხედოს ამ სოფელს და როგორც სხვა სოფლებშია საღამოობით მეცადინეობა [illegible], აქაც მოეწყოს. აქ ახალგაზრდობა უსწავლელია და ამისათვის საჭიროა [illegible] კურსების გახსნა.

ტანჯული მუშა.

ბიბლიოგრაფია

ფ. მახარაძე

თხზულებათა კრებული.

ტომი I წერილები სხვადასხვა საკითხებზე.

სახელმწიფო გამომცემლობა.

სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობაში ამხ. ფილიპე მახარაძის თხზულებათა გამოშვება განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთ უნდა ჩაითვალოს.

ოცდაათი წელია, რაც ამხ. ფილიპე დაუღალავათ და შეუპოვრათ [illegible] რევოლიუციონურ მარქსიზმს ქართულ ნიადაგზე.. ამ მუშაობამ შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო: საქართველოს მშრომელთა მასებმა თავი დაახწიეს ძილს და რუსეთის დიდ რევოლიუციის საერთო ფერხულში ჩაებმენ. და აი სწორედ საქართველოს გამარჯვებული მუშების ნებისყოფითა და სურვილით გამოდის მისი თხზულებათა კრებული. ეს კრებული გვიჩვენებს იმას, თუ რას განიცდიდა და რას გრძნობდა საქ. მუშათა კლასი მთელი ოცდაათი წლის სივრცეზე.

თხზულებათა პირველი ტომი წარმოადგენს კრებულ წერილებისას სხვადასხვა საკითხებზე. ამ ტომის შინაარსის მრავალფეროვნება ნათელსჰყოფს იმ გარემოებას, რომ არ იყო არც ერთი სფერო. არც ერთი მომენტი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელსაც ამხ. ფილიპე მახარაძის კალამი არ შეჰხებოდა.

პირველი წერილი ეკუთვნის თითონ ამხ. ფილიპე მახარაძის—როგორც მარქსისტის ისტორიას: როგორ შემუშავდა მასში მარქსიზმი, როგორ გახდა ის მარქსისტი. ეს წერილი ძვირფას ისტორიულ მასალას წარმოადგენს: მასში მოთახრობილია ისტორია ქართული მარქსიზმის და იმ მიმართულებების, რომელიც იმ თავითვე ჩაისახა ქართულ მარქსიზმში; მაგრამ ამ წერილში განსაკუთრებით ყურადსაღებია ის მომენტი, რომ ამხ. ფილიპეს მიერ მარქსიზმის გაცნობა დაუკავშირდა იმ არალეგალურ მუშაობას, რომელიც სწარმოებდა ბნელი ცარიზმის წინააღმდეგ: ამხ. ფილიპემ მარქსისტულ მსოფლმხედველობას გაეცნო არა კაბინეტებში, არამედ იმ ბნელ ჯურიღმულებში, რომელიც იყო ხვედრი რევოლიუციონერებისათვის ცარიზმის დროს. ცხოვრება თითონ მარქსიზმია, მარქსიზმი კი ცხოვრება—და ამიტომაც მათი დაშორება ერთმანეთისაგან მარქსიზმის გაყალბება. ეს საანბანო ჭეშმარიტება ამხ. ფილიპეს თითქოს ინსტინქტიურათ ჰქონდა შეთვისებული, რის გამოც მარქსიზმის შესწავლა მის მიერ ეს იყო იმავე დროს ის თავგანწირული პრაქტიკული მუშაობა ამიტომ არის, რომ ამხ. ფილიპეში შემუშავდა მტკიცე რევოლიუციონური, ორტოდოქსალური მარქსისტი რომლის თვალსაზრისითაც მან შეუდგა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველივე სფეროს.

პირველ ტომში მოქცეული წერი-

ლები ეკუთვნიან იმ ხანას, როდესაც ქართველი ინტელიგენციის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზით ბანკები, თვითმართველობები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებანი და სხვადასხვა ითვლებოდნენ.

მტკიცე და შეუბრალებელის კრიტიკით ამხ. ფილიპე ამხელს საჯაროთ ჩვენი მკვეხარა ინტელიგენციის „მოღვაწეობას" ამ ორგანოებში: ხალხის ინტერესების ფეხქვეშ გათელვა, პირადი სარგებლობისათვის შრომატმოქმედებათა ჩადენა,—აი რით იყო სავსე ქართველი ბურჟუაზიული ინტელიგენციის „საზოგადოებრივი მოღვაწეობა".

მთელ რიგ წერილებში ამხ. ფილიპე ნამდვილ მეცნიერულ ბრძოლას აწარმოებს მარქსიზმის დასაცავად და ახლად „აბიბინებულ" ბურჟუაზიულ მიმართულების (არ. ჯორჯაძის მეთაურობით) მეცნიერული უნიადაგობის ნათელსაყოფად.

მეტად საყურადღებოა წერილი „მეტაფიზიკა გაკოტრდა თუ მეცნიერება". აქ ავტორი ეკამათება კიტა აბაშიძეს, როგორც ბრიუნიეტიერის (საფრანგეთის კრიტიკოსის) მიმდევარს. ბრიუნიეტიერი და მისი მიმდევარი კიტა აბაშიძე დამცველი არიან ევოლიუციონური მეტაფიზიკის, რომელიც არსებითად თეოლოგიურ მოძღვრებას წარმოადგენს ამხ. ფილიპე არღვევს ამ დებულებას; ის სწერს: მეცნიერება სცდილობს გამოარკვიოს ურთიერთობა საგანთა შორის, ის არ იღებს განცალკევებით ერთ რომელიმე საგანს, არამედ ის იქცევა ისე როგორც თვით ბუნება: ბუნებაში არ არის ცალკე საგანი ანუ მოვლენა, აქ ყოველივე საგანი, გადაბმულია ერთი მეორეზე და ის — აქ მოცემულია მარქსისტულ ფილოსოფიის მთავარი ძარღვი არის უარყოფა ნიშნავს ფილოლოგიის მიღებას, რომელიც ისტორიულად და არსებითად თეოლოგიამდის მიდის.

ქართველი ბურჟუაზიული ინტელიგენცია მუდამ ხასიათდება ოპორტუნისტული ლაქლაქით, და უზერხემლო მკვეხარობით. ამხ. ფილიპე უშიშრად ამჟღავნებდა საჯაროთ ინტელიგენციის ამ მახინჯ თვისებებს აქ საყურადღებოა განსაკუთრებით „პლაგიატობა ჩვენს მწერლობაში". აქ ჩვენ ვეცნობით იმ კურიოზულ მდგომარეობას, რომელშიაც ჩააყენა ფ. მახარაძემ არჩილ ჯორჯაძე, როდესაც ამ უკანასკნელ ლიტერატურული ქურდობა დაუმტკიცა.

ერთი სიტყვით არც იყო არ ერთი სფერო რომელიც ამხანაგ ფილიპეს ყურადღების გარეშე დარჩენილიყოს: უცხოეთის და ადგილობრივი ქრონიკა, პროვინციის ვითარება, თეორეტიული და პრაქტიკული კითხვები, საზოგადო მოღვაწეები, მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკა მოწინააღმდეგე ჯგუფების და სხ.—აი საითკენ იყო მიმართული ამხ ფილიპეს გამჭვილებული კალამი. ყველა წერილებში გრძნობ და ხედავ ნამდვილ რევოლიუციონერს, ნამდვილ ბოლშევიკს, დაუძინებელ მტერს ბურჟუაზიულ წყობილებისა. ამიტომ სავსებით მართალია კრებულის რედაქტორი ამხ. ს. ჩიხლაძე, როდესაც სწერს რომ ამხ. ფილიპე ბოლშევიკი იყო მანამდე, სანამ თვით სიტყვა „ბოლშევიკი" გაჩნდებოდა. პირველ ტომში მოქცეულია ოცდა ხუთმეტი წერილი.

გარეგნული მხრივ კრებული სავსებით დამაკმაყოფილებელია: ეტყობა მუყაითი ხელი ღირს 2 მან. 50 კაპ.

ზ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ არსენალის რაიონის დაწესებულებათა უჯრედების პარტმუშაობის შემმოწმებელ კომისიებში დანიშნული არიან შემდეგი ამხანაგები, რომლებიც უნდა გამოცხადდნენ კომიაჩეიკებში სამშაბათს, 13 მაისს შემდეგი წესით.

1. ცეკავშირი—საღამოს 6 საათზე, შტაბის ქ. 4, ტელ. 19-70. ამხ. მეძველიძე, დაცკო და უნგიაძე.
2. „ცენტროსოიუზი"—საღამოს 6 საათზე, მადათოვის კუნ. 11, ტელ. 13-26 ამხ ვარდოიანი, უსოვი და პეცოვი.
3. მილიცია—დღის 4 საათზე, 9 ოთახი, ტელ. 13-85, ამხ. ჯანი-ბახჩევი, ფედორენკო და მეჟრაბიანი.
4. საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის კომიტეტი—საღამოს 6 საათზე, ელისაბედის, 138, ტელეფ. 15-19. ამხ. პროკოფიევი, ჭელიძე და სალაძელია.
5. მუშათა მთლიანი კოოპერატივი—საღამოს 7 საათზე, კირკის ქ. 7, ტელ. 13-62. ამხ. როტინოვი, მოსპანი და ბაბლუმოვი.
6. მიხეილის საავადმყოფო—საღამოს 5 საათზე, მიხეილის ქ. 48, ტელეფ. 7-79 ამხ. კუზმინი, პეტროვსკაია და ბოჰორიშვილი.
7. ალექსანდრეს საავადმყოფო—საღამოს 5 საათზე, დიდი მთავრის ქ. 103, ტელ. 13-95. ამხ გრიშჩენკოვი, ხაჩდუევი და ტოგონიძე.
8. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო—საღამოს 7 საათზე, პუშკინის ქ. 3, ტელ. 5-60. ამხ. დუშევინი, სოგომონიანი და შავერდოვი.
9. „პროლეტკულტი"—საღამოს 5 საათზე, ბელინსკის ქ. 2, ტელ. 15-20. ამხ. მელიქოვი ანატოლი, კამალოვა ლიდია და მირიჯანაშვილი.
10. სახელმწიფო უნივერსიტეტი—საღამოს 4 საათზე, ტელ, 14-71. ამხ. ქურავლიოვი, ორაბელაშვილი მარიამ და კაზუმოვი.
11. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი—საღამოს 7 საათზე, საპიორის ქ. 13, ტელ. 9-83. ამხ. გრიშენკო, ელოშვილი და ლავრენტიევი.
12. ხაზინა—საღამოს 5 საათზე. ხაზინის ქუჩა. ამხ პროკოფიევი, აგამალოვი და კანდელაკი.
13. მუშფაკი—საღამოს 7 საათზე, „უჩებნი" შესახვ. ამხ. მელაძე, ორაბელაშვილი მარიამ, ჭელიძე ილია.
14. დამზღვევი კასა— საღამოს 6 საათზე, ტელ. 5-35. ამხ. ლევშიც, კოლესნიკოვი და გალუსტოვი

მდივანი მაჩხუდაძე.

ორშაბათს, 12 მაისს დილის 9 საათზე რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შენობაში (რტიშჩევის ქ. ხაზ № 4) გაიხსნება ქალთა განყოფილებების გამგეობის თათბირი, რომელზედაც მოწვეულნი არიან ამიერ-კავკასიის ყველა სამაზრო, საქალაქო და რაიონულ ქალთა განყოფილებების გამგეები, და აგრეთვე ამიერ-კავკასიის მესამე პარტიული ყრილობის ყველა ის წევრები, რომელთაც სურთ მონაწილეობის მიღება თათბირის მუშაობაში.

რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილება.

განცხადებები

ხამგრუდელის საბჭოთა აფთიაქის თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ სოფელ ეწერში 6 მაისს ხ ნ ოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხ ნაგი ამავე აფთიაქის ყოფილი თანამშრომელი ფარმაცევტი

დანიელ ტარასის ძე კოპალეიშვილი.

რომლის დაკრძალვა დანიშნულია 9 მაისს სოფელ ეწერში.

(1—1 № 944)

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ნატალია, დები: პარასკევა, ივლიტი, ქ ქაბრ და მ რიამი, სიძეები: ლაზარე სახიძე შვილებით ლიუბა და კ პკოთი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი, პლატონ ტყეშელაშვილი შვილით კოლიჩკათი, ბიძები: ვასილი მეუღლე ელისაბედით და შვილით სონიათი, ივანე მეუღლე პელაგიათი და შვილით ალექსანდრეთი კოპალეიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ სოფ. ეწერში 6 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

დანიელ (ნიკიპა) ტარასის ძე კოპალეიშვილი

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე და დაკრძალვა დანიშნულია პარასკევს, 9 მაისს სოფ ეწერში.

(1—1 № 944).

თამარ და პატარა ნოდარ კოპ ხელაძეები აუწყებენ მეგობრებს, ნაცნობებს და ნათესავებს, რომ დაუვიწყარ და საყვარელ ქმრის და მამის

ინჟინერ შალვა ხელაძის

1 წლის პანაშვიდი დანიშნულია კვირას 11 მაისს, დღის 12 საათზე, ვაკეზე ღიდუბის ეკლესიის გალავანში

№ 933—1—1

ნინო ივანეს ასული და ნიკოლოზ ალანისძე მდივანი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი შვილის და ძმის

საშა მდივნის

გარდაცვალების ნახევარი წლის პანაშვიდი გადახდილი იქნება 12 ამა მაისს საღამოს 5 ნახ საათზე ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

№ 943—1—1.

რუსთაველის თეატრი

ორშაბათს, 12 მაისს

შესდგება სახალხო დისპუტი ხელოვნებისა და თეატრის შესახებ

მომხსენებელი ქ. კაკაბაძე

მეტყველება და ხელოვნების პრობლემა

თეზისები (კონსპექტიურად)

ორგვარი მეტყველება. სიტყვა როგორც პირვანდელი ფორმა ხელოვნების. სიტყვა-სახე; სიტყვა და სოციალური საჭიროება. სოციალური არე და სულის ორგანოტროპიული მიმართება. მდგომარეობის პათოსი და ღირებულება. სოციალური კულტურის კლასობრივობა და ხელოვნების ფორმები. მეტყველების კონსტრუქცია და ტიპი საქართველოში. ფეოდალური არისტოკრატია, ბურჟუაზია და ქართული ხელოვნება. ინდუსტრიული და აგრარული ელემენტი ხელოვნებაში (ტრაგედია, კომედია). რევოლიუცია, ბურჟუაზია და სოციალური ინტერესები ხელოვნებაში. ხელოვნების ეგზოტიური ფორმები და ქართული სოციალური ფსიქოლოგია. **ქართული თეატრი და დურუჯი**. იდეა და ფორმა. ინდივიდუალიზმი აგრესიული (ფეოდალური არისტოკრატიული) და პატალოგიური (ბურჟუაზიული). თეატრი და სინემატოგრაფი. **დურუჯი და ძიების პრინციპი**. კულტურის ცენტრალიზაცია და ინდივიდუალიზმის ბედი, „მალშტრემ" გარსი მარადი. ეროტიკა და ინდივიდუალიზმის ესთეტიური პრინციპი. ინდივიდუალიზმის გარღვევა და სოციალური ესთეტიკა, გრძნობათა სოციალიზაცია ხელოვნებაში და ახალი თეატრი. ინდუსტრია, მეცნიერება და კოსმიური გრძნობა ხელოვნებაში.

მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი, მონაწ. (გვარები ანბანზე) ს. ამაღლობელი, გამსახურდია, ი. გედევანიშვილი, დადიანი, შოთა დადიანი, დუდუჩავა, მიხ. კოტეტიშვილი, ა. ფაღავა, ალ. წულუკიძე, ნ. შიუკაშვილი. და სხვანი

პრეზიდიუმი: ივ. გომართელი—თავმჯდომარე, წევრები: რაჟდენ კალაძე და ლეო. ქიაჩელი.

№ 942, 1—1.

ამით ცხადდება ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ

საბჭოთა ფულის ნიშნების (СОВЗНАКИ) გამოცვლა

შეიძლება მხოლოდ მიმდინარე მაისის 31-მდე; ამ ნიშნების სავალდებულო მიღება ისპობა 10 მაისიდან.

ა | კ ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში თ. ღლონტი.

საქმეთა მმართველი გ. ჯაფარიძე.

საქართველოს საექიმო და საბუნებისმეტყველო საზოგადოება აცხადებს,

რომ 18 მაისს, დღის 12 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (ვაკე) გაიხსნება

სრულიად საქართველოს ექიმთა მეორე სამეცნიერო კონგრესი.

საპროგრამო საკითხები—**მალარია და ჭლექი.** წაკითხული იქნება აგრეთვე **მოხსენებები** პროგრამის გარეშე. **დაესწრება მხოლოდ ბილეთებით.**

დელეგატებს ვთხოვთ ჩაეწერონ საზოგადოების მდივანთან დოქტორ **ბიორჯი რუხიშვილთან** რკინის გზის საავადმყოფოში № ბინაზე: ბელინსკის ქუჩა № 7.

დელეგატებს იქვე შეუძლიათ მიიღონ ცნობები ბინის, სურსათისა და კონგრესის შესახებ.

2—2—5. 1105

ელექტრონთა მომწესრიგებელი სამმართველო

(ფ. მ. ხ ი თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება).

ამით აცხადებს

რომ ეხს-ის შენობაში თბილისის აღმასკომი ოთახი № 26 (12 მაისს, ა | წ. დღის 1 საათზე გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

მუშაობის საწარმოებლად (მე 4 საბჭოთა ელექტრონის სადგურზედ, მელიტინის ქ. № 18).

მანქანის საძირკვლის ქვაბულის ამოსაღებათ და იმავე დროს ამოღებულ მიწის გასატანათ სულ 15 კუბ. საჟენამდე. (მიწის გატანა უნდა სწარმოებდეს თვის დროზედ ელექტრონის სადგურ ას ეზოში დაუგროვებლად).

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებ მსურველთ არა უგვიანეს 12 მაისის დღის 1 საათამდე უნდა შემოიტანონ ელექტრონთა მომწესრიგებელ სამმართველოს კანცელარიაში წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტში ელექტრონთა მომწესრიგებელ სამმართველოს გამგის სახელზედ წარწერით: „ქვაბულის ამოღების საჯარო ვაჭრობისათვის" ყოველივე წარმოებულ მუშაობის ფასის და მისი ღირებულების ჩვენებით

განცხადებასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქნეს ხელწერილი ვალდებულობის ხელმოსაწერათ დაკვეთის იმ შემთხვევისათვის, თუ რომ დადგმა დარჩება განცხადების შემომტანზედ და კვიტანცია ელექტრონთა მომწესრიგებელ სამმართველოს სალაროში შემოტანილ მეზედ ერთი ჩერვონეცის რაოდენობით.

ელექტრონთა მომწესრიგებელ სამმართველოს გამგე: ა. თოიძე-ბანიაშვილი.

ნ 1117—1—1

საბჭოთა საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მთავარი

საკურორტო სამმართველო

ამით აცხადებს

შეჯიბრებას

შემდეგ შენობების იჯარით გასაცემად 2 წლის ვადით:

1) **აბასთუმანში**: საკურორტო სასტუმრო (ყოფილი კარაშენცოვის) 20 ოთახით საჭირო ავეჯით, და 11 ოთახიანი ფლიგელით.
2) ბუფეტი რესტორანი 1 ხეივანი
3) ბუფეტი—რესტორანი—II ხეივანი.

ბორჯომში: 1) კიოსკი ბოლში „მინერ. წყლების".

წაღვერში: რესტორანი „სინათლე".

განცხადებების წარდგენის უკანასკნელ ვადა ა. წ. 25 მაისია, განცხადებისათვის უნდა იქნას გადახდილი სარეგბო გადასახადი (განცხადებები წარდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში).

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას ხაზინის ქვითარი საიჯარო თანხის 10 პრ.-ის საწინდრის შეტანის შესახებ.

განცხადებები, რომელშიაც აღნიშნული იქნება —სასტუმროს იჯარა 5 ათას მანეთზე ნაკლები, ხეივანის—2 50 მანეთზე ნაკლები, კიოსკების—1.000 მან. ნაკლები და რესტორან „სინათლეს"—1000 მანეთზე ნაკლები არ იქნება განხილული.

განცხადება უნდა იქნეს შეტანილი: თბილისი საპიორის ქ. № 30, ოთახი 21; იქვე შეიძლება მიღება დაწვრილებითი ცნობების იჯარის პირობების შესახებ ყოველდღე გარდა უქმე დღეებისა დღის 12—2 საათამდე.

0—1 ნის 1119

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

ლენინის ქ. № 60 (ყოფ. ოლღის ქ.) 1924 წ. 15 მაისს დღის 10 საათზე აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

სხვადასხვა ნახმარი ნივთების გასასყიდად: ცილების საღებუი, ბიდონები ქეცტის, ვედროები რკინისა. დანები, კრუჟები, კეხები, თაქსოთოები, მოსაჭოთვეები, ავტომობილის კამერები, ნალები ცხენისა, ნალის ლურსმანი, ცელები, ციკორი, ინგლისური პიდჯაკი და სხვა.

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ 10 პროც. შეფასებულ საქონლის ღირებულებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება წითელი ჯვრის სავაჭრო განყოფილებაში, ლენინის ქ. № 60, 9—2 საათამდე.

ნ. 1114 3—2

ვენერიულის და სასქესოს

საამბულატორიო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ვენერიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც დიზინექ ... ექიმობას საჭიროებენ

საამბულატორიო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ვორონცოვის ქ. № 20.

126—25—4

ექიმი გ ბ. მებრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი სპეც. ცეების წამლობა—შეხბაპ. 914 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დღ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. მიხეილოვის ქუჩა № 23.

895—25 7

ს. ს. ს. რ. სახელმწ. გამომცემლო

ამით აცხადებს სხვადასხვა ორგანიზაციების, დაწესებულებების, აღმასკომების და მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოდ, რომ 1924 წ. გამომცემლობამ გამოსცა

ვლადიმერ ილიჩის ლენინის

სრული თხზულება 23—25 ტომათ.

მიიღება წინასწარი ხელისმოწერა. ფულის გადახდა შეიძ ნაწილ ნაწილად 20 თვის განმავლობაში.

მთელი კომპლექტი სრული გამოცემისა ღირს 50 მანეთი. ქერქით და მაღაზიებში ეღირება 55 მანეთი.

ხელის მოწერას აწარმოებენ სახელგამის რწმუნებულები აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ სახელგამის ხელის მომწერის რწმუნებ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თხზულებაზე ი. ა. ივანცკი და პანოვა—საქართველოში.

მთავარი სახელგამის დროებითი ბინა № 6.

ხელისმოწერა მიიღება—სოლოლაკის ქ. № სასტუმრო „ინტერნაციონალი" ოთახი № საღამოს 8 საათიდან—7 საათამდე და ა ლობრივი რწმუნებულების მიერ სახელგ სათანადო მოწმობებით.

ნ. 1115 2-

თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტ. რესპ რევოლიუციონური კომიტეტ წ. 28 აპრილის დეკრეტის № 28 მუხლისა 62 თბილისის აღმასკომის ლაქეობრივ მდგომარეობის განყოფილება აცხადებს, რომ მოქ. ივანიძე ზანუდამ შემოიტანა განცხადება, მისი გვარის და სახელ ნიკ ზანუდას" ალექსანდრე პავლოვსკზე შეცვლის შესახებ.

მეე-განყოფილების გამგე შარაშ

იყიდება განკერძოებული, ყოველმხრივ მორთული თავისუფალი მიწით. მყიდველს შეუძლია პირ გაეცნოს დავიდოვის ქუჩაზე № 8, ბინა № 2 11—2-დე და 5—7 სა

948

დაიკარგა უმუშევრის წიგნაკი № 1314 და სამხედრო ბილეთი, მოცემული ზუგდ უფროსის გრიგოლ რიას ძე საბუკიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 946

თბილისის კომუნალური ბანკის ბალანსი

(ჩერვონცებით)

1924 წლის 1-ლ მაისისთვის

აქტივი		პასივი	
ანგარიშების სახელწოდება	ჯამი	ანგარიშების სახელწოდება	ჯამ
კასა და მიმდინარე ანგარიშები	2,416,529	თანხები	21,465,0
ფასიანი ქაღალდები და ვალიუტა	11,766,182	ანაბარი და მიმდინარე ანგარიშები	15,138,1
განაღდებული თამასუქები	17,193,569	სესხი და სპეც. მიმდ. ანგარიშები სახ. ბანკში	9,348,4
სესხი გირაოს ქვეშ	19,494,016	კორესპონდენტები	2,912,8
გრძელვადიანი სესხი	1,048,325	სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი	8,875,9
კორესპონდენტები	1,513,600	პროცენტები, საკომისიო და სხვა შემოსავალი	6,304,6
სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი	8,175,973		
საორგანიზაციო ხარჯები	462,222		
მიმდინარე ხარჯები	1,792,720		
სხვა აქტივები	181,909		
	64,045,045		64,045,0

ნ. 1113 1—1

ა.-კავკ. ფინსახკომის რწმუნებულისაგან საქართველოში

ფულის ტრიალის რეფორმა, რომელიც ამ ჟამად ტარდება, და მიუცილებელი საჭიროება, რომ ხაზინის ემისიაში დაცული იქნეს უკიდურესი მომჭირნეობა, მოითხოვენ თავისუფალ საბრუნავ საშუალებათა სრულ კონცენტრაციას სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა სალაროებში.

ა | კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს 1922 წ 5 დეკემბრის დადგენილების № 66 „სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა საკასო ოპერაციების შესახებ") მე-7 მუხლის თანახმად წინადადებას აძლევს ა | კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე მომქმედ ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათ მათ რიცხვში კომუნალურ დაწესებულებებსაც, და აგრეთვე შერეულ აქციონერულ საზოგადოებათ, რომლებშიაც სჭარბობს სახელმწიფო კაპიტალი, მტკიცეთ და დაურღვევლათ შეასრულონ აღნიშნული დადგენილების მოთხოვნილებანი, და თავისი სალაროების ნაღდი ფული, რომელიც აღემატება მიმდინარე ხარჯების დასაკმაყოფილებლათ საჭირო რაოდენობას, **შეინახონ მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში.**

ყოველგვარი უცხო ვალიუტა კი აღნიშნულ დაწესებულებათა მიერ ჩაბარებული უნდა იქნეს მიმდინარე ანგარიშზე მთლიანათ და უკლებლივ.

ამ დადგენილებას ვინც არ შეასრულებს, მიცემული იქნება მკაცრ პასუხისგებაში.

ნ. 1116 1—1.

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში თ. ღლონტი.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის

მთავარი საკურორტო სამმართველო

კურორტებზე—ბორჯომში და აბასთუმანში იძლევა ოთახებს პირველი მოთხოვნილების ავეჯეულობით პროფკავშირების წევრები იხდიან მთელი სეზონისათვის:

რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს 100 მანეთამდე—1 მან. კვადრ. არშინზე.
რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს 100 მანეთზე ზევით—1 მ. 50 კაპ. კვ არშინზე
არა წევრები . . . . —5 მანეთს კვ. არშინზე.

საზაფხულო სეზონი ცხადდება 15 ივნისიდან—15 ოქტომბრამდე

ოთახების ხაერთო რაოდენობის 75 პროც ეძლევა პროფკავშირების წევრებს.

განცხადებები, რომლებისთვისაც გადახდილ უნდა იქნეს სარეგბო გადასახადი 2 მანეთის რაოდენობით, მიიღება 20 მაისამდე უკვე დაიწყო ბორჯომის და აბასთუმანის სანატორიუმებში ფასიან ავადმყოფების ჩაწერა სწარმოებს ყოველგვარი საკურორტო და სპეციალური წამლობა კვალიფიციური სპეციალისტები—პროფესორები და ექიმები. სრული კმაყოფის, კვების და წამლობის ღირებულება თვიურად პროფკავშირების წევრთათვის—150 მანეთი, კერძო მოქალაქეთათვის—210 მანეთი. გზა—ავადმყოფების ხარჯზე. სანატორიუმები გაიხსნება 25 ივნისიდან. განცხადებები მიიღება 1 ივნისამდე

ბორჯომი: სიმფონიური ორკესტრი, კურზალი, ტუტიანი ნახშირმჟავა ვანები, ფიზიო-თერაპევტიული კაბინეტი, გახსნა 15 ივნისიდან.
აბასთუმანი: მინერალური ვანები ჰიდრო-თერაპევტიული განყოფილებით, გახსნა 15 ივნისიდან.
ახტალა: საავადმყოფო ტალახით მკურნალობისათვის, გახსნა 15 ივნისიდან.
წყალტუბო: მინერალური რადიოაქტიური წყლები, 20 მაისიდან
წაღვერი: ტუტიანი—ნახშირმჟავა რკინიანი წყლები, გახსნა 15 ივნისიდან.
ბახმარო: სამთო კლიმატიური სადგური, გახსნა 1 ივლისიდან.

განცხადებები მიიღება: საპიორის ქუჩა № 30, ოთახი № 21. 12 დან 2 საათამდე მუშაობის დღეებში.

№ 1109

3—2